პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№232 (12 302)
2 ოქტომბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# ქალაძე და კობიაშვილი: იტალია და შოტლანდია გამოირიცხა







## მუდმივი თავსატეხი ტოპმიოლერისთვის 3



## თავს ზემოთ როცა ახტები...

საქართველო მსოფლიო თასზე. ინტერვიუ ლევან ცაბაძესთან 13



ამ გაზაფხულზე. მანჩესტერი-რომა 7:1

## რომა მანჩესტერზე შურისძიებას აპირებს

CHAMPIONS LEAGUE

დღეს. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური 6

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. VII ტური. მიმოხილვა

# ორი რჩეული

## ტურის რჩეული რევაზ ჯიქია

განვლილ ტურში ჩინებული თამაშით ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი - **ილია სპასოევიჩმა** ("დინამო"), **გიორგი ნერგაძემ** ("ბორჯომი"), **კახა ჩხეტიანმა** ("ზესტაფონი"); ერთადერთი შეცდომა რომ არა, "ტურის ფეხბურთელობაზე" სამართლიანი პრეტენზია ექნებოდა დავით გვარამაძესაც, მაგრამ "ლოკომოტივის" გამოცდილი მეკარის წამიერი დაუდევრობა მის გუნდს წაგებად დაუჯდა. ჰო, "ლოკომოტივი" მედგრად უძალიანდებოდა რუსთავის "ოლიმპს" და ეს გვარამაძის საიმედო თამაშითაც იყო განპირობებული. ძნელი დასათვლელი იყო გვარამაძის კართან შექმნილი სახიფათო მომენტები და უმეტესწილად ხიფათი "ოლიმპის" თავდამსხმელის - **რევაზ ჯიქიასგან** მოდიოდა. გუშინაც აღვნიშნეთ, რომ ჯიქიამ შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა; ხან მარჯვნიდან უტევდა, ხან - მარცხნიდან, ცენტრშიც დამაჯერებლად გამოიყურებოდა და, მოკლედ რომ ვთქვათ, ისე თამაშობდა, თანამედროვე ფორვარდს რომ მოეთხოვება. არადა, ძალიან დიდი შანსი იყო, რომ ამ ნიჭიერ თავდამსხმელს სეზონი სულ სხვა გუნდში დაეწყო - ევროტურნირების წინ "ოლიმპმა" ჯიქია ზუგდიდის "მგლებისგან" ინათხოვრა და კიდევ კარგი, მერეც დაიტოვა. ჯიქიას ბევრი თვისება აქვს, უფრო მაღალ დონესაც რომ დააკმაყოფილებს: ორივე ფეხს კარგად ხმარობს, სწრაფია, თავითაც ჩინებულად თამაშობს, დრიბლინგიც ეხერხება და პასის კულტურაც არ დაეწუნება. მოკლედ, ისეთი ფორვარდია, ნებისმიერი მწვრთნელი რომ ინატრებს. თანაც, კიდევ კარგი, **ანატოლი პისკოვეცი** მიხვდა და ჯიქია თავდასხმაში დააყენა. ჰო, რატომ გიკვირთ? პისკოვეცს ხომ უყვარს ექსპერიმენტები (რბილად ნათქვამია) და **რეზო გეწაძისა** და **ლადო დვალიშვილის** არ იყოს, ჯიქიასაც არაერთხელ შეუცვალა ამპლუა - მე-7 ტურის რჩეულს ხან ფლანგის ნახევარმცველად ათამაშებდა, ხანაც - "საყრდენად"!...

...რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი ჯიქია საქართველოში ამ სამიოდე წლის წინათ ჩამოვიდა, ქუთაისის "ტორპედოში" ჩაირიცხა და **ოთარ გაბელიას** გუნდშიც მალე დაიმკვიდრა ადგილი. მაშინათვე ეტყობოდა, რომ ფეხბურთის თამაში შეეძლო და მოედანზე არაორდინალურადაც აზროვნებდა. მერე, გაბელიასთან ერთად "ბათუმში" გადავიდა, შემდეგ აშკარად მოუკლო (ამბობდნენ, დისციპლინასთან პრობლემები ჰქონდაო) და ერთი ხანობა "ჩაიკარგა" კიდეც. ბოლოს ზუგდიდში აღმოჩნდა და **კაკო დევაძესთან** ერთად "მგლებს" უმაღლესში აღზევებაში დაეხმარა. და აი, ახალი გუნდი და ახალი პერსპექტივებიც; ოღონდ, მთავარია, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს, თორემ, პოტენციალი რომ აქვს, ეს, უდავოა...



რეზო ჯიქია

## ტურის მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე



"ბორჯომი" ისევ გვაოცებს - "ამერისა" და "ვიტ ჯორჯიას" ძლევას მორიგი გამარჯვება მოჰყვა, ამჯერად ახალციხის "მესხეთთან". "ბორჯომი" და "მესხეთი" ამ ტურამდე ცხრილშიც გვერდი-გვერდ იყვნენ და ქალაქებიც ახლოს არის ერთმანეთთან. მოკლედ, ნამდვილი "დერბი" იყო და "ბორჯომმაც" დამსახურებული სამი ქულა მოიპოვა. ჰოდა, ცხრილშიც დამსახურებულად წამოსკუპებულა მესამე ადგილზე. ეგ კი არა, ჩემპიონატში მონაწილე ერთ გუნდთან რომ "ჩვეულებრივი" მოტივაციით გადიოდეს სათამაშოდ, ვინ იცის, იქნებ, უფრო სერიოზულ მიზნებზეც ეფიქრათ ბორჯომში. თუმცა ენა ვის უნდა მოუბრუნდეს - "ბორჯომი" ჩვენი ჩემპიონატის ნამდვილი კოლორიტია და ამაში ლომის წილი მთავარ მწვრთნელს მიუძღვის. **ვლადიმერ ხაჩიძეზე** მოგახსენებთ, გამოცდილ და მეტად საინტერესო მწვრთნელზე; ვისაც წლების განმავლობაში გორშიც უმუშავია, ხაშურშიცა და თბილისშიც, მაგრამ ხაჩიძე-მწვრთნელის შესაძლებლობები ყველაზე კარგად მაინც "ბორჯომში" წარმოჩინდა. და აი, მეორე სეზონია ხაჩიძის "ბორჯომი" ფავორიტების რისხვად იქცა. თანაც, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, "ბორჯომის" მოთამაშეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობას... სხვა გუნდებში დაწუნებული ფეხბურთელები წარმოადგენენ. ჰოდა, ეს ფეხბურთელებიც (**ნერგაძე, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, შოთა ჯიქია, შეყრილაძე, ლაშა ჭელიძე**), ხაჩიძის ნდობას ჩინებული თამაშით პასუხობენ. "ბორჯომი" ნამდვილად ვერ დაიკვეხნის გრძელ "სათადარიგოთა სკამს" და ამ ერთობ შეზღუდული რაოდენობის კონტიგენტით ხაჩიძე მაინც ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას. რა თქმა უნდა, ჯერ ყველაფერი წინ არის, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ - ამ გუნდით "ბორჯომი" ხუთეულს ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეს. პირველი წრის ბოლომდე, ალბათ, ასეც იქნება; აი, მეორე წრეში "ბორჯომში" ვინ ითამაშებს, ეს, ალბათ, მე-7 ტურის რჩეულმა მწვრთნელმაც არ იცის...

**გია ტუხაშვილი**

## VII ტურის სიმბოლური ნაკრები




CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

# კალაძე და კობიაშვილი გამოგვაკლდნენ

იტალიასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩისთვის საქართველოს ნაკრებს ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა - კაპიტანი კახა კალაძე და ვიცე-კაპიტანი ლევან კობიაშვილი.

კალაძე სერია A-ს მორიგ ტურში "კატანიასთან" საშინაო შეხვედრაში (1:1) 53-ე წუთზე დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

ლევან კობიაშვილი კი 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე პანდერის ნაცვლად, თუმცა ისე დაშავდა. მას დიდი ხნით მოუწევს უქმობა.

გუშინ ორივე მათგანს დავუკავშირდით და გავესაუბრეთ...



იტალიასთან ნაკრებს კალაძე ვერ უკაპიტნებს

## კახა კალაძე: ჯგუფიდან გამსვლელთა ვინაობა საქართველოსთან გადაწყდება

- მეორე ტაიმის დასაწყისში, ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ჩამარტყეს და საზარდულთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი კუნთი მაქვს დაზიანებული. ექიმთან ვიყავი და სამწუხაროდ კარგი ვერაფერი მითხრა. იძულებითი პაუზა სამი კვირა მაინც გასტანს. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ ნაკრებს იტალიასთან და შოტლანდიასთან მატჩებში ვერ დავეხმარები. ისიც გავიგე, რომ ლევან კობიაშვილიც გამოგვაკლდა და ეს უფრო მეტად ამძიმებს ჩვენი ნაკრების მდგომარეობას. ძალიან კი მინდოდა ამ მნიშვნელოვან მატჩებში მეთამაშა, მაგრამ...

**- ბუნებრივია, გენუაში 13 ოქტომბრის მატჩს დაესწრები...**

- რა თქმა უნდა, თამაშზე ვიქნები და მანამდეც არაერთხელ ვნახავ ჩვენს ნაკრებს... როდის ჩამოვა ჩვენი ნაკრები იტალიაში?

**- გუნდი 8 ოქტომბერს გენუაში შეიკრიბება...**

- ძალიან კარგი, აუცილებლად ვნახავ ჩვენს დელეგაციას. სასტუმროში არაერთხელ მივალ...

**- იტალიაში რას წერენ და რას ამბობენ საქართველოსთან მატჩზე?**

- ჯერჯერობით ეს თემა ისეთი აქტუალური არაა, მაგრამ რამდენიმე დღეში ეს აქაურ გაზეთებში წამყვანი თემა იქნება. ჯერჯერობით კი ზოგადად იმას წერენ, რომ იტალიას ქულების დაკარგვის უფლება არ აქვს და გენუაში ქართველებთან რთული მატჩი იქნება. ერთი სიტყვით, 13 ოქტომბრის თამაშს აქ, იტალიაში გადამწყვეტ მატჩად აფასებენ.

**- საინტერესოა, ნაკრების კაპიტანი რას ფიქრობს ამ მატჩებზე...**

- ორივე რთული და მნიშვნელოვანი მატჩია. ალსანიშნავია ისიც, რომ იტალიაც და შოტლანდიაც ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძვიან და საამისოდ კარგი შანსები გააჩნიათ. ერთი რამ ცხადია, ჯგუფიდან გამსვლელი გუნდების ვინაობა საქართველოსთან მატჩებში გაირკვევა.

მართალია, იტალიასაც და შოტლანდიასაც ამ მატჩებში მოგება სჭირდებათ მაგრამ ქულების მოპოვება ჩვენც გვინდა და ბიჭები საამისოდ ბოლომდე იბრძოლებენ.

**- ალბათ ნაკრების ახალბედა ფეხბურთელებსაც მოუწევთ თამაში...**

- ვერაფერს გეტყვით, ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია.

**- რას ფიქრობ ახალბედა ლევან ყენიაზე...**

- ყენიას დიდი პოტენციალი აქვს და მთავარია სწორედ განვითარდეს. იმედია ასეც იქნება, ლევანი მიღწეულით არ დაკმაყოფილდება, საკუთარ თავზე ბევრს იმუშავებს და მისი სახით ეროვნულ ნაკრებს მალე სრულყოფილი და საკვანძო ფიგურა ეყოლება.

## ლევან კობიაშვილი: შეგვიძლია შოტლანდიას ქულები დავაკარგვინოთ

- "ჰერტასთან" ბოლო 15 წუთი მომიწია თამაში. მატჩის დასრულებამდე ჩამარტყეს. ტკივილი კი მაწუხებდა, მაგრამ მეტი შეცვლის უფლება ალარ გვქონდა და იძულებული ვიყავი მატჩი ჩამემთავრებინა.

**- რამდენად მძიმეა შენი ტრავმა, მკურნალობისთვის რა პერიოდი დაგჭირდება?**

- ახლახან რომ ტრავმა მქონდა, ისევ ის ადგილი მაქვს დაზიანებული. ბარძაყზე, სახსრისა და კუნთის დამაკავშირებელი ნაწილი მაქვს დაზიანებული. დღესაც ვიყავი ექიმთან, სურათი გადავიღე და სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არაა. 8 კვირა მჭირდება სამკურნალოდ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად, პირველი წრე ჩემთვის დასრულებულია. ნაკრებს იტალიისა და შოტლანდიასთან მატჩების გარდა ლიტვასთანაც ვერ დავეხმარები. ბუნდესლიგაში კი პირველი წრის ბოლო მატჩებში შეიძლება მოვასწრო თამაში.

**- რას ელი ნაკრების ორ უახლოეს მატჩში?**

- იტალიასთან სტუმრად რთული მატჩი გველის. რალა თქმა უნდა, ნაკრებმა ყველა შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლოს, მაგრამ გაავებულ იტალასთან, სტუმრად თამაშში ეს ძალზე გაჭირდება. აი, შოტლანდიასთან ქულების მოპოვების უფრო მეტი შანსი გვაქვს.

**- შეგვიძლია შოტლანდიის შინ ძლევა?**

- თუ ჩვენი ნაკრები დანაკლისის გარეშე იქნება, მაშინ ეს ნამდვილად შეგვიძლია. თუმცა ჩემი და კალაძის გარეშეც შეიძლება შოტლანდიელებს ქულები დავაკარგვინოთ.

**- რამდენადაა შესაძლებელი შენი და კალაძის დანაკლისის აღმოფხვრა?**

- დანაკლისი მცირედი არაა, მაგრამ შეუცვლელი არავინაა. თუმცა ეს ძალზე გაჭირდება. ნაკრების წევრებს რომ გადავხედოთ, ყენიასა და ტატანაშვილის გარდა არავინაა გამოუცდელი რომ ეთქმოდეს. ფეხბურთელთა ერთ ნაწილს ახლა უფრო მეტი მოეთხოვება და მეტად მოუწევს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა.

**- მინდა დებიუტანტებზე გკითხო. მათზე რას იტყოდი?**

- ბაქოში, აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში ახალმა ფეხბურთელებმა რომ ითამაშეს მატზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგან კარგად არ ვიცი მათი შესაძლებლობები. აი, ყენიამ და ტატანაშვილმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ისიც ცხადია, რომ მათ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო სრულყოფილ და კარგ ფეხბურთელებად რომ ჩამოყალიბდნენ.

**დავით ცაბაძე**

# ვიტალი დარასელია 50
## ძველი დიდების ახალი თამაში



ქართული ფეხბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გოლის მომტანს, **ვიტალი დარასელიას** 4 ოქტომბერს 50 წელი შეუსრულდებოდა და ამასთან დაკავშირებით თბილისში საგანგებო ღონისძიებები გაიმართება. სწორედ ამის გამო შედგა პრესკონფერენცია გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. ჟურნალისტთა წინაშე ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ არველაძე**, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელი **ვაჟა ჟვანია** და "დინამო თბილისის" მმართველი დირექტორი **გიორგი ტყავაძე** წარდგნენ. მათ 3-4 ოქტომბერს გასამართი ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს.

4 ოქტომბერს ეროვნულ სტადიონზე, თბილისის "დინამოს" ვეტერანებსა და ვიტალი დარასელიას მეგობართა ნაკრებს შორის თამაში გაჩაღდება. მატჩის შემდეგ კი კონცერტი და ვახშამი გაიმართება. "მეგობართა ნაკრების" უმეტესი წევრები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან კიევში შეიკრიბებიან და იქიდან ერთად ჩამოფრინდებიან თბილისში.

მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაციას "საზოგადოებრივი მაუწყებელი" მოაწყობს. გულშემატკივარი თამაშს უფასოდ დაესწრება. ღონისძიებას ერთობლივად ატარებენ ფეხბურთის ფედერაცია, "დინამო თბილისი", ვეტერანთა კავშირი, ქალაქის მერია, სპორტისა და კულტურის სამინისტრო.

ერთ-ერთი ვახშამი **ელგუჯა ბუბუტეიშვილის** რესტორანში გაიმართება. პრესკონფერენციაზე გვითხრეს, რომ ბატონი ბუბუტეიშვილი საგანგებოდ ჩამოასხამს კონიაკს 50 წლის დაძველებით ვიტალი დარასელიას 50 წლისთავთან დაკავშირებით.

4 ოქტომბერს თბილისში მოლდოვიდან ჩამოვა ვიტალი დარასელიას ვაჟი - უმცროსი ვიტალი. ორივე გუნდის ფეხბურთელებს საგანგებო, ნომრიანი მაისურები ექნებათ გვარის წარწერით.

თბილისში მოწვეულ სტუმართაგან თითქმის ყველა, ოთხმოცდაათი პროცენტი ჩამოვა. ღონისძიებას ვერანაირი პოლიტიკური მოვლენები ვერ შეაფერხებს - ბევრი სტუმარი იქნება რუსეთიდანაც.

4 ოქტომბრის მატჩზე გუნდები ამ ფეხბურთელებით დაკომპლექტდებიან:

დინამო: **ოთარ გაბელია, კარლო მჭედლიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვახტანგ ქორიძე, დავით მუჯირი, ნუგზარ კაკილაშვილი, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, გოჩა ჯოხაძე, გრიგოლ ცაავა, ვაჟა ჟვანია, ვახტანგ კოპალეიშვლი, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა ჩიქოვანი, გელა კეტაშვილი, მალხაზ არზიანი.**

მწვრთნელი: **სერგო კუტივაძე**

ვიტალი დარასელიას მეგობართა ნაკრები: **ბორის ვოსკრესენსკი, ანდრეი ბიბა, ანდრეი ბალი, ოლეგ კუზნეცოვი, იგორ ბელანოვი, ლეონიდ ბურიაკი, ვიქტორ ჩანოვი, იური კოვტუნი, იური მაქსიმოვი, ანატოლი დემიანენკო, სერგეი კონოვალოვი, ალექსეი გერასიმენკო** - ისინი თავის დროზე კიევის "დინამოს" ფეხბურთელები იყვნენ. 4 ოქტომბერს მათი თანაგუნდელები მოსკოვის "სპატრაკის" ყოფილი ფეხბურთელები იქნებიან: **ალექსეი პრუდნიკოვი, იური გავრილოვი, ვაგიზ ხიდიატულინი, გიორგი იარცევი, ვიაჩესლავ ეგოროვიჩი, ალექსანდრ მირზოიანი, ვიქტორ ცარიოვი.**

მინსკის "დინამოს", ერევნის "არარატსა" და ბაქოს "ნეფთჩის" შესაბამისად **სერგეი ბაროვსკი, ხორენ ოგანესიანი** და **ისკანდერ ჯავადოვი** წარმოადგენენ.

"მეგობართა ნაკრების" მწვრთნელი სავარაუდოდ **ვიქტორ ცარიოვი** იქნება, შეხვედრას კი **ანატოლი მილჩენკო** უმსაჯებს.

**დავით თავართქილაძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



დღემდე ყველა მატჩის მომგები დინამო ვიტ ჯორჯიას დამარცხებასაც შეეცდება

საქართველოს თასი. ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

# ოთხი გამორჩეული დაპირისპირებით

**საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპი დაძაბულობით ეროვნულ ჩემპიონატს ნამდვილად ჩამოუვარდება, მაგრამ პრინციპული მატჩები აქაც იმართება. მეორე ტურში გულშემატკივარი რამდენიმე ამგვარი დაპირისპირების მომსწრე გახდება**

### I ჯგუფი

#### ამერი–მესხეთი

2 ოქტომბერი. თბილისი.
ამერი. 15:00

დისკვალიფიკაცია: ლეკიშვილი (მესხეთი), ზ. ჩხეტიანი (მესხეთი)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ჯგუფურ რაუნდში "ამერი" ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრას ატარებს და აქაც რომ მოიგოს, მეოთხედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს. დასაკარგი არც "მესხეთს" აქვს რამე და ამიტომაც ახალციხელთაგან ლაღ და გახსნილ თამაშს უნდა ველოდოთ.

#### ტორპედო–სპარტაკი

3 ოქტომბერი. ქუთაისი.
ცენტრალური. 15:00

დისკვალიფიკაცია: დანელია (ტორპედო)
არბიტრი: მ. ბეჟქლიშვილი

"ამერი" და "მესხეთი" ჯგუფის ფავორიტები არიან, მაგრამ მომდევნო რაუნდში გასვლის შანსი "სპარტაკსაც" აქვს. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა პირველ ტურში 1:6 განადგურებული ქუთაისელები **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 2. მესხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. ტორპედო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |

### II ჯგუფი

#### დინამო–ვიტ ჯორჯია

2 ოქტომბერი. თბილისი.
ეროვნული. 15:00

დისკვალიფიკაცია: ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია)
არბიტრი: ო. ხეცაძე

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები ყოველთვის დაძაბული და უკომპრომისოა, სათასო სტატუსის მიუხედავად, დღევანდელი მატჩიც არ უნდა იყოს გამონაკლისი. არ გვგონია, რომელიმე მათგანმა ძალების დაზოგვით ითამაშოს. "დინამოს" სეზონში ყველა შეხვედრა მოგებული აქვს და მრავალგზის ჩემპიონთა გეგმებში ქულების დაკარგვა არც ამჯერად შედის.

#### მალაროელი–ლოკომოტივი

3 ოქტომბერი. ჭიათურა.
ცენტრალური. 15:00

დისკვალიფიკაცია: გუშარაშვილი (ლოკომოტივი), ყენია (ლოკომოტივი), ბარბაქაძე (ლოკომოტივი)
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

ორივე მეტოქემ სათასო ეტაპი მარცხით დაიწყო და, ბუნებრივია, "მალაროელსაც" და "ლოკომოტივსაც" მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. რკინიგზელებს ამჯერად ნაკლები დისკვალიფიცირებული ჰყავთ, მაგრამ მაინც საკმაოდ აქვთ საკადრო პრობლემები.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3. მალაროელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 4. ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### III ჯგუფი

#### ოლიმპი–ბორჯომი

2 ოქტომბერი. რუსთავი.
ფოლადი. 15:00

დისკვალიფიკაცია: მახვილაძე (ოლიმპი)
არბიტრი: პ. დოგრაშვილი

წინა ტურში "ოლიმპი" შინ "მერანთან" დამარცხდა და დღესაც რომ მოეცაროს ხელი, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. რუსთაველებს არც ჩემპიონატში მისდით კარგად საქმე და თითოეულ შეხვედრას მათთვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. "ბორჯომი" კი პირიქით, ორივე ფრონტზე შესანიშნავ მდგომარეობაშია.

#### მერანი–ბათუმი

2 ოქტომბერი. თბილისი.
მერანი. 15:00

დისკვალიფიკაცია: კანტიძე (ბათუმი, მწვრთნელი)
არბიტრი: ზ. მენთეშაშვილი

ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა "მერანმა" ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობა რუსთავში გამარჯვებით დაიწყო და მისი დღევანდელი გამარჯვება მით უფრო არ იქნება გასაკვირი. "ბათუმისთვის" კი ალბათ, ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, აჭარელთა დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ ორივე ფრონტზე ბრძოლისთვის არ უნდა სცხელოდეთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. ბორჯომი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3. ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 4. ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### IV ჯგუფი

#### ზესტაფონი–მგლები

2 ოქტომბერი. ზესტაფონი.
ცენტრალური. 15:00

დისკვალიფიკაცია: **ჯოჯუა** (მგლები), **კრასოვსკი** (მგლები)
არბიტრი: მ. ურუშაძე

არც ეს შეხვედრა უნდა იყოს სხვებზე უინტერესო. ერთმანეთის წინაშე ხომ ჩემპიონატის მეორეადგილოსანი და საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდები წარსდგებიან. "ზესტაფონი" ქვეჯგუფის ფავორიტია და თუ დღესაც იმარჯვა, მეოთხედფინალამდე შორი აღარ იქნება.

#### კახეთი–დილა

2 ოქტომბერი. თელავი.
გ. ჩოხელი. 15:00

დისკვალიფიკაცია: **ლომიძე** (კახეთი), **გერგიშვილი** (კახეთი), **ილურიძე** (დილა), **დ. ხანიშვილი** (დილა)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

"დილა" კრიზისშია, "კახეთი" კი პირველ ლიგაშიც ვერ ყოჩაღობს. ამ გუნდების მდგომარეობის გათვალისწინებით, მეოთხედფინალში გასვლა "ზესტაფონსა" და "მგლებს" უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, მაგრამ არც სხვა შედეგია გამორიცხული.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 2. დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3. მგლები | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

# კალაძე და ასათიანი რჩეულ სასიძოთა შორის

## გაჰყევი ცოლად ფეხბურთელს!

უცხოურ კლუბებში მოასპარეზე ქართველი ლეგიონერები მხოლოდ გატანილი ბურთებით, საგოლე პასებითა და ტიტულებით როდი გამოირჩევიან. მათ აქვთ სახელი, ფული, ავტორიტეტი... და ყოველივე ამ ფაქტორების გამო სასურველ სასიძოებადაც ითვლებიან. რუსულმა და უკრაინულმა გამოცემებმა ერთგვარი გამოკითხვა ჩაატარეს და, როგორც ირკვევა, სასურველ სასიძოთა შორის ქართველი ფეხბურთელები, **კახა კალაძე** და **მალხაზ ასათიანი** არიან.



მალხაზ ასათიანი

"გაჰყევი ცოლად ფეხბურთელს" - მოუწოდებს "უტრო" რუს ლამაზმანებს. სტატიაში ნათქვამია, რომ რუსულ პრემიერლიგაში მოასპარეზე გამორჩეულ ფეხბურთელთა ანაზღაურება არათუ უტოლდება ევროპულ კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელთა შემოსავალს, არამედ ზოგ შემთხვევაში აღემატება კიდეც. შესაბამისად რუსეთში მოასპარეზე რჩეულ ფეხბურთელთა ცოლობა მარტო რიგით ფანებს არ სურთ, უარზე არც შოუბიზნესის ვარსკვლავები არიან. სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" ნახევარმცველმა **ვლადისლავ რადიმოვმა** მომღერალ **ტატიანა ბულანოვაზე** იქორწინა. **ევგენი ალდონინმა იულია ნაჩალოვაზე** შეაჩერა არჩევანი. სხვათა შორის, მსგავსი საქართველოშიც ხდება, ხარკოვის "მეტალისტისა" და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ლაშა ჯაკობიამ** რამდენიმე თვის წინათ მომღერალი **ქრისტინე იმედაძე** (რომელიც ცნობილ მსახიობის **ია ფარულავას** ძმისშვილია) მოიყვანა ცოლად. საქართველოში მსგავსი შემთხვევები კიდევ არაერთია, თუმცა რომელიმე რომ არ გამოგვრჩეს სჯობს მათ ჩამოთვლას შევეშვათ და ისევ ჩვენს ლეგიონერებს დავუბრუნდეთ.

რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ლეგიონერებში ყველაზე სასურველ სასიძოთა სიას სათავეში მოსკოვის "ლოკომოტივის" სერბი მცველი **ბრანისლავ ივანოვიჩი** უდგას. მერე ადგილზეა "მოსკვას" ბელორუსი მეკარე **ჟევნოვი**, მესამეზე კი მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველი მცველი **მალხაზ ასათიანი**. მეოთხე და მეხუთე ადგილზე, რუსეთისა და ფინეთის მოქალაქე, "სატურნის" წევრი **ალექსეი იერომენკო** და ცსკა-ს პოლონელი ფეხბურთელი **დევიდ იანჩიკი** არიან.

რაც შეეხება უკრაინას, "პინკმა" უკრაინელი ლამაზმანებისთვის 8 სასურველი სასიძო გამოარჩია და ყველა მათგანს მეტსახელი შეურჩია. ამ ოქტეტში მეორე ადგილზეა "მილანის" ქართველი მცველი **კახა კალაძე**, რომელიც ხშირად სტუმრობს კიევს და საკუთარი კაპიტალის ნაწილიც უკრაინაში აქვს დაბანდებული. სასურველ სასიძოთა სია **გოშა კუცენკოთი** იწყება და მის მეტსახელად "ხულიგანი" შეარჩიეს. კახა კალაძის მეტსახელია "მცველი". აღსანიშნავია ისიც, რომ ამ 8 სასურველი სასიძოდან მხოლოდ კალაძეა ფეხბურთის წარმომადგენელი, დანარჩენები კი ბიზნესისა და შოუბიზნესის სფეროდან არიან.

დავით ცაბაძე

# ქართველები იუნიორთა ბუნდესლიგაში



რევაზ ბარაბაძე

სხვა ქართველებთან ერთად, ამ ზაფხულში "კარლ ცაისთან" კონტრაქტი **რევაზ ბარაბაძემაც** გააფორმა, მაგრამ მიზეზთა გამო, ახალგაზრდა ქართველი ფორვარდის განაცხადში შეყვანა ყოვნდებოდა. საბედნიეროდ, ყველა ფორმალობა მოგვარდა და ბარაბაძე უკვე "კარლ ცაისის" მთავარი გუნდის განაცხადშია 45-ე ნომრით.

ამ სეზონში მას ალბათ, ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდება და იუნიორთა ბუნდესლიგაში იასპარეზებს. ცნობისათვის, ჩრდილო-აღმოსავლეთის ზონაში იენელი ჭაბუკები 4 ტურის შემდეგ 14 გუნდს შორის მე-11 ადგილზე არიან.

სამაგიეროდ, ამ ასაკში ტრადიციულად წარმატებით თამაშობს "ფრაიბურგი". **დავით თარგამაძე** ჯერ მთავარი გუნდის განაცხადში არაა, მაგრამ 18 წლის ქართველი ნახევარმცველი 19-წლამდელთა შორის ასპარეზობს. იგი და მისი თანაგუნდელები 4 ტურიდან 4 გამარჯვებით ერთპიროვნულად ლიდერობენ იუნიორთა ბუნდესლიგის სამხრეთის ზონას.

ლევან ჯანეზაშვილი



# მენთეშაშვილის მორიგი ტიტული

ნაკლებადსაფეხბურთო ევროპულ ქვეყნებში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერთა მონაგარის მიმოხილვას ჩვენი სამეზობლოთი დავიწყებთ - აზერბაიჯანში გოლით თავი ორმა ქართველმა გამოიჩინა, **გიორგი ადამიამ** და **თორნიკე აფციაურმა**. გიორგიმ მეშვიდე ტურში სეზონში მეორე გოლი გაიტანა, ხოლო თორნიკე აფციაურმა - მესამე.

"ნეფთჩიმ" "მასალის" უმასპინძლა და 4:0 გაანადგურა, მატჩის 33-ე წუთზე გიორგი ადამიამ მასპინძელთა მესამე გოლი შეაგდო. ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი "კაბალაშია", ეს კლუბი ჩემპიონ "ხაზარს" ესტუმრა და ნამდვილი ბრძოლა გაუმართა, თუმცა 1:2 მაინც დამარცხდა. **ზურაბ მამალაძე, გიორგი გაბიდაური** და თორნიკე აფციაური სასტარტოში იყვნენ, ხოლო **ირაკლი ვაშაკიძემ** მეხუთე დამატებულ წუთზე შეცვალა გაბიდაური. აფციაურმა 36-ე წუთზე გაათანაბრა და ბოლო წუთამდე სტუმრები ინარჩუნებდნენ ქულას. **ვლადიმერ უგრეხელიძის** "სტანდარდმა" 0:1 წააგო კახში "სიმურგთან". ლადომ 90 წუთი ითამაშა. მოულოდნელად, დამარცხდა "ქარვანი", შინ "ინტერთან" 0:3. ქართველთაგან **ალექსანდრე ინწკირველმა** და **რომან ახალკაცმა** ითამაშეს. "ბაქი" სტუმრად 0:3 დამარცხდა "ოლიმპიკთან", **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **ამირან მუჯირმა** 90-90 წუთი ითამაშეს. "ყარაბაღმა" 3:1 დაამარცხა "გენჩლერბირლიი". მასპინძელთა რიგებში მეორე ტაიმში ითამაშა **გოგა ბერაიამ**. ქართველ ლეგიონერთა გუნდებიდან ყველაზე მეტი ქულა "ნეფთჩიმ" დააგროვა, 13, აზერბაიჯანული ფეხბურთის ფლაგმანი მეოთხე ადგილზეა. "კაბალას", "ქარვანსა" და "ყარაბაღს" - 9-9 ქულა აქვთ. "ბაქის" მხოლოდ 8, "სტანდარდს" კი - 6.

ლატვიის ჩემპიონატის 23-ე ტურში **თამაზ პერტიას** "დინაბურგმა" შინ 0:1 წააგო "მეტალურგსთან". ქართველ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ. ლატვიაში ყურადღების ცენტრში თასის ფინალი იყო, "ვენტსპილსმა" 3:0 გაანადგურა "ოლიმპსი". ლატვიური წყაროების ცნობით **ზურაბ მენთეშაშვილმა** ბრწყინვალედ ითამაშა. მენთეშაშვილმა და კომპანიამ მინიმუმ უეფას თასზე თამაში გაინაღდა.

ლიტვაში ჩემპიონ "კაუნასს" ბადალი არ ჰყავს, ბოლო ტურში ქართული ტრიოს გუნდმა 6:0 გაანადგურა "ვილნიუსი". "კაუნასი" 68 ქულით ლიდერობს და უახლოეს მდევარს 11 ქულით უსწრებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მოხტუნავე იაპონელები და დაპატიმრებული სპარსელები

**ჯაბა მუჯირის "სეპაჰანი" აზიის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში რომ გავიდა, ადრეც გაუწყეთ, გუშინ კი ჯაბას ისპაჰანში შევეხმიანეთ და მეტწილად აზიის ჩემპიონთა ლიგის პერიპეტიებზე ვესაუბრეთ.**


ჯაბა მუჯირი (9)

- "კავასაკისთან" შინ 0:0 რომ ვითამაშეთ, ტრავმის გამო სამატჩო განაცხადში არ ვიყავი, იაპონიაში საპასუხო თამაშისთვის კი მწვრთნელმა მითხრა, უნდა ითამაშოო, მაგრამ ვერ შევძელი - ფეხი ისე მქონდა ნაღრძობი, ბუცის ჩაცმაც კი მიჭირდა. მატჩი ტოკიოსა და იოკაჰამას შორის მდებარე ქალაქ კავასაკიში გაიმართა. ძირითადი და დამატებითი დრო მეტოქე სულ გვიტევდა, თუმცა მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შექმნა. მოკლედ, 120 წუთს გავუძელით და პენალტების სერიაში გავიმარჯვეთ.

**- აზიის ჩემპიონთა ლიგაში რა თანხას იღებს კლუბი ნახევარფინალში გასვლისთვის?**

- რა თქმა უნდა, იმდენს ვერა, როგორც უეფას ჩემპიონთა ლიგაში. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ აქაც ხოლიდური თანხები ერიცხებათ გუნდებს ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლისთვის. "კავასაკი"-"სეპაჰანის" მატჩს აზიის რვა ქვეყანა გადასცემდა. იაპონელი გულშემატკივარი კი მთელი 120 წუთი ხტუნაობდა - ასეთი არაფერი მინახავს.

**- ნახევარფინალში ვის ხვდებით?**

- 3 ოქტომბერს არაბეთის საემიროების ჩემპიონ "ელ ვაჰლის" შინ ვეთამაშებით, სამი კვირის შემდეგ კი სტუმრად. ამ გუნდს ორი ლეგიონერი ჰყავს - ბრაზილიელი მცველი და ხორვატი ფორვარდი.

**- აზიის ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის უკვე დაგიწერეს პრემიები?**

- დიახ, პრემია კლუბის გარდა ირანის სპორტის დეპარტამენტმაც დაგვიწესა - თითოეულ ფეხბურთელს 25 000 დოლარიანი "სიტროენი". ირანში რამდენიმე ცნობილი საავტომობილო ფირმის ქარხანაა, რომლებიც შიდა ბაზრისთვის ამზადებენ მანქანებს - "პეჟო", "მაზდა", "ნისანი"...

**- "სეპაჰანის" ნახევარფინალში გასვლას რა აჟიოტაჟი მოჰყვა ისპაჰანში?**

- როგორც კი გავიმარჯვეთ, ხალხი ქალაქის ქუჩებში გამოსულა და ზეიმი მოუწყვიათ, თუმცა ირანში ახლა მარხვაა და პოლიციას გულშემატკივრების დაპატიმრება მოუწია. ეს იაპონიაში ყოფნისას შევიტყვეთ და კლუბის ხელმძღვანელობამ იქიდან თხოვნით მიმართა ისპაჰანის პოლიციას, გულშემატკივრები გაათავისუფლეთო. რაც აზიის ჩემპიონთა ლიგა ახალი ფორმატით ტარდება, ირანულ კლუბს ამდენისთვის არ მიუღწევია. სამწუხაროა, რომ "ელ ვაჰლესთან" ისპაჰანში ბევრი ხალხი ვერ მოვა - ჩვენი სტადიონის მშენებლობა შეფერხებულია, ქალაქის მეორე სტადიონი კი 15 ათასზე მეტს ვერ იტევს.

**- "სეპაჰანის" ასეთი წარმატება პირველ რიგში რამ განაპირობა?**

- ჩვენმა ხორვატმა მწვრთნელმა ლუკა ბონაჩიჩმა მართლაც კარგად იმუშავა "კავასაკისთან" მატჩისთვის. მის ხელში "სეპაჰანმა" ზედიზედ ორჯერ მოიგო ირანის თასი.

**დავით თავართქილაძე**

# რატომ უხდიან გიგიაძეს რებროვზე ნაკლებს...

ახტირკის "ნეფტიანიკმა" უკრაინა გააოგნა. ქვეყნის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის მატჩში ლიგის დებიუტანტმა კიევის "დინამო" სტუმრად 1:0 დაამარცხა. მართალია, ერთადერთი ბურთი "ნეფტიანიკის" ქართველ ლეგიონერ **ვასილ გიგიაძეს** არ გაუტანია, მაგრამ სტუმართა რიგებში ის ერთ-ერთი გამორჩეული იყო, რაზეც უკრაინულ პრესაში მოყვანილი ფრაზები მეტყველებს.

ირკვევა, რომ მისი ნაქცევისთვის მსაჯს კიეველთა კარში პენალტი უნდა დაენიშნა, **ფიოდოროვმა** წესები აშკარად დაარღვია და გიგიაძე მოცელა, სასტვენი კი არ ისმოდა. ამაზე ყურადღება უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" გაამახვილა.

იქვე მატჩის შემდეგ რამდენიმე რიტორიკული კითხვა დაისვა და მათ შორის ასეთიც - "*რატომ აქვს გიგიაძეს ტოტის მსგავსი მარგი ქმედების კოეფიციენტი, ხელფასი კი რებროვზე ნაკლები?*"

საინტერესო შედარებაა, ვერაფერს იტყვი. უკრაინული მედია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფეხბურთელთა მუშაობას, ვინ რამდენს დარბის და იტალიელ ვარსკვლავთან შედარება თავისთავად მრავლისმეტყველია.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე "ნეფტიანიკის" მთავარ მწვრთნელ **ვალერი გოროდოვს** კითხვაც დაუსვეს, ქართველი ლეგიონერი ლიდერის როლს როგორ ართმევს თავსო.

"*დღეს ჩვენ გიგიაძის დონის თავდამსხმელი არ გვყავს. ის უმთავრესად მოედნის ცენტრიდან მოქმედებს. ჩვენ მოთამაშეებს დავალებებს მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე ვაძლევ. ქართველი ლეგიონერი ბოლო სამი ტურია თამაშიდან თამაშამდე უმატებს. თუკი ასევე გააგრძელებს, ის "ნეფტიანიკის" ლიდერი გახდება. მართალია, ის ჯერ კიდევ ვერ ავლენს გოლეადორულ თვისებებს, მაგრამ მიზეზი ადაპტაციაა. მას კიდევ სჭირდება დრო და გუნდს უფრო გაუშინაურდება.*"

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტზალი

# რუმინეთში ორი წავაგეთ

საქართველოს ეროვნული ნაკრები ფუტზალში რამდენიმე დღის განმავლობაში რუმინეთში იმყოფებოდა. ვოიაჟის მიზეზი რუმინეთის ეროვნულ გუნდთან ორი ამხანაგური მატჩის გამართვა იყო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინათ ნაკრებს ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **პეტრე თაბუკაშვილმა** ჩაიბარა. სამწუხაროდ, თაბუკაშვილის გუნდი რუმინელებთან ორივე ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხდა. პირველი მატჩი ჩვენმა გუნდმა 0:8 წააგო, მეორე კი - 0:7.

გადაწყვეტილი საკითხია, მიმდინარე თვეში ფუტზალში ჩვენი ეროვნული ნაკრები ფრანგებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. 16 და 17 ოქტომბერს ფრანგები კანში გვიმასპინძლებენ. ამ მატჩებისთვის ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა შემადგენლობას უახლოეს მომავალში დაასახელებს. აქამდე ფრანგებს ჩვენი ნაკრები სამჯერ ეთამაშა. აქედან ორი მატჩი ქართველებმა მოიგეს, ერთი კი ფრედ დასრულდა. რეიტინგში საქართველო ამჟამად მე-40 ადგილზეა, საფრანგეთი კი 51-ეზე.

## პირველი ლიგა. VII ტური

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| კახეთი-ვიტ ჯორჯია 2 | 0:1 |
| ჩიხურა-მეშაქრე | 0:2 |
| ოლიმპი 2-ნ. დინ. მერ. 2 | 1:0 |
| ოლიმპიკი-ამერი 2 | 1:3 |
| დინამო 2-გაგრა | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 16-8 | 14 |
| 2. გაგრა | 7 | 4 | 2 | 1 | 12-13 | 14 |
| 3. მეშაქრე | 7 | 4 | 1 | 2 | 15-9 | 13 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 7 | 2 | 4 | 1 | 5-3 | 10 |
| 5. დინამო 2 | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 |
| 6. ოლიმპიკი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 7. ჩიხურა | 7 | 2 | 3 | 2 | 7-8 | 9 |
| 8. კახეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 9. ოლიმპი 2 | 7 | 1 | 3 | 3 | 4-7 | 6 |
| 10. ნ. დინ/მერანი 2 | 7 | 0 | 1 | 6 | 5-13 | 1 |

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| კოლხეთი ფ.-ტორპედო | 2:2 |
| ზესტაფონი 2-მაღაროელი | 2:3 |
| მერანი მარტვ.-კოლხეთი ხ. | 1:0 |
| სამტრედია-ფაზისი რაჭა | 2:2 |
| უნივერსიტეტი ქუთ.-მეშახტე | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-4 | 19 |
| 2. მეშახტე | 7 | 6 | 0 | 1 | 16-10 | 18 |
| 3. კოლხეთი ფ. | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 4. ტორპედო | 7 | 2 | 3 | 2 | 12-9 | 9 |
| 5. მერანი მ. | 7 | 2 | 3 | 2 | 5-5 | 9 |
| 6. ზესტაფონი 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 9-6 | 8 |
| 7. უნივერსიტ. ქ. | 7 | 2 | 1 | 4 | 5-7 | 7 |
| 8. ფაზისი რაჭა | 7 | 2 | 1 | 4 | 11-14 | 7 |
| 9. კოლხეთი ხ. | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 6 |
| 10. სამტრედია | 7 | 0 | 1 | 6 | 7-20 | 1 |



ქართველ ფეხბურთელთა უმაღლეს დონეზე მომზადება არგენტინაში

მარადონას სამშობლოში

ქართველ ფეხბურთელებს მოამზადებენ შემდეგი კვალიფიციური სპეციალისტები:

მთავარი მწვრთნელი: ედუარდო ემილიო დელგადო, "ველეს სარსფილდის", "სან ლორენსოსა" და "როსარიო სენტრალის" ყოფილი ფეხბურთელი.

მწვრთნელი: რაულ დე ლა კრუს ჩაპარო, "რივერ პლეიტის" ყოფილი ფეხბურთელი;

მწვრთნელი: ოსკარ ოლივერა, ლა პლატის "გიმნასია და ესგრიმას" ყოფილი ფეხბურთელი;

ფიზმომზადების სპეციალისტი: კარლოს გონსალესი.

16-დან 20 წლამდე ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ, ჯერ აიმაღლონ საფეხბურთო დონე, ხოლო შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ არგენტინის საფეხბურთო გუნდებში, მიმდინარე წლის ოქტომბერში გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც პროვინციებთან ერთად 300-ზე მეტი საფეხბურთო კლუბი ფუნქციონირებს.

არგენტინაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდებს შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტი შეჯიბრებები იმართება, რაც ქართველ ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს, გაიუმჯობესონ ტექნიკა და გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების პერიოდში ფეხბურთელებზე მოხდება დაკვირვება. მომზადების შემდეგ, ისინი მივლენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში და ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, ავიაბილეთების, ბინის, კვების, შიდა ტრანსპორტის და არგენტინის ვიზის ხარჯებს არგენტინის მხარე არ უზრუნველყოფს და გაღებულ უნდა იქნას მსურველთა, ან მათი სპონსორების მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადნენ არგენტინის წარმომადგენელთან, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქ. თავისუფლების მოედანთან, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება იწარმოებს ყოველდღე 13-დან 14 საათამდე არგენტინის წარმომადგენელთან საქართველოში, მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, შემდეგ ტელეფონზე: 899 23-55-20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება! საბუთების გასაფორმებლად და არგენტინის ვიზების მისაღებად მსურველები უნდა გამოცხადნენ სასწრაფოდ!!!

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მეორე ტურის წინ

# სპალეტი: ჩვენ შურისძიება გვსურს!

## რომაელები მანჩესტერში კბილებით იბრძოლებენ...



გასული სეზონის მანჩესტერი-რომა ჯალოროსისთვის კატასტროფულად დასრულდა

### E ჯგუფი

#### ლიონი-რეინჯერსი

წლეულს, შოტლანდიელებმა ფრანგები ორჯერ გაამწარეს - სქოთების ეროვნულმა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, სამფეროვნებს ორივე თამაში მოუგო. გაგრძელდება თუ არა ეს ტრადიცია (თუ შეიძლება, რომ ამას ტრადიცია ეწოდოს) საკლუბო დონეზეც, ამას "ლიონისა" და "რეინჯერსის" მატჩი გამოაჩენს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის გახლავთ, რომ გლაზგოური კლუბი საფრანგეთში თავაწეული ჩავიდა. "ლიონი" ვალდებულია, სამი ქულა მოიპოვოს, რადგან **ალენ პერენის** გუნდმა პირველ ტურში მარცხი განიცადა (ბარსელონაში), "რეინჯერსმა" კი, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშება მოგებით დაიწყო ("შტუტგარტი" დაამარცხა) და "ბარსას" დარად 3 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ევროტურნირებზე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. სამაგიეროდ, "ლიონს" ოთხჯერ ჰქონდა საქმე "რეინჯერსის" მოსისხლე მტერ "სელტიკთან" - 3 მოგება, 1 მარცხი, ასეთია ფრანგული გრანდის მონაგარი. "რეინჯერსი" კი, ფრანგულ კლუბებს 23-ჯერ დაუპირისპირდა (6 მოგება, 7 ფრე, 10 წაგება). სერიოზული დანაკლისი არცერთ გუნდს არა აქვს. გლაზგოელებს ფორვარდი **ჟან-კლოდ დარშევილი** გამოუჯანმრთელდათ. ასე რომ, დღეს ეს უკანასკნელი აუცილებლად ითამაშებს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ პერენი დღეს სასტარტო შემადგენლობაში ათამაშებს მსოფლიოს ჩემპიონ **ფაბიო გროსოს**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი:** ვერკუტრი, სკილაჩი, ბოდმერი, კლერკი, გროსო, კალსტრიომი, ჟუნინიო პერნამბუკანო, ტულალანი, კეიტა, ბენზემა, ბაროში.

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, კუელარი, ჰატონი, უეირი, პაპაცი, უაითეკერი, ბ. ფერგიუსონი, ემდანი, ტომსონი, ადამი, დარშევილი.

**მსაჯი:** ტომ ჰენინგი (ნორვეგია).

#### შტუტგარტი-ბარსელონა

"შტუტგარტის" მიზანი მინიმუმ მერვედფინალში გასვლაა და რაკი გერმანიის ჩემპიონმა პირველი შეხვედრა დათმო (გლაზგოში), შვაბებს "ბარსელონასთან" წაგების უფლება არა აქვთ, რადგან თუ დამარცხდებიან, პლეიოფში მოხვედრის შანსებს ძალიან შეიმცირებენ. მაგრამ თვითონ "შტუტგარტის" ფეხბურთელები ფრეზეც კი არ ფიქრობენ და ლიად აცხადებენ, "ბარსას" დამარცხება შეგვიძლიაო. არადა, **არმინ ფეეს** გუნდს ბუნდესლიგაში სერიოზული პრობლემები აქვს - "შტუტგარტმა" ვერა და ვერ იპოვა თავისი თამაში. ფეეს ლაზარეთიდან **ილდირაი ბაშთურქი** დაუბრუნდა. მწვრთნელმა თურქი ფლეიმეიქერი "ჰანზასთან" (1:2) შეგნებულად დაასვენა. "კიკერის" ვარაუდით, ფეე დაცვის მარცხენა ფლანგზე **ლუდოვიკ მანინის** ნაცვლად, ამჯერად **არტურ ბოკას** ათამაშებს. შვაბები კვლავინდებურად ვერ გამოიყენებენ გუნდის ლიდერ **თომას ჰიტცლშპერგერს**, რომელიც ტრავმირებულია. "ჰანზასთან" მატჩის წინ ტრავმა მიიღო **ანტონიო და სილვამაც** და დღეს მისი ასპარეზობაც გამორიცხულია. სამაგიეროდ, აუცილებლად იასპარეზებენ მექსიკელები **რიკარდო ოსორიო** და **პაველ პარდო**. ამ უკანასკნელს, როგორც საყრდენ ნახევარმცველს, თანამემამულე **დეკუსთან** ექნება საქმე. პარდო და დეკუ ბავშვობის მეგობრები არიან.

**ჯანლუკა ძამბროტა** და **სამუელ ეტო'ო** დაშავებულები არიან. უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა **იაია ტურეს** თამაშიც, რომელმაც ტრავმა "ლევანტესთან" მიიღო. ამ უკანასკნელს დღეს, სავარაუდოდ, **მარკესი** შეცვლის. გამოჯანმრთელდა და აუცილებლად იასპარეზებს კაპიტანი **კარლეს პუიოლიც**. არაა გამორიცხული, რომ **ფრანკ რაიკაარდმა** ის დაცვის მარჯვენა ფლანგზე, ძამბროტას შემცვლელადაც გაამწესოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იტალიელის ალტერნატივა **ოლეგერი** მწვრთნელს თავის შესაძლებლობებში ვერ დაარწმუნებს. ჰოლანდიელი სპეციალისტი **რონალდინიოს** ნაცვლად, შემტევი ნახევარმცველის რანგში, ბოლოს **ინიესტას** ათამაშებდა, რომელმაც ამ ამოცანას თავი არცთუ ურიგოდ გაართვა. თუ დღეს რონალდინიო ითამაშებს, ინიესტა ან სკამზე გადაინაცვლებს, ანაც საყრდენის პოზიციაზე. ასე იქნება თუ ისე, ერთი რამ ცხადია: "ბარსას" კარგი თამაში დღესდღეობით, მეტწილად **ლეო მესიზეა** დამოკიდებული, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. არგენტინელის გარდა, უმნიშვნელოვანესია **ტიერი ანრიც**, რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, მეირა, ბოკა (ან მანინი), ბაშთურქი, ჰილბერტი, პარდო, ხედირა, კაკაუ, გომესი.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, გ. მილიტო, აბიდალი, მარკესი, დეკუ, ინიესტა, რონალდინიო, მესი, ანრი.

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი).

### F ჯგუფი

#### მანჩესტერი-რომა

იმ 7:1-ის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ, 5 თვე გავიდა. შესაბამისად, "რომას", მთელ რომსა და საერთოდ, მთელ იტალიას, ძალიან კარგად ახსოვს მატჩი, რომელშიც "მანჩესტერ იუნაიტედმა" **ლუჩანო სპალეტის** გუნდი დაარბია. ცხადია, იტალიელებს შურისძიება სურთ, მაგრამ იმ მარცხის სრულფასოვანი რევანშირება გამორიცხულია. ფაქტი ის არის, რომ "რომა" ყველაფერს გააკეთებს, რათა დაამტკიცოს, რომ 7:1 შემთხვევითობა იყო. დიდი შანსია, რომ "რომას" **სიმონე პეროტა** და **ალბერტო აკვილანი** დააკლდნენ. ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელებას ალბათ, ვერ მოასწრებს, აი, პეროტას კი აქვს იმის შანსი, რომ ფეხზე დადგეს და დღეს თავის გუნდს დაეხმაროს. სამაგიეროდ, სპალეტი ნაღდად ვერ დაიხმარს **როდრიგო ტადეის**, რომელიც ასევე ლაზარეთშია. მასთან ერთად, გამორიცხულია **მარკო კასეტის** ასპარეზობაც.

*"ის თამაში, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გვახსოვს. საფინალო სასტვენის შემდეგ ხმა არავის ამოუღია, ყველანი დაზაფრულები ვიყავით. ეს იყო შოკი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს სიკვდილამდე ეხსომება. როცა ფორტუნამ ჯგუფში "მანჩესტერთან" ერთად მოგვახვედრა, ყველამ ვთქვით, რომ შურს ვიძიებდით. "მენიუს" დაუნდობელ ბრძოლას გავუმართავთ,"* - აცხადებს სპალეტი.

*"რომა" გულანთებული იქნება, რის გამოც ეს გუნდი ორმაგად საშიშია,"* - ამბობს "მანჩესტერის" დამრიგებელი **სერ ალექს ფერგიუსონი**, - *"მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ თამაშში თუნდაც ფრე დაგვაკმაყოფილებს. 7:1 ალბათ აღარ განმეორდება, მაგრამ ეს არც არის საჭირო. მთავარია, მოვიგოთ და მჯერა, რომ 3 ქულას ავიღებთ."* ფერგიუსონი დღეს **ედვინ ვან დერ სარს** ვერ დაიხმარს. ჰოლანდიელმა მეკარემ "ბირმინგემთან" მატჩში (1:0) ტრავმა მიიღო. ვან დერ სარს დღეს მანკუნიანელთა სათადარიგო გოლკიპერი **ტომაშ კუშჩაკი** შეცვლის.

სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი:** კუშჩაკი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ქერიკი, კ. რონალდო, სქოულზი, გიგზი, რუნი, ტევესი.

**რომა:** დონი, პანუჩი, ჟუანი, მექსე, ტონეტო, ჟიული, დე როსი, პეროტა, პიზარო, მანსინი, ტოტი.

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი).

#### დინამო-სპორტინგი

კიევის "დინამო" და ლისაბონის "სპორტინგი" პირველ ტურში დამარცხდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც დღეს მოიგებს, "რომასთან" და "მანჩესტერთან" ბრძოლის შანსს შეინარჩუნებს. წაგება უკრაინული გრანდისთვისაც კატასტროფის ტოლფასი იქნება და პორტუგალიური გუნდისთვისაც. ამასთან, ფრე არცერთს არ აძლევს ხელს. "სპორტინგს" რუსი **მარატ იზმაილოვი** გამოუჯანმრთელდა და ჩვენი რუსი კოლეგების ცნობით, ის დღეს აუცილებლად ითამაშებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო:** შოვკოვსკი, ელ ქადური, ფიოდოროვი, მარკოვიჩი, ნესმაჩნი, ბელკევიჩი, მიხალიკი, იუსუფი, გუსევი, შაცკიხი, ბანგურა.

**სპორტინგი:** სტოიკოვიჩი, აბელი, ანდერსონ პოლგა, რონი, ტონელი, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ველოსო, იზმაილოვი, ლიედსონი, იანიკი.

**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი).

### G ჯგუფი

#### ცსკა-ფენერბაჩე

მოსკოვის ცსკა-ს უმძიმესი მატჩი ელის. რუსები ვალდებულები არიან, მხოლოდ სამ ქულაზე იფიქრონ, რადგან მარცხის ან ფრის შემთხვევაში, საქმეს ძალიან გაირთულებენ. "ფენერბაჰჩე" კი თავისუფლად ითამაშებს, რადგან ამ გუნდმა პირველივე ტურში მაქსიმუმს მიაღწია და ჯგუფის ფავორიტი "ინტერი" დაამარცხა. **ვალერი გაზაევის** გუნდს რუსეთის ჩემპიონატში საქმეები ძალიან ცუდად მისდის - არმიელები მხოლოდ მე-4 ადგილზე არიან. ამიტომაცაა, ნახევარმცველი **როლან გუსევი** რომ ამბობს, ფანების თვალში რეაბილიტაციას ჩემპიონთა ლიგაში ვეცდებითო. ფაქტია, რომ პირველ ტურში მოსკოველებს ეს არ გამოუვიდათ, რის გამოც წნეხის ქვეშ არიან მოქცეულები.

*"ჩვენთვის "ინტერის" დამარცხება სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო,"* - აცხადებს ფენერის ფორვარდი **მატეა კეჟმანი**, - *"იმ გუნდების 70 პროცენტი, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში პირველ თამაშს იგებენ, მერვედფინალში გადიან ხოლმე. გაგვიმართლა, რომ მოსკოვში ჩასვლა ოქტომბერში გვიწევს და არა უფრო გვიან, რადგან რუსეთის დედაქალაქში ახლაც ძალიან ცივა და მერე უფრო აცივდება. ფაქტია, რომ ცსკა შარშანდელ სეზონთან შედარებით დასუსტებულია. ეს პირველმა ტურმაც დაამტკიცა."*

თურქული კლუბის თავკაცი **ზიკო** შეგირდებისგან ისეთივე მონდომებასა და კონცენტრაციას ითხოვს, როგორც ეს "ინტერთან" მატჩის შემთხვევაში იყო. ლეგენდარული ბრაზილიელი მიიჩნევს, რომ თუ მისი გუნდი მოსკოვშიც მოიგებს, "ფენერი" აუცილებლად ითამაშებს მერვედფინალში. ცნობილია, რომ ზიკო დღესაც ვერ გამოიყენებს **სტეფან აპიას**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ცსკა:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შემბერასი, დუდუ, კრასიჩი, რახიმიჩი, ჟირკოვი, ჟო, ვაგნერ ლავი.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, ბარისი, ლუგანო, თურაჩი, რობერტო კარლოსი, აურელიო, ალექს დე სოუზა, ედუ, ვედერსონი, კეჟმანი, დეივიდი.

**მსაჯი:** კნუტ კირხერი (გერმანია).

#### ინტერი-ეინდჰოვენი

"ინტერმა" პირველი ტურის მატჩი შარშანაც წააგო და წლეულსაც. მაგრამ მილანური გრანდის გულშემატკივრები ამისგან ტრაგედიას არ ქმნიან, რადგან "ნერაძურიმ" შარშანაც მოახერხა მერვედფინალში გასვლა და ფანებს იმედი აქვთ, რომ მათ საყვარელ გუნდს პრობლემები არც შეექმნება. **რობერტო მანჩინის** თქმით, "ფენერბაჰჩესთან" განცდილი მარცხი უკვე დავიწყებულია და "ინტერიც" ვალდებულია, რომ "ეინდჰოვენს" "სან სიროზე" 3 ქულა დაატოვებინოს.

ეს გუნდები ევროტურნირებზე ერთმანეთს პირველად ხვდებიან, მაგრამ თუ "ინტერის" ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ "ნერაძური" ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ამ გუნდს ჰოლანდიურ კლუბებთან ფეხი არაერთხელ დასცდენია. 1971/72 წლებში, "ინტერი" პირველად შეხვდა ჰოლანდიურ კლუბს - "ნერაძური" ჩემპიონთა თასის ფინალში, "აიაქსთან" 0:2 დამარცხდა და იმ შეხვედრაში ორივე გოლი **იოჰან კრუიფმა** გაიტანა. საერთო ჯამში, "ინტერმა" ჰოლანდიურ კლუბებთან სულ 15 მატჩი გამართა და ბალანსი აბსოლუტურად თანაბარია: 5 მოგება, 5 ფრე, 5 მარცხი.

გასულ უქმეებზე მცირე ტრავმა მიიღო **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, მაგრამ მანჩინის თანაშემწე **სინიშა მიხაილოვიჩი** დარწმუნებულია, რომ შვედი ფორვარდი გამოჯანმრთელებას მოასწრებს და "ეინდჰოვენთან" აუცილებლად იასპარეზებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, სამუელი, მაქსველი, რივასი, სტანკოვიჩი, დაკური, კამბიასო, სოლარი, სუაზო, იბრაჰიმოვიჩი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, ადო, და კოშტა, სალსიდო, ალსიდესი, აფელეი, კულინა, სიმონსი, მენდესი, კუვერმანსი, ლაზოვიჩი.

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი).

### H ჯგუფი

#### სტიაუა-არსენალი

"სტიაუამ" პირველ ტურში "სლავიასთან" წააგო და თუ რუმინელებს პლეიოფში თამაში სურთ, ძალები უნდა მოიკრიბონ და ლონდონის "არსენალი" "გენჩეადან" ხელცარიელი უნდა გააბრუნონ. მაგრამ **არსენ ვენგერის** გუნდის დამარცხება დღესდღეობით ძალიან ძნელია, რადგან "მეთოფეები" შესანიშნავ ფორმაში არიან. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ალექსანდრ გლების** ასპარეზობა. ბელორუსი ნახევარმცველი ტრავმირებულია და ცოტაა იმის შანსი, რომ დღეს სალამომდე მწყობრში ჩადგომა მოასწროს.

სავარაუდო შემადგენლობები

**სტიაუა:** ზაპატა, გოიანი, მარინი, ბადოი, რადა, კრისტოჩეა, ლოვინი, ნიკოლიტა, დიკა, პეტრე, იაკობი.

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, სენდეროსი, კოლო ტურე, სანია, გლები, ფლამინი, ფაბრეგასი, დიაბი, ადებაიორი, ვან პერსი.

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია).

#### სევილია-სლავია

უეფას თასის ორგზის ტრიუმფატორ "სევილიას", ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩი ჩაუმწარდა და თუ **ხუანდე რამოსის** ბიჭები დღეს "სლავიასაც" ვერ დაამარცხებენ, საქმეს ძალიან გაირთულებენ. მით უმეტეს, რომ ჩეხურ კლუბს აქტივში 3 ქულა აქვს - პრაღელებმა ორი კვირის წინათ "სტიაუა" დაამარცხეს.

*"საკუთარ მოედანზე ვხვდებით გუნდს, რომელსაც აუცილებლად უნდა მოვუგოთ. სხვა შედეგი, რა თქმა უნდა, არ დამაკმაყოფილებს,"* - აცხადებს სევილიელთა დამრიგებელი.

სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, მარტი, დუდა, პოულსენი, რენატო, ხესუს ნავასი, კეიტა, კანუტე.

**სლავია:** ვანიაკი, ბრაბეცი, დრიზდალი, ლატკა, სუხი, ბელაიდი, პუდილი, კრაიჩიკი, ტავარესი, ვლჩეკი, შენკერიკი.

**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. VI ტურის გამოხმაურება



ტრეზეგეს გოლი, რომელსაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა

# ანჩელოტი: აი, რატომ ველარ ვიგებთ...

"მილანი" ჩემპიონატში ნამდვილად არ შეიხედება. **კარლო ანჩელოტის** შეგირდებს 5 ტურია არ გაუმარჯვიათ. მარტო საკუთარ მოედანზე გუნდმა უკვე 6 ქულა დაკარგა. ამას ემატება ისიც, რომ გოლები ვერ გააქვთ ფორვარდებს. "როსონერი", ჯერჯერობით, **კაკასა** და **კლარენს ზეედორფის** იმედზეა (8-დან 6 გოლი სწორედ მათ ანგარიშზეა). ეტყობა, სანამ **რონალდო** არ დაბრუნდება, თავდასხმის პრობლემას არ ეშველება.

გუშინ, ანჩელოტი პრესას წარუმატებლობის მიზეზებზე ესაუბრა. კარლეტომ თავიდანვე უცნაური განმარტება გააკეთა - აქაოდა, შინ ისეთ გუნდებთან დავკარგეთ ქულები, რომლებიც დაცვაში საიმედოდ თამაშობენო. რა რა და, იტალიურ გუნდებს დაცვაში თამაში რომ ეხერხებათ, ანჩელოტისთვის ახალი ამბავი არ უნდა იყოს. ამ ლოგიკით "მილანი" თამაშს ველარ მოუგია და ეგაა...

*"ფაქტია, რომ პრობლემები გვაქვს და ამაში დაეჭვება არ შეიძლება. საკუთარ მოედანზე ზედიზედ სამი ფრე ვითამაშეთ. ჩვენ შევხვდით იმ გუნდებს, რომლებიც ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ და ძლიერი დაცვით გამოირჩევიან. ამგვარი სათამაშო სისტემის წინააღმდეგ მთავარი იარაღი საჯარიმოში ჩაწოდებებია. მაგრამ პრობლემაც იმაშია, რომ ჩვენ არ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც საჰაერო ბურთებზე კარგად თამაშობენ. ისე კი, გუნდში ჩინებული ატმოსფეროა, ფეხბურთელები ერთ მუშტად არიან შეკრულნი და სწორედ ეს იყო გასულ წელიწადს ჩვენი წარმატების მთავარი წინაპირობა".*

წარსულით ტკბობა იქით იყოს და, შეიძლება, ცოტა სხვაგვარად ყოფილიყო საქმე, არბიტრს **ფილიპო ინძაგის** გოლი რომ ჩაეთვალა. იმ ეპიზოდში რეფერიმ **კახა კალაძეზე** ხელით თამაში დააფიქსირა, რაზეც მიმომხილველებმა ეჭვი გამოთქვეს. რაც შეეხება კალაძეს, მოგვიანებით ის გააფრთხილეს, მერე კი ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. საეჭვოა, ჩვენებურმა ზეგ "სელტიკთან" თამაში მოახერხოს. მაგრამ დავუბრუნდეთ ანჩელოტის:

*"სირთულეა იმაშიც, რომ სერია A-სა და ევროპაში თამაშის ორ განსხვავებულ სტილთან გვიწევს შეჯახება. ჩვენი ჩემპიონატი ძალიან დამღლელია, რადგან, მაგალითად კაკას, მუდმივად უწევს ბრძოლა ჩაკეტილი სივრცეების წინააღმდეგ, ლიგაში კი სხვა სტილის გუნდები არიან. ისინი მეტოქეს მეტ თავისუფლებას აძლევენ. ანუ, თავადაც ცდილობენ ფეხბურთის თამაშს და შენც გათამაშებენ".*

ახლა, ანჩელოტის "სელტიკთან" გასვლითი მოგება სჭირდება, რათა უკმაყოფილო ტიფოზების გული ცოტათი მაინც მოიგოს. მაგრამ რა ეშველება სერია A-ში დაკარგულ ძვირფას ქულებს?



კარლო ანჩელოტი და მაურო ტასოტი კატანიასთან მატჩის დროს

# ნოველინო: თამაშგარე იყო!

## არბიტრს წესების შეცვლის უფლება არ აქვსო...

კვირას, მეექვსე ტურის ბოლო მატჩში "იუვენტუსმა" არბიტრის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთზე "ტორინო" **დავიდ ტრეზეგეს** გოლით დაამარცხა. ტურინული დერბი არ იყო საინტერესო, მაგრამ იყო ბევრი ბრძოლა, დრამატიზმი და ვნება, რაც ნებისმიერი დერბისთვის განუყრელი ატრიბუტია. ასე რომ, ამ მხრივ, თამაში გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა. ორივე გუნდი შორს იყო გააზრებული ქმედებებისგან, სწრაფი კონტრშეტევებისგან, აღარაფერს ვამბობთ საგოლე მომენტებზე... ფაქტობრივად, "იუვენტუსმა" ერთადერთი შანსი გამოიყენა, მაგრამ ეპიზოდში ბრალი მიუძღვოდა "ტოროს" მცველ **პაოლო დელაფიორეს**, რომელმაც, რატომღაც, ბურთი საკუთარი კარისკენ მოიგერია.

დამარცხებულ მხარეს მკაცრი რეაქცია ჰქონდა ტრეზეგეს გოლზე. "ტორინოს" მწვრთნელი **ვალტერ ნოველინო** ამტკიცებს, რომ "იუვეს" ფორვარდმა გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა. ცხადია, ნოველინოს განცხადება მარცხის მსაჯებზე გადაბრალების მცდელობად შეიძლება აღვიქვათ, თუმცა სჯობს, არგუმენტებს გავეცნოთ:

*"ტრეზეგემ მოძრაობა დაიწყო თამაშგარის პოზიციაში. არ მესმის, ნუთუ რეფერის აქვს უფლება, წესები შეცვალოს? ძალიან გაბრაზებული ვარ. როცა ვიღაც თავს იკლავს შედეგისთვის, ხოლო სხვა კი, თავისი შეცდომის გამო, ღირებულ ქულას ჯიბიდან აცლის, დამეთანხმებით, ძნელი გადასატანია".*

სიტუაცია მართლაც საკამათო იყო. თუმცა თამაშგარის წესებში შეტანილი ცვლილება მაინც ტრეზეგეს სასარგებლოდ მოქმედებს, რადგან იმ მომენტში, ვიდრე ბურთი მისკენ არ მოძრაობდა, "ოფსაიდი" აშკარად კი ჩანდა, მაგრამ ბურთის მიღების მომენტში ფრანგი ნამდვილად არ ყოფილა თამაშგარეში და რომც ყოფილიყო, მცველის ფაქტორი ამას თავშივე გამორიცხავს.

ამავე დროს, ეს ინტერპრეტაციის საკითხიცაა. გააჩნია, როგორ შეაფასებს სიტუაციას თავად არბიტრი (ან ლაინსენი). მსგავს ვითარებაში, მას შეუძლია ჩათვალოს, რომ ფეხბურთელი პასიურ თამაშგარეშია და მომენტზე გავლენას ვერ ახდენს, ან კიდევ პირიქით. ტრეზეგემ პასი მიიღო ("ტორინოს" მცველის გავლით, რაც ნებისმიერ შემთხვევაში არ ჩაითვლებოდა თამაშგარე მდგომარეობად) **სერხიო ალმირონისგან**, რომელსაც ბურთის სხვა მიმართულებით გაგზავნაც შეეძლო. ასე რომ, ყველაფერი არბიტრის ხედვაზეა დამოკიდებული და ამ კონკრეტულ სიტუაციაში მას ვერ გაამტყუნებენ.

ნოველინო ამტკიცებს იმასაც, რომ პირველად არ ხდება, როცა "ტორინო" მსაჯების შეცდომების გამო ისჯება და სთხოვს არბიტრთა კურატორ **პიერლუიჯი კოლინას**, ამ "ფაქტებს" ყურადღება მიაქციოს: *"კოლინასგან მხარდაჭერა გვჭირდება. ძალიან ვწუხვარ იმ პოზიციის გამო, რაც ცხრილში გვიკავია, თან იმ პირობებში, როცა კარგად ვთამაშობთ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მსაჯების შეცდომებმა ჩვენს შედეგებზე სერიოზული ნეგატიური გავლენა იქონია".*

მწვრთნელის გულისტკივილს "ტორინოს" პრეზიდენტი **ურბანო კაიროც** უერთდება: *"კიდევ ერთხელ მიხდება საუბარი იმაზე, რომ მსაჯების შეცდომების მსხვერპლნი ვხდებით, და თანაც, ეს ხდება ზედიზედ მესამედ. "სიენასთან" მატჩში ორი არარსებული პენალტი დაგვინიშნეს, მომდევნო შეხვედრაში კი ჩვენი ფეხბურთელი ჩეზარე ნატალი საჯარიმოში აშკარად მოცელეს, მაგრამ არბიტრს ყურიც არ შეუბერტყავს. ამ სიტუაციაში ისღა დამრჩენია, ფეხბურთელებს მადლობა გადავუხადო. მათ მოედანი თავაწეულებმა დატოვეს. ჩვენთვის ეს მორალური გამარჯვებაა".*

# რანიერი: ეს ჩვენი ხასიათია!

ვიდრე **ვალტერ ნოველინო** მსაჯების გამო წუწუნებდა, "იუვენტუსის" მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** ხოტბას ასხამდა თავის გუნდს, თუმცა არც მეტოქე დავიწყნია. *"დერბი სპეციფიური მოვლენაა და ამდენად, დღევანდელი გამარჯვება კმაყოფილებით ამავსებს. ეს არ იყო ლამაზი ფეხბურთი, მაგრამ ეს იყო ბრძოლა, რომელშიც ორივე გუნდს გამარჯვება სურდა".*

რანიერი საგანგებოდ შეეხო **დავიდ ტრეზეგესაც**: *"ის ახლა ბრწყინვალე ფორმაშია. განსაკუთრებით, მსურს ხაზი გავუსვა ერთ მომენტს: მეტოქის მცველები ტრეზეგესგან ახლა გაცილებით მეტ წნეხს განიცდიან, ვიდრე ადრე იყო. მთლიანად გუნდმაც თავისი მტკიცე ხასიათი აჩვენა. მწვრთნელს შეუძლია, ბევრი ელაპარაკოს ფეხბურთელებს და სათამაშოდ განაწყოს, მაგრამ თუ მოთამაშეებს შინაგანად არ აქვთ მოტივაცია, არაფერი გამოვა".*

"იუვეს" თავკაცმა საგანგებოდ აღნიშნა "ტორინოს" კარგი თამაშიც: *"მეტოქემ დიდი ფეხბურთი ითამაშა. ჩვენ ერთი წამითაც არ გვქონია მოდუნებისა და ამოსუნთქვის საშუალება. თანაც, ეს დერბი ბევრი ჩვენი ფეხბურთელისთვის პირველი იყო კარიერაში და ამაშიცაა ჩვენი გამარჯვების მნიშვნელობა. სწორედ ასეთ შეხვედრებში იწრთობა კლასი და ხასიათი".*

ექვსი ტურის შემდეგ "იუვენტუსი" მეორე ადგილზეა და ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერად მოვლენილ "ინტერს", რომელმაც ბოლო ორ ტურში მართლაც ჩემპიონური თამაში აჩვენა. *"ინტერი" მაინც "ინტერია". არადა, ერთი კვირის წინათ მედია ხმამაღლა საუბრობდა იმაზე, რომ "ნერაძური" კრიზისშია. დღეს ამ გუნდს ჩვენ ცხრილის სათავეში ვხედავთ. ასე რომ, ყველაფერი ნათელია. ძალიან ძნელი იქნება "ინტერთან" კონკურენცია. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენ ევროტურნირებში არ ვთამაშობთ და შეგვიძლია, თავი მათზე უფრო მხნედ ვიგრძნოთ, საშუალებას მოგვცემს, კონკურენტებს მოსვენება არ მივცეთ. და თუ სეზონის ბოლომდე ცხრილის ამ ნაწილში დავრჩებით, ეს ძალიან კარგი იქნება".*

კომენტარი გააკეთა **ჯანლუიჯი ბუფონმაც**: *"ინტერს" 20 თანაბარი ძალის ფეხბურთელი ჰყავს, რითიც ჩვენ ნამდვილად ვერ დავიკვეხნით. დღევანდელი "ინტერი" მაგონებს იმ გუნდს, რომელიც "იუვენტუსს" რამდენიმე წლის წინათ ჰყავდა. ოცნებებთან პრობლემები არ მაქვს და ვერც ვერავინ დაგვიშლის, რომ ვიოცნებოთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ "ინტერთან" მეტოქეობაზე ფიქრი ჯერ ადრეა. მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდეთ".*



კლაუდიო რანიერი

## მოურინიო რანიერის ჩაუსაფრდა?

ინგლისური სააგენტოების ცნობით, **ჟოზე მოურინიომ** შეიძლება იტალიას მიაშუროს და "იუვენტუსის" მწვრთნელად დაინიშნოს. თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ასეთი რამ ნამდვილად შეიძლება მოხდეს, მაგრამ საკითხავია, როდის? **კლაუდიო რანიერის** "იუვესთან" ორწლიანი კონტრაქტი აქვს. ის "ბებერი ქალბატონის" პირველი არჩევანი არ ყოფილა. ტურინელი ბოსები მანამდე **მარჩელო ლიპის** დაყოლიებას ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. რანიერის წასვლა-დარჩენის საკითხი კი შედეგებზე იქნება დამოკიდებული. თუ ის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანს, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ "იუვენტუსი" მწვრთნელს ხელშეკრულებას გაუგრძელებს, თუ არა და...

ამ სცენარის მიხედვით, თუ მოურინიო ტურინში გადაბარგებაზე სერიოზულად ფიქრობს, მინიმუმ ივნისამდე მოუწევს ლოდინი. არადა, ის აცხადებს, რომ მალე დაბრუნდება (შეიძლება, ინტრიგას ხელოვნურად ამძაფრებდეს). პრინციპში, იმ კომპენსაციით, რასაც "ჩელსისგან" მიიღებს, შეუძლია ფეხი ფეხზე გადაიდოს და კარგა ხანს დაისვენოს, მაგრამ ასე არ იქნება. ჟოზეს მუშაობა სწადია. და თუ ის მართლაც რანიერის შეცვლის, ამ ორი მწვრთნელის კარიერაში ეს მეორე შემთხვევა იქნება. 2004 წელს მოურინიომ "ჩელსიში" სწორედ რანიერის ადგილი დაიკავა...

# მანდორლინი და ორსი ცხელ სკამზე

## სიენისა და ლივორნოს მწვრთნელებს გადაყენება ემუქრებათ

მიუხედავად "ლივორნოს" პრეზიდენტ **ალდო სპინელის** გაფრთხილებისა, **ფერნანდო ორსის** შეგირდებმა შაბათს მორიგი მარცხი იწვნიეს. სპინელიმ მწვრთნელს გარკვევით მიანიშნა, რომ მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და თუ სიტუაცია დროულად არ გამოსწორდება, რადიკალურ ზომებს მიმართავს. შესაძლოა, ორსიმ მის გუნდზე გაცილებით ძლიერ "ფიორენტინასთან" საშინაო მარცხი, თუნდაც 0:3, კატასტროფად არ ჩათვალოს, მაგრამ ის თამაში, რაც "ლივორნომ" აჩვენა, გამართლებას ნამდვილად ვერ ჰპოვებს. შესაბამისად, მწვრთნელს მალე მოუწევს პასუხისგება პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც, თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, მის სავარაუდო შემცვლელთა სია უკვე ჩამოწერილი აქვს. სხვადასხვა ვერსიით, "ლივორნოში" შეიძლება ვიხილოთ **ფრანჩესკო გვიდოლინი, ზდენეკ ზემანი, ჯანი დე ბიაზი** ან კიდევ კოლორიტული **სერსე კოზმი**, რომლის "ბრეშა" სერია B-ს ერთ-ერთი ლიდერია.

სპინელის აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზაფხულში ტრანსფერებზე დახარჯული უპრეცედენტოდ დიდი თანხა წყალს მიაქვს. პრეზიდენტი მართალია. ამ შემადგენლობით, "ლივორნოს" თავისუფლად შეუძლია უეფას თასზე გასვლა, თუმცა, ჯერჯერობით, ცხრილის ფსკერზეა და ქვედა დივიზიონისკენ თავქუდმოგლეჯილი მიექანება.

მწვრთნელი შეიძლება შეიცვალოს "სიენაშიც", თუმცა სხვა მიზეზით. მართალია, ტოსკანურ კლუბს ჯერ მოგება არ აქვს და კლუბის ხელმძღვანელობას **ანდრეა მანდორლინისთანაც** უნდა ჰქონდეს პრეტენზიები, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის გაცდენას. ეს კი საფეხბურთო ლიგის რეგლამენტის უხეში დარღვევაა, თუმც ეს შეიძლება საბაბი გახდეს რადიკალური ნაბიჯისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განსაკუთრებული ადამიანი

# ჟოზე მოურინიო: ჩელსიში დავბრუნდები!

**ჟოზე მოურინიომ სენსაციური განცხადება გააკეთა. მას თურმე, "სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნების დიდი სურვილი აქვს. როგორც იცით, მოურინიომ "ლურჯები" კლუბის მფლობელ რომან აბრამოვიჩთან დაძაბული ურთიერთობის გამო დატოვა, მაგრამ ისე უყვარს "ჩელსი", რომ ხმაურიან დაბრუნებას არ გამორიცხავს.**

**"როცა კლუბის ყველა წევრი, დაწყებული მზარეულიდან, დამთავრებული ბურთის მომტანი ბიჭებით, ბოსს გიწოდებენ, ეს ძალზე ბევრს ნიშნავს. სწორედ ამიტომ მსურს დაბრუნება. რატომაც არა? აქ დაბრუნების ძალიან დიდი სურვილი მაქვს. ხალხს ვუყვარვარ და მეც მიყვარს ისინი", - აღნიშნა მოურინიომ და მეგობრებს გაუმხილა: "ვფიქრობ, დავბრუნდები თუ რომან აბრამოვიჩი წასვლას განიზრახავს. მომენატრება ინგლისური ფეხბურთი - ვნება, სავსე სტადიონი, მატჩებისწინა და შემდგომი კულტურული ურთიერთობა... ვაღმერთებ აქაურ ფეხბურთელებს თავისი უდიდესი ბუნებით"...**

## დრამატული

სერ ალექს ფერგიუსონთან, რაფა ბენიტესთან და არსენ ვენგერთან საჯარო დაპირისპირების მიუხედავად, **ჟოზე მოურინიო** ამბობს, რომ მწვრთნელებს შორის განსაკუთრებული მეგობრობა მაინც არსებობს. მოურინიოზე, თურმე, ძალზე იმოქმედა რამდენიმე გამამხნევებელმა სატელეფონო ზარმა.

*"არ მგონია, რომელიმე მენეჯერი ბედნიერი იყოს სხვისი პრობლემებით. ერთადერთი პრობლემა, რომელსაც ერთმანეთს ვუქმნით, არის მატჩის მოგება. ვიცი, რომ მათ არ სიამოვნებთ ჩემი წასვლა. ასევე, მეც არ მომეწონა, როცა კრის კოულმენი გააგდეს. არსენ ვენგერთან შელაპარაკება მომიხდა, მაგრამ, ამავე დროს, რამდენჯერმე კარგი შეხვედრებიც გვქონდა უეფას შეკრებებზე. მცირე შეხლა-შემოხლა მქონდა სერ ალექს ფერგიუსონთან, მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში კარგი მომენტებიც იყო"*, - აღნიშნა პორტუგალიელმა.

სწორედ ამიტომ მიაჩნია მას, რომ დრამატული წასვლის მიუხედავად, ინგლისში დაბრუნება არ გაუჭირდება. ის აგრძელებს: *"2004 წელს "ჩელსიში" ჩემი მისვლა სწორი გადაწყვეტილება იყო, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნების კლუბებიც მეპატიჟებოდნენ".*

მისი მომდევნო ნაბიჯი სამუშაოს ძებნა იქნება, რადგან სეზონის ბოლომდე მას ინგლისში მუშაობა ეკრძალება. თუმცა მოურინიო აცხადებს: *"პიტერ კენიონი ტყუის, როცა ამბობს, რომ ინგლისში არასდროს დავბრუნდები. აუცილებლად ჩამოვალ"!*

მისი მამაცი ღიმილი არასდროსაა ყალბი, თუმცა ჩანს, რომ წყენას ვერ მალავს. "ჩელსის" ისტორიაში უდიდესმა მწვრთნელმა, რომელმაც საკუთარ თავს "განსაკუთრებული ადამიანი" უწოდა, სახის გამომეტყველება შეიცვალა: *"ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეული გამოცდილება მივიღე. ასეთი რამ არსად, არც ერთ კლუბში არ განმიცდია. სხვაგან, არსად ამდენ ხანს არ დავრჩენილვარ. მართლაც მიყვარდა ეს კლუბი, რადგან "ჩელსის" ოჯახში ძალიან ბევრი კარგი და დასამახსოვრებელი მომენტი გვქონდა".*

მოურინიოს გონება ცოტა ხნით "მოგზაურობს" იმ პერიოდში, როცა მისმა გუნდმა პრემიერლიგა, კარლინგის თასი ორ-ორჯერ და ასოციაციის თასი მოიგო. ის რეაგირებს იმ საშინელ სიტუაციაზეც, რომელშიც მისი შემცვლელი **აბრაამ გრანტი** აღმოჩნდა. თუმცა მალე ემოცია უბრუნდება:

*"ემოციების მოთოკვა ადვილი არ არის, მაგრამ უნდა ვეცადო, ზედმეტად აღელვებული არ ვიყო. ვიტირე? ცრემლები ჩამომცვივდა, მაგრამ თავის შეკავება მაინც მოვახერხე, თუმცა ეს ძალიან ძნელი იყო, რადგან მიმძიმს ამდენი კარგი ადამიანის მიტოვება, ხალხისა, რომელთან ერთადაც დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი. ძალიან ვწუხვარ".*

## თითი

*"მაგრამ არ ვბრაზობ. არაფერზე! არც სიმწარეა დარჩენილი".* მოურინიოს შეუძლია, სხვა უცებ დაადანაშაულოს და მისკენ თითი გაიშვიროს, მაგრამ არა საკუთარი თავისკენ. ის ადასტურებს, რომ "ლურჯების" მფლობელ **რომან აბრამოვიჩთან** ურთიერთობა მოულოდნელად დაიძაბა, მაგრამ როცა ამ სიტუაციაში მას ადანაშაულებენ, რეაქცია მომენტალური და უტიფარია.

*"საკუთარ თავს ვადანაშაულებ? არა. მე ჟოზე მოურინიო ვარ, მთელი ჩემი კარგი და ცუდი მხარეებით. მე არ შევიცვლები. არ მსურს იმის შეცვლა, რასაც ვაკეთებ. ამიტომაც საკუთარ თავს არ ვადანაშაულებ! როგორ უნდა დავაბრალო საკუთარ თავს რამე, როცა ვტოვებ ქვეყანას და ხალხს, რომელსაც არ უხარია ჩემი წასვლა? კარგი იქნება, თუ ყველა გულშემატკივარს შევკრებ, რათა საბოლოოდ გამოვემშვიდობო, მაგრამ ვშიშობ, რომ ისინი სიყვარულით გამჭყლეტენ. კლუბს, გულშემატკივარს არ უხარია, და არც მეტოქეებს. მსაჯებიც კი სწუხან. დიახ, რამდენიმე რეფერიმ დამირეკა და მითხრა, რომ წუხს, მაგრამ არა გვერდითმა მსაჯმა, რომელიც "ბლექბერნთან" მატჩზე მუშაობდა"!*

ცნობისთვის, ეს ის ლაინსმენია, რომელმაც სათუო თამაშგარე დააფიქსირა და **სალომონ კალუს** მიერ გატანილი გოლი არ ჩაითვალა.

ისმის კითხვა - წავიდოდა მოურინიო, "ჩელსი" ლიდერი რომ ყოფილიყო? ის პასუხობს: *"არ ვიცი, თუმცა "ჩელსიში" საუბრობენ ურთიერთობის გაუარესებაზე. "ბლექბერნი" რომ დაგვემარცხებინა, ან ფრე გვეთამაშა, ანდაც წაგვეგო, ვფიქრობ, სიტუაცია არ შეიცვლებოდა".*

მოურინიო ადასტურებს, რომ მისი წასვლა გარდაუვალი იყო, მაგრამ რეპუტაცია არ შელახვია: *"ჩემზე არაფერს უმოქმედია. ეს ჩემი პრობლემა არაა. უკვე ორი შემოთავაზება გაჩნდა, მაგრამ ამის თაობაზე არაფერს ვიტყვი და არც იმაზე, დაინტერესებული ვარ თუ არა ამ წინადადების განხილვით. დავიღალე. დრო მჭირდება, არა იმიტომ, რომ სტრესის ქვეშ ვარ, ანდა შვებულება მინდა, რათა სამი თვით მსოფლიო შემოვიარო და დავისვენო. დრო მჭირდება ფეხბურთში შექმნილი სიტუაციის გამო. მწვრთნელს არავინ აგდებს სექტემბერში ან ოქტომბერში. ეს არანორმალურია. ასე რომ, მზად ვარ, თუ სამუშაო გამოჩნდება".*

## აჩრდილები

მოურინიო უკვე მომავალზე ფიქრობს, შორს "სტემფორდ ბრიჯის" აჩრდილებისგან, როგორიცაა ამხანაგი აბრამოვიჩი.

საკუთარ, აწ უკვე ძველ ბოსზე მან თქვა: *"ვფიქრობ, მას უყვარს ფეხბურთი, ვფიქრობ - "ჩელსიც". სხვა თუ არაფერი, ეს მისი კლუბია. არაფერი ვიცი მისი ცხოვრების შესახებ, არ ვიცი, რის გაკეთებას აპირებს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ფეხბურთში ყოფნა სურს. არა მგონია, მოთმინებას ან ინტერესს კარგავდეს. სიმართლე ისაა, რომ ურთიერთობა პატარა დეტალის ან სხვა რამის გამო არ გაფუჭებულა. დაძაბულობა გარკვეული დროის განმავლობაში წარმოიშვა".*

იმას, თითქოს მისმა ყოფილმა ბოსმა უმთავრესი როლი ითამაშა მწვრთნელის გაშვებაში, მოურინიო ასე პასუხობს: *"არ მაინტერესებს, ვინ მითავაზა ზურგში მუშტი, არ მაინტერესებს, არის თუ არა ეს სიმართლე. არ მსურს დროის და ენერგიის დახარჯვა ამ სიტუაციაზე ფიქრში. ყველაფერი დასრულდა. "ჩელსიც" დასრულდა. არ მაინტერესებს ის, თუ რა ხდება ამჟამად "ჩელსიში". ვის ყიდულობენ, ვის ყიდიან, ვინაა მწვრთნელი - ჩემთვის ყველაფერი სულერთია, რადგან არაფერში ვმონაწილეობ. მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რაც გავაკეთე - გზით, რომლითაც დავიწყე და დავასრულე. როგორ გამიხსენებენ? დრო საუკეთესოდ განსჯის. მჯერა, რომ ყველაზე დიდი მიღწევა გასულ სეზონში ასოციაციის თასის მოგება იყო. "უემბლიზე" ფანტასტიკური მომენტები გადავიტანე. ბავშვობისას, ამ სტადიონზე თასის ფინალებს ვუყურებდი და ვწუხდი, რომ ასოციაციის თასი არ მქონდა მოგებული. ასე რომ, იმ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის".*

თუმცა ოთხი თვის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა: *"მათ არ გავუგდივარ. კარი არ მომიხურავს. ორივე შევთანხმდით, რომ უნდა წავსულიყავი".*

მაგრამ ეს ხომ დიპლომატიური გზა არის საკომპენსაციო თანხის გადახდის დაცვის მიზნით? მოურინიო ამტკიცებს: *"ხომ მიცნობთ? ის კაცი არ ვარ, რომელსაც ულაპარაკოდ ყიდულობენ. შანსი არაა. რომ გავეგდე, ვიტყოდი, რომ გამაგდეს. კარი რომ მომეხურა, ვიტყოდი, რომ კარი მოვიჯახუნე".*

## უცნაური

*"როცა ვამბობ, რომ ურთიერთობა დაიძაბა, უნდა იცოდეთ, რომ სიმართლეს ვამბობ. "ჩელსიში" არ ამბობენ, რატომ დაიძაბა ურთიერთობა, მეც არ ვაპირებ მიზეზებზე საუბარს. რაც მოხდა, მოხდა".*

მოურინიო ადასტურებს, რომ უმუშევრობა მისთვის უცნაურია და ამიტომაც არ უნახავს "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" ჭიდილი: *"კვირას ჩელსიში ვიქნები. იქვე ვივარჯიშებ და ბავშვებს ველოსიპედით გავასეირნებ, მაგრამ მატჩის ყურებას არ ვაპირებ. ტელევიზორით "ჩელსის" თამაშებს, ალბათ, მომავალში ვნახავ, მაგრამ არა უახლოეს ორი-სამ მატჩს".*

**დავით ჩუბინიძე**

## ტურეს ერთი თვე

"ლევანტესთან" მატჩში **იაია ტურესთვის** ძალიან [illegible] ვალენსიელებთან შეხვედრის მიწურულს მან ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. იმ წუთისთვის **ფრანკ რიიკაარდს** ყველა შეცვლა შესრულებული ჰქონდა, ამიტომ კატალონიელებმა შეხვედრა 10 კაცით დაასრულეს. გუშინ ტურეს "ბარსელონის" ექიმებმა საგულდაგულო შემოწმება ჩაუტარეს და აღმოაჩინეს, რომ საყრდენ ნახევარმცველს ბარძაყის კუნთი გაუწყდა. კოტდიუარელის მკურნალობას, სულ მცირე, ერთი თვე დასჭირდება. რიიკაარდისთვის რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, "ლევანტესთან" ტრიუმფალურ შეხვედრაში **გაბი მილიტოც** დაშავდა. ტურეს მსგავსად თამაშის გაგრძელება არგენტინელმაც ვერ შეძლო. გასაჭირში ჩავარდნილი შეგირდი მთავარმა მწვრთნელმა შესვენებაზე **კარლეს პუიოლით** შეცვალა. მილიტო შედარებით იოლად გადარჩა. მას მხოლოდ კუნთი დაეჭიმა. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელმა კვირას ვერ ივარჯიშა, რიიკაარდმა შტუტგარტში ის მაინც წაიყვანა. ჰოლანდიელ სპეციალისტს დიდი იმედი აქვს, რომ გაბი თამაშამდე გამოჯანმრთელდება და "ბარსელონას" დაეხმარება.

## კანს ოპერაცია სჭირდება

შაბათს, ბუნდესლიგის მორიგ ტურში, "ბაიერნის" კარი არა **ოლივერ კანმა**, არამედ **მიხაელ რენზინგმა** დაიცვა. რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ **ჰიტცფელდმა** "ტიტანი" დაასვენა. რენზინგმა ჩინებულად ისპარეზა და გერმანიის ნაკრების დამრიგებელ **იოახიმ ლიოვისგან** ქება დაიმსახურა. მეორე დღეს კი, კანის შემცვლელმა მისთვის სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყო: ოლივერი საოპერაციოა. კანს ხელი აქვს დაზიანებული და ქირურგიული ჩარევა აუცილებელია. ვეტერანი გოლკიპერი 4-იდან 5 კვირამდე დაისვენებს, მაგრამ "ბაიერნის" ქომაგებს სანერვიულო არაფერი აქვთ - რენზინგი კარგ ფორმაშია.

## პანდიანი ლაზარეთში

**ვალტერ პანდიანიმ** გასულ უქმეებზე "ვისენტე კალდერონზე" "ატლეტიკოს" წინაალმდეგ ჩატარებულ შეხვედრაში კუნთი გაიწყვიტა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ასეთი სახის ტრავმას სულ მცირე ერთთვიანი მკურნალობა სჭირდება ხოლმე. ურუგვაელი ფორვარდი მომხდარით ძალიან დამწუხრებულია, თუმცა აცნობიერებს, რომ გამოსავალი მხოლოდ მოთმინებაშია. პანდიანი "ოსასუნის" გულშემატკივრებს პირობას აძლევს, გამოჯანმრთელების შემდეგ ორმაგი ენთუზიაზმით ვითამაშებ და დანაკლისის ანაზღაურებას შევეცდებიო.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რიკელმე სიტიში, 8 მილიონად

### არგენტინელი ინგლისს იანვარში მიაშურებსო

"მანჩესტერ სიტიმ" **ხუან რომან რიკელმეს** დაადგა თვალი. **სვენ გორან ერიქსონი** მზადაა, არგენტინელ ნახევარმცველში 6 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. მწვრთნელმა დირექტორატისგან მყარი ფინანსური გარანტიები მიიღო. საიანვროდ რიკელმე სვენის უმთავრესი სამიზნე იქნება. "სიტიმ" საკუთარ ემისრებს "ვილიარეალთან" მოლაპარაკებების დაწყება დაავალა. მანჩესტერელებს სურთ, ფანჯრის გახსნისას შეთანხმება მიღწეული იყოს, რათა ტრანსფერი უსწრაფესად განხორციელდეს.

რიკელმეს უმძიმესი ზაფხული ჰქონდა. გაზეთები მის ახალ კლუბთან დაკავშირებით ყოველდღე ახალ-ახალ ცნობებს ავრცელებდნენ. ივნისში ხუან რომანს "ბოკა ხუნიორსთან" საიჯარო კონტრაქტი დაუმთავრდა და "ვილიარეალში" დაბრუნდა. "ყვითელი სუბმარინების" თავკაცი **მანუელ პელეგრინი** მას ცივად შეხვდა. დირექტორებმა არგენტინელისთვის ახალი კლუბის ძებნა დაიწყეს. "ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის გამოსყიდვა სცადა. "ვილიარეალმა" 4 მილიონი გირვანქა, **როდრიგო პალასიო** და **მაურო ბოსელის** ან **ჯონათან მაიდანას** სატრანსფერო უფლებების ნახევარი მოითხოვა. ბაირესელებმა ამხელა საფასურის გადახდა არ ისურვეს.

30 აგვისტოს ესპანურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია რიკელმეს მადრიდის "ატლეტიკოში" ჩარიცხვის შესახებ. "ვილიარეალს" კომპენსაციის სახით 8 მილიონი გირვანქა უნდა მიეღო, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. ხუან რომანი "ელ მადრიგალზე" დარჩა. მას 16-ნომრიანი მაისურა უბოძეს. არგენტინელი ფლეიმეიქერი თითქმის არ თამაშობს. ამიტომაც "სიტი" დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელს უპრობლემოდ გადაიბირებს.

ტოტენჰემი

# რამოსი ლონდონს უახლოვდება

### სევილიიდან დათხოვნის შემთხვევაში, მწვრთნელს მამლები შეიფარებენ, კინგს კიდევ სამი თვე გაუცდება...

**ხუანდე რამოსი** "ტოტენჰემს" უახლოვდება. ინგლისელ მიმომხილველებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ სევილიის თავკაცი კარიერას ლონდონში გააგრძელებს. სენიორ რამოსს ორი ტრიუმფალური სეზონის შემდეგ კრიზისის ხანა დაუდგა. "სევილიამ" ბოლო ტურში "სარაგოსასთანაც" წააგო, 0:2. ანდალუსიელები ზედიზედ მეოთხედ დამარცხდნენ. მათი სატურნირო მდგომარეობაც მკვეთრად გაუარესდა. მწვრთნელი პრობლემებთან გამკლავებას ვერ ახერხებს. საკმარისია, სევილიელებმა ჩემპიონთა ლიგაშიც წააგონ, რომ რამოსს კარისკენ მიუთითებენო, წერს "მირორი". და თუ მას დაითხოვენ, რა თქმა უნდა, "ტოტენჰემის" წინადადებას დათანხმდება. სენიორ ხუანდემ ჯერ კიდევ ზაფხულის ტრანსფერებისას აღიარა, ლონდონელებმა ძალიან მაცდური კონტრაქტი შემომთავაზესო. რამოსი "სევილიაში" 2005 წელს დაინიშნა. მას ამ კლუბში მოღვაწეობისას ასეთი ცუდი სერია არ ჰქონია.

"ტოტენჰემთან" დაკავშირებით ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით. "მამლების" კაპიტან **ლედლი კინგს** კიდევ სამი თვე გაუცდება. მას ესტონეთი-ინგლისის მატჩის (ივნისში) შემდეგ არ უთამაშია. ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აქვს. ექიმების ვარაუდით, კინგი ორ კვირაში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ის მინიმუმ ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. ლონდონელთა თავკაცი **მარტინ იოლი** მისი კლუბის პრობლემებს ნაწილობრივ ცენტრალური მცველის არყოფნით ხსნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიერი ანრი

ვარსკვლავი

# ანრის მონატრებული ლონდონი

## ბარსელონელ თავდამსხმელს მეთოფეებთან თამაში მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში სურს, მას ლონდონში სახლი და უთვალავი მეგობარი დარჩა...

**ტიერი ანრის** იმის გაფიქრებაც არ სურს, რომ შეიძლება, "არსენალის" წინააღმდეგ მოუხდეს თამაში. მაგრამ თუ დაპირისპირება გარდაუვალია, ოცნებობს, "ბარსელონა" "მეთოფეებს" მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეხვდეს.

ტიერიმ იცის, რომ მისმა ყოფილმა კლუბმა სეზონი საუცხოოდ დაიწყო. მან ისიც იცის, რა დღე დააწია "არსენალმა" ესპანეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "სევილიას". ანრი ლონდონელებს ძველებურად ქომაგობს, ხშირად ურეკავს **არსენ ვენგერს** და ყოფილი თანაგუნდელებიც არ ავიწყდება. ამიტომაც უნდა, თავიდან აიცილოს მინდორზე ემოციური შეხვედრა.

თითქმის სამი თვეა, ის კატალონიურ გრანდში ასპარეზობს. მისი თანაგუნდელები მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები არიან. მაგრამ მას მაინც "არსენალი" ენატრება. *"შეუძლებელია, ერთ ადგილას რვა წელი გაატარო და მერე სხვაგან უკანმოუხედავად წახვიდე,"* - ამბობს ის. ანრიმ პირველი ბარსელონური გოლი ჩემპიონთა ლიგაში, "ლიონთან" შეაგდო. ბოლო ტურში "ლევანტესთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა. ახალ კლუბში მისი პოზიციები დღითიდღე ძლიერდება, მაგრამ სახლი მაინც ლონდონში ეგულება. მისი მეგობრებიც ნისლიან ალბიონზე დარჩნენ: *"ბოსი (ვენგერი) სამუდამო მეგობარია. უილიამ გალასი მაშინ გავიცანი, როცა არც ერთმა არ ვიცოდით, რომ ფეხბურთს ვითამაშებდით. ჩემთვის "არსენალი" სამსახურზე მეტია. ადებაიორი, ტურე, ჟილბერტო სილვა... არაჩვეულებრივი ადამიანები საწვრთნელ ბაზაზე. მზარეული რიკი... იქ ჩემი სახლია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, ასე კარგად რომ თამაშობენ. არ ყოფილა შემთხვევა, მათი ანგარიშის ნახვა დამვიწყებოდეს. თითქმის ყოველდღე შევდივარ "არსენალის" ვებგვერდზე და ახალ ამბებს ვეცნობი - ვინმე ხომ არ დაუშავდათ? თუ დაუშავდათ, რამდენ ხანს ვერ ითამაშებს? "არსენალი" საკუთარ თავზე მეტად მიყვარს და მუდამ მეყვარება. როგორ შეიძლება, ცხოვრების საუკეთესო პერიოდი დაგავიწყდეს? "ტოტენჰემი"-"არსენალის" თამაშს ტელევიზორში ვუყურე. აგებდნენ და თავგამოდებით ვქომაგობდი. მოიგეს. გული მიგრძნობდა, რომ ასე მოხდებოდა. ჯერაც ვერ მივეჩვიე, რომ "არსენალში" აღარ ვთამაშობ. უჩვეულოა მათი თამაშის ტელევიზორში ცქერა. იმედია, ყველაფერს მოიგებენ. არა, ყველაფერს არა (იცინის)... მაგრამ მე, როგორც "არსენალის" ქომაგი, დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერლიგის ტიტული მათ დარჩებათ."*

ზოგიერთ მიმომხილველს რომ ჰკითხოთ, "არსენალის" ახალგაზრდა ვარსკვლავებს ანრის წასვლა ძალიან წაადგათ. ტიერი ასეთ შეფასებას უსამართლოდ მიიჩნევს: *"თქვენ გინდათ, თქვათ, რომ გუნდს პატრიკ ვიეირას წასვლაც წაადგა? არა მგონია. უბრალოდ, ცვლილებები გარდაუვალია. ცხოვრება არ დასრულებულა, როცა დენის ბერგკამპი წავიდა, არც მაშინ, როცა პატრიკ ვიეირამ იტალიას მიაშურა და რა თქმა უნდა, არც მაშინ, როცა მე წამოვედი. ახლა იმ თაობის ჯერია, რომელმაც "არსენალში" დღეს მოიყარა თავი. ფეხბურთელები მიდიან და მოდიან, მაგრამ "არსენალი" რჩება. ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ თამაშობს მისი მაისურით. რობინ ვან პერსის ყველაფერი საუცხოოდ გამოსდის, ადებაიორსაც, იმ ახალ ბიჭს - ედუარდო სილვას, ფაბრეგასს, ჟილბერტოსა და სხვებს... მიხარია, რომ ფაბრეგასი ათამაშდა. გასულ სეზონში უთვალავ მომენტს ქმნიდა, მაგრამ გოლებს ვერ იტანდა, დღეს კი გოლი გოლზე გააქვს. მგონი, ფაბრეგასის კარგი თამაში არავის აკვირვებს. განსხვავება მხოლოდ გოლებშია. შეიძლება, უსამართლო იყოს, მაგრამ ფეხბურთში ყველაზე მეტად მაინც გოლებს აფასებენ."*

დღეს ანრი ევროპის ყველაზე კოსმოპოლიტური ქალაქის მკვიდრია, მაგრამ რა ენატრება ლონდონში ყველაზე მეტად? *"კარაქიანი პუდინგი, ქიქა ჩაი, ჩინური სამზარეულო და დღის მატჩი,"* - დაუფიქრებლად პასუხობს "ბარსელონის" ფორვარდი. *"ლონდონი ყოველთვის მომენატრება. ის განსაკუთრებული ადგილია. მაგრამ ზუსტად ესე ვგრძნობდი თავს, როცა საფრანგეთი პირველად დავტოვე. ლონდონში ყოფნისას მარტო ჩაის ვსვამდი ხოლმე, აქ კი ჩაის ყოველთვის ვამატებ რძეს. არც ბეიკერ სტრიტის ჩინური რესტორნის მსგავსი ადგილი არსებობს სადმე..."*

ინტერვიუ ალვარო რეკობასთან

# ინტერის მიტოვება ადვილი არ იყო

## იქ იყვნენ ადამიანები, რომელთაც ჩემი დარჩენა ძალიან უნდოდათ

**"ტორინოს" ურუგვაელმა თავდამსხმელმა ალვარო რეკობამ "ინტერში" ძალიან დიდი ხანი გაატარა. მის მილანურ კარიერას კაცი წარმატებულს ვერ უწოდებ. მყარად ძირითადის მოთამაშედ პრინციპში ის არც არასოდეს ითვლებოდა. ერთი მხრივ, ეს გასაგებიცაა, რადგან მისი კონკურენტები სხვადასხვა დროს იყვნენ ვიერი, ბატისტუტა, კრესპო, კრუსი, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი... კარგი კამპანიაა, ვერაფერს იტყვი. ძირითადი ძალა, რაც ალვაროს ამ ქალაქში ტოვებდა, არა მწვრთნელთა კეთილგანწყობა, არამედ კლუბის პრეზიდენტისა და მისი ვაჟის სიმპათიები იყო. ახლა კი, რეკობა, ვინც ღვთაებრივი ქალაქი დატოვა და საცხოვრებლად პროზაულ ტურინში გადავიდა, იხსენებს მისი ინტერული კარიერის ბოლოს, საუბრობს ტურინული დერბის მნიშვნელობასა და შტანგების როლზე ჯანლუიჯი ბუფონის კარიერაში. მასთან გასაუბრება "ლა სტამპამ" გადაწყვიტა. ინტერვიუ ჯერ კიდევ ტურინულ დერბიმდეა ჩაწერილი, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს აქტუალობა.**

**- ბუფონმა განაცხადა, რომ არ სურს, მოედანზე თქვენნაირი დონის მოთამაშეს ხშირად შეხვდეს.**

- ჩანს, ის კარგად ერკვევა ფეხბურთში... ისე, მე მისთვის არასოდეს გამიტანია გოლი, მხოლოდ მისი შტანგისა და ხარიხისთვის მომირტყამს ბურთი. მას რომ გოლი გაუტანო, ამისთვის მხოლოდ კარში დარტყმა არ კმარა, უნდა ეცადო, მაქსიმალურად დაუმიზნო კუთხეს, ხოლო სადაც კუთხეა, შტანგა და ხარიხაც იქვეა. ის საუკეთესოა მსოფლიოში და ეს მოქმედებს შენზე. ზუსტად ასე იყო პერუცციც - ისინი არ აწყობენ შოუებს, მაგრამ ყოველთვის საჭირო ადგილას დგანან, იმიტომ, რომ პოზიციას არასოდეს კარგავენ.

**- ჯერჯერობით პოზიციებს "ტორინო" კარგავს. სტარტით იმედგაცრუებული ხართ?**

- დიახ. ჩვენ 4 ქულა გავანიავეთ სახლში, ხოლო "პარმასთან" თამაშისას ძალიან დიდი ხანი ველოდით შესაბამის მომენტს, წინა ხაზში უფრო მეტი უნდა გაგვეკეთებინა. როცა 2 გოლი მივიღეთ, მერე საქმის კეთება უკვე ნამეტანი დაგვიანებული იყო.

**- გუნდი მასზე დადებულ ფსონებს ვერ ამართლებს?**

- "ტორინოში" 10 ახალი ფეხბურთელია, აქედან მხოლოდ მე მითამაშია ნოველინოს ხელმძღვანელობით. ბანალურია, მაგრამ ჩვენ დრო გვინდა. ერთმანეთის შესათვისებლად თამაშებია საჭირო.

**- თქვენი გათვლით, რაზე შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია თქვენს კლუბს?**

- ჩვენ ცხრილის შუა ნაწილის გუნდი ვართ. ის გუნდები კი, ვისაც აქამდე შევხვდით, ჩვენზე უკეთესები სულაც არ არიან. მე ვნახე, როგორ მოუგო "პალერმომ" "მილანს", ჩვენ ჯერ ასე არ გვითამაშია.

**- "იუვენტუსი" უფრო ძლიერია?**

- მათგან ყოველთვის უფრო მეტს მოელიან ხოლმე. წლეულს სადღაცსადღაც მათ გაუმართლათ. ისინი ეტაპობრივად გაიზრდებიან, მაგრამ მგონია, რომ სკუდეტოსთვის ჯერ მზად არ არიან. არც გამიგია, ოდესმე სერია B-დან გადმოსულ გუნდს ეს გაეკეთებინოს.

**- რეკობას ბედი რაზეა დამოკიდებული?**

- ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემმა ჯანმრთელობამ კარიერაზე უარყოფითი გავლენა იქონია. ამ პერიოდში მოედანზე ძალიან იშვიათად გავდიოდი. ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი ძრავა ისევ ამუშავდა, ჟანგი ნელ-ნელა მშორდება. ვგეგმავ, რომ უარი ვთქვა ოპერაციაზე, რომელიც პირის ღრუში უნდა გამეკეთებინა. ექიმების განმარტებით, სწორედ ეს იწვევდა ტკივილის შეგრძნებებს ხერხემალსა და ფეხებში. ახლა ეს პრობლემები აღარ მაწუხებს. არ ვიცი, შეიძლება, ყველაფერი ფსიქოლოგიის საკითხი იყო და უბრალოდ გარემოს გამოცვლა მჭირდებოდა.

**- "ინტერში" "იუვეს" არც ისე დიდ პატივს სცემენ. მას მერე რა შეიცვალა თქვენს წარმოდგენაში?**

- აღფრთოვანება და პატივისცემა გუნდით, ვინც სხვების დახმარების გარეშეც ჩემპიონი იყო ფსიქოლოგიით და არანაკლებ ტიტულებს მოიგებდა.

**- სად იყავით იმ დღეს, როცა რონალდოს წაქცევისთვის "ინტერს" პენალტი არ მისცეს?**

- ტრიბუნაზე. ეს ჩემი პირველი სეზონი იყო იტალიაში. რატომღაც "იუვენტუსის" წინააღმდეგ ყოველთვის ცოტას ვთამაშობდი, გარდა იმ სეზონისა, როცა "ვენეციაში" ვიყავი.

**- იმ მომენტში არ გააფთრებულხართ?**

- მაშინ, იმ მატჩში, საჩემპიონო თამაში არ წაგვიგია. სკუდეტოსთვის ნაღდი ბრძოლა რამდენიმე წლის შემდეგ წავაგეთ "ლაციოსთან", მაგრამ ჩვენი დაუდევრობის და არა "იუვეს" წყალობით.

**- რომ მოგეგოთ, რა შეიცვლებოდა მილანური გრანდის ან თქვენს ცხოვრებაში?**

- იმ ეტაპზე მე ბევრი გოლი გამქონდა და თამაში რომ მოგვეგო, ალბათ, უფრო მეტად დამაფასებდნენ.

**- ალბათ ისიც შესაძლებელი იქნებოდა, რომ შემდგომი წლები უფრო მშვიდი და უკონფლიქტო ყოფილიყო.**

- შარშან სკუდეტო მოვიგეთ, მაგრამ მძიმე სიტუაციები მაინც არ გვაკლდა. რამდენჯერმე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ გადაიზარდა ჩვეულებრივი კამათი სერიოზულ კონფლიქტში. ეს კიდევ არაფერი. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ის, რაც გასახდელში უნდა დარჩეს, 5 წუთში უკვე ყველამ იცის.

**- არ თვლით, რომ თქვენი ტალანტი "ინტერში" ტყუილად გაფლანგეთ? ხომ შეგეძლოთ მოგეძებნათ კლუბი, სადაც "ტორინოს" მსგავსად თავისუფლად ითამაშებდით?**

- ძალიან ძნელი იყო იმ კლუბიდან წასვლა, სადაც ადამიანებს ძალიან უნდოდათ, რომ დავრჩენილიყავი. ორჯერ ვცადე ტრანსფერზე დავმდგარიყავი, მაგრამ პრეზიდენტი ყოველთვის მარწმუნებდა, რომ დავრჩენილიყავი.

**- საიდან ამხელა მიჯაჭვულობა მორატიზე?**



ალვარო რეკობა

- ალბათ იქიდან, რომ მე მასთან ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად მწვრთნელებისგან რაიმე სახის პრივილეგიის მიღება არასოდეს მიცდია. მორატისთვის არასოდეს მითხოვია გუნდიდან გაეშვა ფეხბურთელი, ვინც შესაძლებელი იყო, რომ ძალიან არ მყვარებოდა.

**- ჰო, და არასოდეს გითხოვიათ დაეტოვებინა ექტორ კუპერი, ვისაც ყველაზე პატიოსანი მწვრთნელი უწოდეთ, მათგან ვისი ხელმძღვანელობითაც ოდესმე გითამაშიათ.**

- ეს იყო პატიოსანი ადამიანი, ვისთანაც ყველა ბევრს მუშაობდა. მის დროს, თუკი მოთამაშე ფორმაში იყო, ყოველთვის თამაშობდა. ეს კანონი დაწერილი იყო ყველასთვის თანაბრად და მუშაობდა როგორც რონალდოსთვის, ისე ჩემთვის. მან სწორედ ამის წყალობით შეიძინა მტრები. ნოველინოც ზუსტად ასეთია. ის ნეპოტიზმისგან თავისუფალია და როგორც კი მივხვდი, რომ "ინტერიდან" წასვლა მომიწევდა, უმალ მის კლუბში გადასვლა მოვიწადინე.

**- ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ უფრო მეტად "ნაპოლიში" ან "რომაში" მოხვედრა გეწადათ.**

- ნეაპოლურ კლუბზე ხმები გავრცელდა ერთი ადამიანისგან, ვინც ჩემი ეროვნული ნაკრების ბაზას სტუმრობდა. რაც შეეხება "რომას", მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ამ კლუბში ისეთივე დიდი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორც მადრიდის "რეალში"-თქო. განა გეგულებათ ფეხბურთელი, ვინც ასეთ გარემოში არ ითამაშებდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სებასტიან დაისლერთან

# მე ჩემი გზა ვიპოვე

## სება რვათვიანი დუმილის შემდეგ ალაპარაკდა. შპიგელისთვის მიცემულ ინტერვიუში ის თავისი ცხოვრების ტკივილზე გვიამბობს...



სებასტიან დაისლერი

**კარიერის** მოულოდნელად დასრულების შემდეგ, სებასტიან დაისლერი დაიკარგა. "ბაიერნის" ფეხბურთელები საჯაროდ საყვედურობდნენ, მას მერე, რაც ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, "ზებენერშტრასეზე" ერთხელაც არ შემოუვლია, ნუთუ არ აინტერესებს, როგორ მიდის ჩვენი საქმეებიო. უსაყვედურა ული ჰიონესმაც, "ბაიერნმა" სებასგან ნამდვილად არ დაიმსახურა ის, რომ თვეების განმავლობაში ერთხელაც არ მოგვიკითხოს და არ გვინახულოსო. ბასტი-ფანტასტი რვა თვე დუმდა, ამ ხნის განმავლობაში მას ერთი ინტერვიუც კი არ მიუცია, ბერლინში, საკუთარ სახლში ჩაიკეტა და თუ კარის ზღურბლს გადააბიჯებდა, გერმანიას საერთოდ ტოვებდა და სამოგზაუროდ მიდიოდა. მან დუმილი გუშინწინ დაარღვია და კარიერის დასრულებიდან რვა თვის შემდეგ, პირველი ინტერვიუ მისცა გაზეთ "თაგესშპიგელს". ბერლინული გამოცემის ჟურნალისტს სებამ გული გადაუშალა - ყველაფერზე გულახდილად ისაუბრა: დეპრესიებზე, ტრავმებზე. ...მას გრანდიოზულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მას დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა. ბუნდესლიგაში პირველი გოლი სებამ 1999 წელს, მიონხენგლადბახის "ბორუსიის" მაისურით გაიტანა, 2002 წელს "ჰერტადან" "ბაიერნში" გადავიდა და გერმანიის ნაკრების წევრიც გახდა. მაგრამ იმ დროს, როცა საფეხბურთო გერმანია ბასტი-ფანტასტის თამაშით ტკბებოდა, დაისლერი იტანჯებოდა. ბევრი ალბათ ვერც ვერასდროს გაიგებს, როგორ შეიძლება, რომ უბედური იყოს ადამიანი, რომელმაც "ბაიერნში" გადასვლის გამო, მხოლოდ ჯიბის ფულის სახით 20 მილიონი მარკა მიიღო. სება ახალ გზებს ეძებდა, ბუდიზმს მიაწყდა, დალაი ლამას შეხვდა, მაგრამ გზა, რომელიც საფეხბურთო კარიერას გააგრძელებინებდა, ვერ იპოვა და სპორტიდან წავიდა. ახლა მშვიდადაა და ერთი რამ იცის - ფეხბურთში აღარასოდეს დაბრუნდება. სებასტიან დაისლერი გერმანული ფეხბურთის ტკივილია. აი, მისი ინტერვიუც.

**- ჰერ დაისლერ, კარიერა რვა თვის წინათ დაასრულეთ და მას მერე აღარ გამოჩენილხართ. რატომ? და საერთოდ, როგორ ხართ?**

- კარგად ვარ. ხალხში გამოჩენა აღარ მინდოდა, სიმშვიდე მჭირდებოდა. და ამ მხრივ, არც არაფერს შევცვლი. ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგეთ, არ მინდა, რომ ისევ საჯარო თემა გავხდე. მინდა, რომ ჩემი ცხოვრება თვითონ ვმართო. ახლა კი შემიძლია, ყველაფერზე გულახდილად ვისაუბრო და ნაწილობრივ მაინც ავხსნა, თუ რატომ დავასრულე კარიერა.

**- 27 წელი ფეხბურთელისთვის იდეალური ასაკია და თქვენ სწორედ ასეთ ასაკში წახვედით. ფეხბურთის თამაში არ მოგენატრათ?**

- ფეხბურთი, რომელიც მაკლია და მენატრება, არის სულ სხვა ფეხბურთი და არა ისეთი, როგორიდანაც წამოვედი. მივხვდი, რომ არ ვარ დაბადებული იმ სამყაროსთვის, რასაც თანამედროვე საფეხბურთო სამყარო ჰქვია. ბოლოს უკვე ძალიან დაღლილი ვიყავი, აბსოლუტურად დაცარიელებული და დაბერებული. ვირბინე და გავძელი იმდენ ხანს, სანამ ფეხებმა და გულმა გამიძლეს. მეტი აღარ შემეძლო.

**- მოდით, ყველაფერი დავალაგოთ. გადაწყვეტილება, რომელმაც მთელი გერმანია შოკში ჩააგდო, თქვენ წელიწადის დასაწყისში, დუბაის შეკრების დროს, ძალიან სპონტანურად მიიღეთ...**

- სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, პირველ რიგში საკუთარ თავზე. და არც ვითხოვ იმას, რომ ყველამ გამიგოს. ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდა, ახალი ცხოვრება დავიწყე და ეს რვა თვეც გარკვეული ადაპტაცია იყო. მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ ჩემს გადაწყვეტილებას ყველამ პატივი სცეს.

**- ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, პირველ დღეებში არ გაგიჭირდათ?**

- პირიქით, გახარებული ვიყავი და უდიდესი სიმსუბუქე ვიგრძენი. რამდენიმე თვე მჭირდებოდა იმისთვის, რომ მშვიდ რიტმში გამეგრძელებინა ცხოვრება. დღესდღეობით ძალიან კარგად ვარ.

**- ული ჰიონესმა თქვა, დაისლერისთვის ბრძოლა წავაგეთო. თქვენც ასე ფიქრობთ: საკუთარი თავისთვის ბრძოლა წააგეთ?**

- არა, მე სხვა აზრი მაქვს. იცით, რამდენ ხანს ვებრძოდი საკუთარ თავს? ბოლომდე ვიბრძოდი. ჰიონესს ძალიან ვემადლიერები იმის გამო, რომ მომისმინა და გამიგო. იანვარში მივაღწიე ზენიტს და მივხვდი, რომ იმის იქით უკვე ნამდვილი უფსკრული იყო. დუბაიში ყოფნისას, ბოლო ტესტ-მატჩში კინაღამ მორიგი ტრავმა მივიღე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე.

**- დღეს რას ფიქრობთ იმ გადაწყვეტილებაზე?**

- ეს დამარცხება კი არა, გამარჯვება იყო. დიახაც, ეს გამარჯვება იყო, რომელმაც გული მატკინა! დღეს უკვე ბევრი რამ ნათელი და გასაგებია. შესაბამისად, შემიძლია ავხსნა, რატომ მოხდა ასე.

**- აგვიხსენით...**

- ასეთ შემთხვევაში, ძალიან უკან უნდა დავბრუნდე. ეს აუცილებელია, რადგან მიზეზებს ჩემს წარსულში მივაკვლიე. ჩემს მშობლიურ ლიორახში, სადაც გავიზარდე, ფეხბურთს უამრავი ბავშვი თამაშობდა. 14-15 წლის ბიჭები ეზოში ვიკრიბებოდით. სიმაღლეში 160 სანტიმეტრიც კი არ ვიყავი, მაგრამ ფეხბურთს სხვებზე გაცილებით უკეთ ვთამაშობდი, რაც სხვებს არ მოსწონდათ. ერთხელაც, დაცინვა დამიწყეს იმის გამო, რომ ძალიან გამხდარი და დაბალი ვიყავი.

**- მაგრამ ეს ხომ ბავშვები იყვნენ...**

- დიახ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მეც ბავშვი ვიყავი. შესაბამისად, ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულად მივიღე, ვნერვიულობდი. დღეს ამაზე მეცინება, მაგრამ მაშინ იმ ყველაფერმა ჩემზე ძალიან იმოქმედა.

**- მშობლები რას გეუბნებოდნენ?**

- ურთიერთობის მხრივ ოჯახში იდილია იყო, მაგრამ მშობლები ვერ მეხმარებოდნენ, მათ თავიანთი პრობლემები ჰქონდათ. დედაჩემს არ უნდოდა, რომ გარეთ გავსულიყავი, ეზოში გაშვებაზე მუდმივად უარს მეუბნებოდა, მაგრამ საკუთარ შანსს მაინც ეზოში ყოფნაში ვხედავდი. სწორედ ამ ფაქტორმა მაიძულა მოგვიანებით, რომ სახლიდან წამოვსულიყავი. დღეს უკვე ვიცი, რომ სახლიდან წასვლის გადაწყვეტილება ძალიან ადრე მივიღე, ცოტა კიდევ უნდა მომეცადა.

**- და მიუხედავად იმისა, რომ წნეხი უმძიმესი იყო, მაინც წახვედით...**

- დიახ და ბალასტიც თან გავიყოლე. ჩემს მონდომებას ნიჭიც თან დაერთო და წინ რაკეტასავით გავექანე. ეს იყო 90-იანი წლების ბოლოს, როცა პროგრესს ელვისსისწრაფით განვიცდიდი. დღეს ვხვდები, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და ტალღა, რომელიც ჩემსკენ წამოვიდა, შეუჩერებელი იყო.

**- გერმანული ფეხბურთი კრიზისში იყო, თქვენ კი მისი უმთავრესი იმედი. დაისლერი მთელი ნაციის იმედად იქცა...**

- წარმოგიდგენიათ? ლამის მესიად შემრაცხეს, გერმანული ფეხბურთი მე უნდა გადამერჩინა, არადა მხოლოდ 19 წლის გახლდით.

**- და იმ დროს მიონხენგლადბახიდან ბერლინში წახვედით...**

- ოჰ, ბერლინი - ქალაქი, სადაც ყველაფერი სულ სხვანაირად იყო, არანორმალურად. დედაქალაქში ნულიდან ათასზე გადავხტი! ყველას იმის გაგება უნდოდა, თუ რომელ ჯინსს ვანიჭებდი უპირატესობას ან რომელ სუნამოს ვხმარობდი. პირადი ცხოვრება, ფაქტობრივად, აღარ მქონდა. საზოგადოებას ჩემგან ბექჰემის გამოძერწვა უნდოდა, მაგრამ მე არ ვარ ასეთი! მიუხედავად ამისა, მაინც ვეცადე, ბოლომდე ვეცადე, მაგრამ ვერაფერი შევცვალე.

**- რა უნდა შეცვლილიყო?**

- მაგალითად, როდესაც ავტოგრაფებს ვარიგებდი, ვცდილობდი, მხოლოდ ხელი კი არ მომეწერა, არამედ ფანებს გამოვლაპარაკებოდი და მათთან კონტაქტი დამემყარებინა. და იცით რა იყო ყველა ფანის მეორე კითხვა? "რომელი მანქანა მოგწონთ ყველაზე მეტად? რამდენი გაქვთ ხელფასი?" თუ მხოლოდ ეს გაინტერესებთ, მაშინ მშვიდობით-მეთქი! აი, ესეც დეპრესიის ერთ-ერთი მიზეზი. ყველას ერთნაირი, ბანალური და სულელური კითხვები ჰქონდა.

**- რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, ასეთი ფეხბურთისთვის არ დავბადებულვარო?**

- მინდა, რომ სწორად გამიგოთ. ჩემი სურვილი იყო, რომ მეც ამ მასის ნაწილი გავმხდარიყავი, მაგრამ ეს არ გამომივიდა. ფეხბურთში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სტატუსს, ტიტულს, ეგოს, ძალაუფლებას. დიდხანს ვცდილობდი, მაგრამ არ გამომივიდა. ნიღაბი მეკეთა, შინაგანად კი ამ ყველაფერს ვებრძოდი. მე სულ სხვა რამე მჭირდებოდა და მინდოდა.

**- რას ეძებდით, რა გჭირდებოდათ?**

- სიამოვნება, სიხარული. ჩემთვის "გუჩის" სათვალე ან "დოლჩე გაბანას" ტანსაცმელი არ იყო მთავარი. ცხადია, იყო მომენტები, როცა ასეთი პრინციპების გათავისებაც ვცადე, მაგრამ მერე საკუთარ თავზე მეცინებოდა. ბერლინში, საკუთარ სახლში ვიჯექი, მთელს გერმანიაში ცნობილი პიროვნება გახლდით და კართან ჩემი საკუთარი "მერსედესი" იდგა, მაგრამ ეს არ იყო ბედნიერება. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ნუთუ ყოველივე ეს და მეტი არაფერი? უბედური გახლდით!

**- რატომ არაფერი მოიმოქმედეთ?**

- ეს არ იყო იოლი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ საწინააღმდეგოს გაკეთება კედლისკენ თავით გაქანება იქნებოდა.

**- 2001 წლის ოქტომბერში გაზეთმა "ბილდმა" გამოაქვეყნა თქვენი პირადი ანგარიში, სადაც მითითებული იყო, რომ "ჰერტადან" "ბაიერნში" გადასვლისთვის ჯიბის ფულის სახით 20 მილიონი მარკა მიიღეთ...**

- დიახ, გაზეთი ნაშუადღევს ვნახე, საღამოს კი "ჰამბურგთან" ვითამაშე და პირველი უმძიმესი ტრავმა მივიღე. ამ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე, ზაფხულში, "ჰერტას" მენეჯერ დიტერ ჰიონესს ვუთხარი, მიუნხენში მივდივარ-მეთქი. მან კი მთხოვა, ჯერ ნურაფერს იტყვი, ნახევარი წელიწადი მოვიცადოთ, თორემ უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცევი და გაგიჭირდებაო. დიტერი მართალი იყო, მაგრამ ტყუილის თქმა ძალიან მიჭირდა. ფანები, ჟურნალისტები და თანაგუნდელები ყოველდღე მეკითხებოდნენ, სადმე ხომ არ გადადიხარო და სიმართლეს რომ არ ვამბობდი, დეპრესია დამეწყო. ოქტომბერში კი ეს ამბავიც გასკდა და მეც გამყიდველი გამოვედი. ბერლინში უცებ შემიძულეს, ტრიბუნებიდან მაგინებდნენ... ახლა ვხვდები, რომ კარიერა მაშინ უნდა დამესრულებინა, მაგრამ ფეხბურთი ვერ მივატოვე.

**- განაგრძეთ...**

- ბერლინიდან ასე წასვლა გამორიცხული იყო. მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ დარჩენილ დროში "ჰერტასთვის" ბოლომდე დავიხარჯებოდი, მაგრამ ტრავმირებული გახლდით და ეს არ შემეძლო. ესეც დეპრესიის მიზეზი გახდა. ახლა ვხვდები, რომ მაშინვე უნდა მეთქვა ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი. მადანაშაულებდნენ იმაში, რისი შეცვლაც არ შემეძლო და ამაზე დიდი საშინელება არაფერია. მაშინ უკან დავიხიე და ჩავიკეტე, ახლოს აღარავის ვიკარებდი. მხოლოდ მშვიდად ყოფნა მინდოდა და მეტი არაფერი. სამი კვირის წინათ, ბერლინში, ბერძნული რესტორანის წინ, ჩემი ფოტო ვნახე. მახსოვს, ამ რესტორანში "ჰერტას" ფეხბურთელმა კოსტას კონსტანტინიდისმა წამიყვანა. რესტორნის მფლობელთან ფოტო გადავიღეთ. მას მერე, ეს ფოტო პირველად ახლა ვნახე და გავოცდი - იმ ფოტოზე ნათლად ჩანს ჩემი ტკივილი, ჩემი პრობლემები. აი, საიდან დაიწყო ჩემი დეპრესიები.

**- მერე იყო "ბაიერნი"...**

- და მეც იმედი მქონდა, რომ უამრავ ვარსკვლავთან ერთად, მე აღარ ვიქნებოდი ყველაზე კაშკაშა და შესაბამისად, მშვიდად ვიმუშავებდი. თანაც, მიუნხენში ტრავმირებული ჩავედი - ფეხიც მტკიოდა და თავიც. მოგვიანებით ფსიქიატრიულ კლინიკას მივაშურე და უნდა ვაღიარო, რომ ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება. უბრალოდ, მორიგი ცდა იყო. ღმერთო ჩემო, უტოპიური ოცნებები მქონდა...

**- როგორ ფიქრობთ, რა შეცდომა დაუშვით, რა გაკლდათ?**

- ფუნდამენტი! ძლიერი ფუნდამენტი. სახლიდან 15 წლისა წავედი და მხოლოდ ფეხბურთზე გავხდი დამოკიდებული. და ჯერ კიდევ მაშინ მქონდა პრობლემები. ჩემი დამცველი ჩემი ტალანტი იყო. სხვათა შორის, ფეხბურთშიც არიან ისეთები, სხვა ინტერესები რომ აქვთ და მხოლოდ ჯინსებსა და სათვალეებზე რომ არ ფიქრობენ. მაგალითად, როკე სანტა კრუსი, რომელიც ძალიან მიყვარს და ძალიან ვაფასებ. მისი ყოველთვის მშურდა, რადგან მას ჰქონდა ფუნდამენტი. 2002 წელს ჩემი მეუღლე გავიცანი და მხოლოდ მასთან ვიპოვე საკუთარი თავი. მერე ვაჟი გვეყოლა, რომელიც ახლა სამწელნახევრისაა. მეუღლემ და შვილმა მომცეს ძალა, რომ ჩემი ოცნებისთვის ბრძოლა გამეგრძელებინა: მეთამაშა ფეხბურთი, მაგრამ მქონოდა საკუთარი სამყარო. როკე გენიალური პიროვნებაა. მან შეძლო და გული გაალო, მე კი ჩავრაზე, სამუდამოდ.

**- რატომ?**

- ტრავმები ყელში ამომივიდა, მაგრამ მაინც ვცდილობდი გადარჩენას. ალბათ, ჩემი სხეულისთვის უნდა მეგდო ყური და ის ბავშვებიც მართლები იყვნენ: ძალიან სუსტი ვიყავი. ფეხბურთი არ უნდა მეთამაშა, მაგრამ სპორტის ეს სახეობა იმდენად მიყვარდა, რომ თვალები დავხუჭე, თავი მოვიტყუე და მაინც ვითამაშე. ყველა ხედავს, როგორც დამთავრდა ეს ყველაფერი.

**- და დანებდით...**

- დიდხანს ვეცადე. ოლი კანი მეუბნებოდა, ან აქ უნდა იყო, ან უნდა წახვიდეო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ არ შემეძლო. ჩემი ინტუიციითა და გრძნობებით ვცხოვრობ. მოედანზე არასდროს მქონდა გეგმა, უბრალოდ ვხედავდი, ვის რა შეეძლო და რა არა, ვხედავდი და ვგრძნობდი, ვის როგორი პასი სჭირდებოდა. გამიგეთ? ეს არის ჩემი ინტუიცია, ჩემი ფანტაზია. აი, რატომ ვთამაშობდი ფეხბურთს ასე კარგად იმ დროს, როცა მშვიდად ვცხოვრობდი.

**- წასვლა ერთხელაც არ გინანიათ?**

- არა! არ ვარ ის ტიპი, რომელიც სხვებზე გამოედევნება, თვითონ უნდა მივილო გადაწყვეტილება. მაგრამ მე არც ეფენბერგი ვარ! დიდხანს ვეცადე, რომ ფეხბურთში გადავრჩენილიყავი, ვცდილობდი, ცივი და მკაცრი ვყოფილიყავი, მაგრამ ასეთ არ ვარ და რა ვქნა? ადრევე უნდა გამეხსნა გული, მაგრამ მეშინოდა.

**- სებასტიან დაისლერი სუსტი ადამიანია?**

- არა, დამიჯერეთ! გარედან ისე ჩანს, რომ სისუსტე გამოვავლინე, მაგრამ ჩემთვის ეს მოგებული ომია და არა წაგებული. ისეთი რამ გადავიტანე, რასაც ბევრი ვერ გადაიტანს, მაგრამ სხვებს ასეთი პრობლემები არც შეექმნებათ. წარმოიდგინეთ ასეთი სათაური: "გერმანული ფეხბურთის გადამრჩენელი უნდა გადავარჩინოთ!"ამ ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ ხარ ვილაც, თუ სისუსტეს არ გამოავლენ. როგორ გგონიათ, მაშინ ეს ყველაფერი უნდა მეთქვა?

**- ახლა ხომ მაინც ამბობთ...**

- დიახ, მაგრამ პირველად და უკანასკნელად. მე არასდროს მქონდა იმის დრო, რომ გავზრდილიყავი. შეცდომის დაშვების დროც კი არ მქონდა. "ბაიერნში" დრო მომცეს, რისთვისაც მადლობელი ვარ. ული ჰიონესს ბოლომდე სჯეროდა ჩემი. რამდენი ვილაპარაკე... თქვენც ხომ ხედავთ, ძალიან სულელურად გამოვიდა ყველაფერი. ასე არ არის (იცინის)?

**- საკუთარ თავს დასცინით?**

- არა, უბრალოდ, მე გამარჯვებული ვარ.

**- ახლა რას აპირებთ?**

- ამ კითხვაზე პატარა ისტორია მახსენდება. მაშინ "ჰერტაში" ვთამაშობდი. ავტობუსით მივდიოდით. მე კი მუსიკას ვუსმენდი და ფანჯარაში ვიყურებოდი. სამი ახალგაზრდა ბიჭი დავინახე, 19-20 წლის იქნებოდნენ, როგორც მე. რუგზაკები ჰქონდათ, სტუდენტები იყვნენ. ვიფიქრე, რას არ მივცემდი, რომელიმე მათგანისთვის ადგილი რომ გამეცვალა-მეთქი. ახლა წიგნს ვწერ.

**- ჰერ დაისლერ, გვითხარით, როგორ დავასათაუროთ ეს ინტერვიუ?**

- დაწერეთ: "მან თავისი გზა იპოვა!"

**გოტფრიდ ლენცი**

ჩოგბურთი

# თერთმეტწლიანი ისტორია

## ნადიადან ქსენიამდე, ანას გავლით...



2004 წლის გამარჯვებული ანა ივანოვიჩი. ფინალში მან ანა ჩაკვეტაძეს მოუგო

ბათუმში დასრულდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ეგიდით ჩატარებული ქართული ტურნირების სერია, რომელიც წლეულს სამ შეჯიბრებას მოიცავდა. ისტორიაში პირველად საერთაშორისო ტურნირი თელავში ჩატარდა. უპრიანი იქნება, თუკი გავიხსენებთ ყველა ქართულ ტურნირს, როგორც წლევანდელს ისე ადრინდელს. მით უფრო, რომ უკვე საკმაოდ დიდი ისტორია დაგროვდა - ქალთა საერთაშორისო ტურნირები საქართველოში მეათე წელიწადია ტრადიციად იქცა.

ყველაფერი 1997 წელს დაიწყო, როცა პირველად ჩატარდა ქალ ჩოგბურთელთა 10-ათასიანი ტურნირი მარჯანიშვილის კორტების თიხნარზე. ტურნირის პირველი გამარჯვებული ჯერ კიდევ 15 წლის უცნობი, რუსი ჩოგბურთელი გახდა - **ნადია პეტროვა**. ნადია ამჟამად მსოფლიოს მერვე ჩოგანია, ხოლო შარშან მესამე ჩოგანი იყო. მაშინ 15 წლის პეტროვა ცხოვრებაში მეოთხედ თამაშობდა დიდების ტურნირში - თბილისში ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო და სამ ქართველ ჩოგბურთელთან ერთად ძირითად ბადეში გაალწია. ძირითადი ბადის 11 ქართველიდან მხოლოდ სამმა შეძლო მეორე წრეში გასვლა, მათ შორის - 14 წლის **მაკა ჩახნაშვილმა**. ძირითად ბადეში იყვნენ შემდგომში ვარსკვლავებად ქცეული ჩოგბურთელები: **ანასტასია მისკინა, ელენა დემენტიევა** და **ანასტასია როდიონოვა**. ფინალში პეტროვამ უკრაინელი **ანა ზაპოროჟანოვა** დაამარცხა ორ სეტში. წყვილთა თანრიგში ქართული ტურნირის პირველი ჩემპიონები დემენტიევა და მისკინა გახდნენ.

იმავე წელიწადს, ოქტომბრის დასაწყისში 10-ათასიანი ტურნირი უკვე ბათუმში გაიმართა. ტურნირი 16 წლის **ანასტასია მისკინამ** მოიგო, რომელმაც წყვილებში დემენტიევასთან სძლია დუბლი შეასრულა. ერთეულთა ფინალში მან თავის მეწყვილე დემენტიევას მოუგო. ამ ტურნირში ჩახნაშვილმა სენსაცია მოახდინა და ძირითადი ბადის ორი წრე დაძლია.

მომდევნო 1998 წელს ორგანიზატორებმა თამასა ასწიეს და საპრიზო ფონდი თბილისსა და ბათუმში 25-25 ათასი დოლარი გახადეს. ნადია პეტროვა თბილისში აღარ ჩამოსულა, თუმცა მისკინა და დემენტიევა კვლავ ვიხილეთ, ფინალში კი რუსმა **ევგენია კულიკოვსკაიამ** თანამემამულე **ელენა მაკაროვა** დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. წყვილებში ტურნირი ბელარუსებმა, **ტატიანა პუჩეკმა** და **ოლგა გლუშენკომ** გაიმარჯვეს. ბათუმის ტურნირი ჰოლანდიელმა **ამანდა ჰოფმანსმა** მოიგო, რომელიც ორიოდ წელში მსოფლიოს მოწინავე ასეულში შევიდა. კულიკოვსკაიამ კი **ეკატერინა სისოევასთან** ერთად წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა. ბათუმის ტურნირის მეოთხედფინალში **ნინო ლუარსაბიშვილმა** ანასტასია მისკინასთან წააგო. ჰოფმანსისა და მისკინას ფინალი ორ სეტში დასრულდა ჰოლანდიელის სასარგებლოდ.

1999 წელს ბათუმში საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარამდე გაზარდეს. თბილისის ტურნირზე გამოჩნდა **ელენა ბოვინა**. ჩახნაშვილმა მეოთხედფინალში გაალწია. ფინალში გერმანელმა **იულია აბემ** გაანადგურა ბელარუსი ტატიანა პუჩეკი. ბათუმის ტურნირი არ დასრულებულა - აჭარულმა წვიმამ ფინალი გააუქმა, ერთმანეთს აბე და უნგრელი **კატალინ მაროში** უნდა შეხვედროდნენ. ჩახნაშვილის მიღწევა კვლავ მეოთხედფინალი იყო.

2000 წელს ასლან აბაშიძის წყალობით ბათუმის ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარი გახდა, ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო. თბილისის 25-ათასიანი ტურნირი არგენტინელმა **მარიანა დიას-ოლივიამ** მოიგო, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი. ფინალში მან რუსი **მარია გოლოვიზნინა,** ქართული ტურნირების დიდი მოყვარული, დაამარცხა. რამდენიმე თვეში არგენტინელი ჩოგბურთელი მოწინავე ორმოცდაათეულში დამკვიდრდა. ნახევარფინალში მან მაკა ჩახნაშვილი დაამარცხა. ბათუმის ტურნირი ტატიანა პუჩეკმა მოიგო, ბელარუსმა ფინალში პირველ ნომრად განთესილი თანამემამულე **ნადეჟდა ოსტროვსკაია** დაამარცხა. ჩახნაშვილმა მეოთხედფინალი იკმარა. ამ ტურნირის უცნაურობა ის იყო, რომ ჩოგბურთელებმა სეტი 4 გეიმის მოგებამდე ითამაშეს, ფინალი კი ხუთსეტიანი იყო.

შემდეგ წელიწადს საპრიზო ფონდი არ შეცვლილა, თბილისის ტურნირი ავსტრიელმა **პატრისია ვარტუხმა** მოიგო, რომელიც უკვე ასეულის წევრი იყო. ფინალში მან რუსი **მარია კონდრატიევა** დაამარცხა. ამ ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა უკრაინელმა **ალიონა ბონდარენკომ,** რომელიც ახლა მსოფლიო კლასიფიკაციაში ოცეულშია. ბათუმის ტურნირში ისევ ფავორიტმა ტატიანა პუჩეკმა გაიმარჯვა, მეტიც გამეორდა წინა წლის ფინალი (ამჯერად 6-გეიმიანი სეტებით). ჩახნაშვილი ოსტროვსკაიასთან მეოთხედფინალში დამარცხდა. ტურნირზე ითამაშა ბერძენმა **ელენი დანილიდუმ**.

2002-ში თბილისის 25-ათასიანი ტურნირი იუგოსლავმა **კატარინა დაშკოვიჩმა** მოიგო, გადამწყვეტ მატჩში მან ჩეხი **გაბრიელა ნავრატილოვა** დაამარცხა. მაკა ჩახნაშვილმა წარმატებით ითამაშა და ნახევარფინალამდე გაალწია. ამ ტურნირში ითამაშა ებრაელმა **ციპი ობლიცერმა**. ბათუმში ბელარუსთა ტრიუმფი გაგრძელდა, ამჯერად ნადეჟდა ოსტროვსკაიამ მოიგო ალიონა ბონდარენკოსთან დაპირისპირება. ბათუმში ითამაშა **სიბილ ბამერმა**, დღეს მსოფლიოს 21-ე ჩოგანმა.

შემდეგ წელიწადს თბილისის ტურნირი რუს **ელენა ვესნინას** დარჩა, მან უკრაინელ **მარია კორიცევას** აჯობა, ნახევარში დამარცხდა ტურნირის პირველი ჩოგანი ბელარუსი **ოლგა ბარაბანშიკოვა**. ბათუმში ბოლოჯერ ითამაშეს 75-ათასიანი ტურნირი. ტიტული უკრაინელმა **ელენა ტატარკოვამ** მოიგო, რომელიც იმ დროისთვის უკვე აღარ იყო ტოპ-50-ში. მან რუს **ევგენია ლინეცკაიას** აჯობა. აღვნიშნავთ, რომ ამ ტურნირში გამოჩნდა სერბი **ელენა იანკოვიჩი**.

2004 წელს თბილისში ერთის ნაცვლად ორი, 10 და 25-ათასიანი, ტურნირი გაიმართა, ბათუმის ტურნირის საპრიზო ფონდმა კი დაიკლო - 50 ათასი დოლარი. თბილისის პირველი ტურნირი მარია კონდრატიევამ მოიგო, ფინალში მან ქართველ მაკა ჩახნაშვილს აჯობა. ქართველებს პირველად ჰქონდათ ამხელა წარმატება, ნახევარფინალში **ია ჯიქიამ** და **სოფიო მელიქიშვილმა** ითამაშეს. თბილისის მეორე ტურნირი უკრაინელმა **ოლგა ლაზარჩუკმა** მოიგო, მან სლოვაკი **კატარინა კახლიკოვა** დაამარცხა. ბათუმის ტურნირი ძალზე საინტერესო გამოდგა, შესანიშნავი ფინალში სერბმა **ანა ივანოვიჩმა** რუსეთის სახელით მოასპარეზე **ანა ჩაკვეტაძეს** სძლია.

2005 წლის თბილისის პირველ ტურნირზე რვაწლიანი მოლოდინი ქართველ გულშემატკივრებს დაუფასდა - მაკა ჩახნაშვილმა ტურნირი მოიგო. ფინალში მან 16 წლის **მანანა შაფაქიძე** დაამარცხა. 25-ათასიან ტურნირში ჩეხმა **სანდრა ზაჰლავოვამ** იმარჯვა, რომელმაც სერბ **ანა ტიმოტიჩს** აჯობა. ბათუმის ტურნირში ბელარუსმა **ანა იაკიმოვამ** ფინალში ანა ტიმოტიჩი დაამარცხა.

შარშან, თბილისში, ორივე ტურნირი იან ჰომერის კორტებზე გაიმართა, ორივე 10-ათასიანი. პირველის ფინალში რუსმა **ვარვარა გალანინამ** 14 წლის **ეკა გორგოძე** დაამარცხა. მეორეც რუსმა მოგო, **ანა ლაპუშჩენკოვამ** ყაზახ **ამინა რახიმს** აჯობა. ამ ტურნირში **სოფიო შაფათავამ** ნახევარფინალში გაალწია. ბათუმის ტურნირი ოდენ 25-ათასიანი იყო. გაიმარჯვა რუმინელმა **აგნეშ სატმარიმ**, ფინალში მან ჩეხი **პეტრა ჩეტკოვსკა** დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ყველა ქართული ფინალი

| |
|---|
| **1997 წ.** |
| თბილისი (10): ნადია პეტროვა (რუსეთი, საკვ.) - ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა, 2) 6:1, 6:4. |
| ბათუმი (10): ანასტასია მისკინა (რუსეთი) - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 5) 6:7, 6:4, 7:5. |
| **1998 წ.** |
| თბილისი (25): ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი, 2) - ელენა მაკაროვა (რუსეთი, 1) 2:6, 6:2, 7:5. |
| ბათუმი (25): ამანდა ჰოფმანსი (ჰოლანდია, 2) - ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:2, 7:5. |
| **1999 წ.** |
| თბილისი (25): იულია აბე (გერმანია, 2) - ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი, 1) 6:2, 6:0. |
| ბათუმი (50): იულია აბე (გერმანია, 4) - კატალინ მაროში (უნგრეთი, 8) ფინალი არ გაიმართა |
| **2000 წ.** |
| თბილისი (25): მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა, 1) - მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) 3:6, 6:2, 6:2. |
| ბათუმი (75): ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი, 2) - ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი, 1) 4:1, 4:1, 2:4, 1:4, 5:4. |
| **2001 წ.** |
| თბილისი (25): პატრისია ვარტუხი (ავსტრია, 1) - მარია კონდრატიევა (რუსეთი) 6:0, 4:6, 6:2. |
| ბათუმი (75): ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი, 1) - ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი, 4) 7:5, 4:6, 6:3. |
| **2002 წ.** |
| თბილისი (25): კატარინა დაშკოვიჩი (იუგოსლავია, 7) - გაბრიელა ნავრატილოვა (ჩეხეთი) 3:6, 6:3, 6:1. |
| ბათუმი (75): ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი, 6) - ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 1:6, 6:3, 6:4. |
| **2003 წ.** |
| თბილისი (25): ელენა ვესნინა (რუსეთი) - მარია კორიცევა (უკრაინა, 7) 6:4, 6:3. |
| ბათუმი (75): ელენა ტატარკოვა (უკრაინა) - ევგენია ლინეცკაია (რუსეთი, საკვ.) 1:6, 6:4, 6:3. |
| **2004 წ.** |
| თბილისი (10): მარია კონდრატიევა (რუსეთი, 1) - მაკა ჩახნაშვილი (საქართველო, 5) 7:5, 6:4. |
| თბილისი (25): ოლგა ლაზარჩუკი (უკრაინა, 1) - კატარინა კახლიკოვა (სლოვაკეთი, 7) 6:2, 6:2. |
| ბათუმი (50): ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 3) - ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი, 1) 6:3, 6:3. |
| **2005 წ.** |
| თბილისი (10): მაკა ჩახნაშვილი (საქართველო, 1) - მანანა შაფაქიძე (საქართველო, უ.ქ.) 6:2, 6:1. |
| თბილისი (25): სანდრა ზაჰლავოვა (ჩეხეთი, 2) - ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) 6:0, 6:3. |
| ბათუმი (50): ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსი, 1) - ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) 6:4, 6:1. |
| **2006 წ.** |
| თბილისი (10): ვარვარა გალანინა (რუსეთი, 2) - ეკა გორგოძე (საქართველო, უ. ქ.) 6:3, 6:4. |
| თბილისი (10): ანა ლაპუშჩენკოვა (რუსეთი, 1) - ამინა რახიმი (ყაზახეთი) 7:6, 6:2. |
| ბათუმი (25): აგნეშ სატმარი (რუმინეთი, 8) - პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხეთი, 1) 6:3, 6:3. |
| **2007 წ.** |
| თბილისი (10): თათია მიქაძე (საქართველო, უ.ქ.) - თინათინ ყაჯლაშვილი (საქართველო) 1:6, 6:4, 7:5. |
| თელავი (25): კორინა დენტონი (იტალია, 7) - ანა გერასიმუ (საბერძნეთი, 3) 6:2, 1:6, 6:0. |
| ბათუმი (25): ქსენია პერვაკი (რუსეთი) - კორინა დენტონი (იტალია, 7) 6:4, 6:3. |

# შაფათავა აღარ ხუმრობს

ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტის მიხედვით საქართველოს პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** მორიგ სიმაღლეზეა - მან კიდევ ხუთი საფეხურით წაიწია წინ და კლასიფიკაციაში 356-ე ადგილზე დამკვიდრდა. ლადო უკვე 100-ქულიან ზღვარსაც მიუახლოვდა, მას 94 ქულა აქვს. მართალია, ჩიხლაძე ჯერჯერობით წარმატებით ვერ თამაშობს მისთვის ახალ "ჩელენჯერის სერიაში", მაგრამ ქულები მაინც ემატება, რადგან შარშან ამ დროს სერიოზულ ტურნირებში არ უთამაშია და ჩამოსაკლებიც არაფერი აქვს. სხვა ქართველები: 834 (+2) **ირაკლი ლაბაძე** - 14 ქულა, 1240 (-109) **ნოდარ ითონიშვილი** - 3, 1484 (+7) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** - 1-1 ქულა.

ქალთა რეიტინგ-ლისტში ქართველთა მდგომარეობას სანამ განვიხილავთ, ვიტყვით რომ ბათუმის 25-ათასიანი ტურნირის შედეგები კლასიფიკაციაში ჯერ არ შესულა. მაგალითისთვის, ტურნირის გამარჯვებული **ქსენია პერვაკი** რეიტინგში დაქვეითდა.

**მაკა ჩახნაშვილი**, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი, ახალი რეიტინგით მსოფლიოს 169-ე ჩოგანია (-2). მაკას 190 ქულა აქვს. სამწუხაროა, შარშანდელთან შედარებით მაკამ წინ ვერ წაიწია, 2006 წელი მან 153-ე ადგილზე დაასრულა, ივლისში ის 134-ე ადგილამდე ამაღლდა, მაგრამ შემოდგომით მან ისევ დაკარგა პოზიციები. **ანა ტატიშვილმა** ერთი ადგილით დაიხია უკან, ის 279-ე ადგილზეა 87 ქულით.

18 წლის **სოფიო შაფათავას** კი კარიერის საუკეთესო დროება უდგას, ის ყოველ კვირას აუმჯობესებს მიღწევას - ახლაც სოფიომ 55 ადგილით წაიწია წინ და 49 ქულით 394-ე პოზიციაზე მოკალათდა. სხვები: **553 (+11) სალომე დევიძე - 27,5 ქულა; 627 (+2) მანანა შაფაქიძე - 20; 673 (+35) თინათინ ყავლაშვილი - 16; 712 (-27) სოფიო მელიქიშვილი - 14; 751 (+1) სოფიო ქვაცაბაია - 13; 758 (+3) ოქსანა კალაშნიკოვა - 12; 825 (+2) ეკა გორგოძე - 10; 1111 (+3) სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 3. როგორც ხედავთ, სიას თეონა ცერცვაძე გამოაკლდა. კარიერის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ სოფიო შაფათავას, მანანა შაფაქიძეს და სოფიო ქვაცაბაიას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფიო შაფათავა 394-ე ნომერია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# ცინცაძემ კარგად დაიწყო, როკმა ცუდად

ესტონეთის ჩემპიონატის დაწყებამდე კლუბები მომზადების დონეს თასის გათამაშებაში ამოწმებენ. ამ ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ფინალში "კალევთან" და 62:71 დათმო. ანგარიშიდან ჩანს, რომ კალეველებმა მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად მოიგეს. სინამდვილეში სხვაგვარი სიტუაცია იყო: "ტანელ ტეინისა და გიორგი ცინცაძის აქტიურობის ხარჯზე "როკმა" პირველ ტაიმში სოლიდურ უპირატესობას მიაღწია 20:8. მაგრამ თორმეტქულიან სხვაობას რომ მიუახლოვდა, "ტარტუ როკმა" თამაშს უკლო და ბოლო წუთებამდე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. სირენამდე 3 წუთით ადრე გიორგი ცინცაძის ორქულიანის წყალობით როკერები მცირე უპირატესობას ინარჩუნებდნენ (59:57), მაგრამ მას მერე "კალევმა" ტრევის რედის გააქტიურების შემდეგ 14: 3 სპურტი მოაწყო და თასს დაეუფლა", - ვკითხულობთ ფინალური მატჩის მიმოხილვაში.

ნაგების მიუხედავად, "როკმა" გუნდური თამაში რომ უჩვენა, ამას ქულების თანაბრად გადანაწილებაც მოწმობს: გიორგი ცინცაძემ 11 ქულა ჩააგდო და ორით ჩამორჩა სნაიპერ იანარ ტალტსს. მათ გარდა 10-11 ქულა კიდევ სამმა როკერმა მიითვალა.

გიორგიმ 28 წუთი ითამაშა და ორქულიანები 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა (8-დან 4 ჩააგდო), ხოლო სამიანები 100-პროცენტიანით - ერთი ტყორცნა. 11 ქულის გარდა ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზე 4-4 მოხსნა-პასი და 3 ჩაჭრაა. ერთი დღით უკან გადავინაცვლოთ და ნახევარფინალურ მატჩზეც ვთქვათ. "ტარტუ როკმა" ფინალის გზიდან იოლად ჩამოიცილა "პირატა" - 69:59.

მართალია, ის "კალევთან" შეხვედრის დარად ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა, მაგრამ ისეთივე შედეგიანი ვერ იყო: 13 წუთში 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი ჩაიწერა. განსაკუთრებით კი შეტევაში არ გაუმართლა - 5-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.



# ატლანტა ვარჯიშს შეუდგა

საქართველოს ნაკრების მატჩების შემდეგ **ზაზა ფაჩულიამ** ატლანტას მალევე მიაშურა და NBA-ს ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ოფიციალური შეკრება ამ კვირას იწყება, თუმცა "ჰოქსის" ძირითადი ბირთვი უკვე ერთმანეთის გვერდით, თუმცა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. თქვენ წინაშე სწორედ ერთ-ერთ ასეთ ვარჯიშზე გადაღებული ფოტოა.

მწვრთნელ **მაიკ ვუდსონის** მეთვალყურეობით საწვრთნელი პროცესი დღეს დაიწყება და 8 ოქტომბრამდე გასტანს, რვიდან კი "ატლანტა" საგამოფენო მატჩებზე გადაერთვება. "ჰოქსის" პირველი მატჩი ორლანდოშია დაგეგმილი, სწორედ იქ, სადაც ფაჩულიას NBA-ური დებიუტი შედგა.




ახალი სეზონის წინ. წარდგენა

# აზოტში სერბს ელიან



იოვან სტეფანოვი

**დღეიდან 4 ოქტომბრამდე საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდებში მომხდარ ცვლილებებზე გესაუბრებით. ყოველდღიურად ორ-ორ კლუბს გაგაცნობთ, ხოლო 4 ოქტომბრიდან დუდუ დადიანის მემორიალი იწყება და ვინ როგორ მოემზადა უშუალოდ მოედანზე შეგვეძლება ნახვა.**

**დღეს ჩემპიონატის ფავორიტსა და აუტსაიდერს, "აზოტსა" და თსუ-ს წარმოგიდგენთ.**

### აზოტი

რუსთავის "აზოტის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** საევროთასო განაცხადში 10 კალათბურთელი შეიყვანა - დანარჩენს მერე დავიმატებთო. გუშინ საიტმა "ევრობასკეტმა" გაავრცელა ინფორმაცია "აზოტში" სერბი ლეგიონერის გადასვლის შესახებ.

რუსთავში 1983 წელს დაბადებულ **იოვან სტეფანოვს** ელიან, რომელიც პროფესიული კარიერის საქართველოში დაწყებას აპირებს. იგი ბელგრადში დაიბადა, კარიერა სერბეთის დედაქალაქში დაიწყო და ბოლო ორი წელია, ამერიკის კოლეჯების ლიგაში თამაშობს. იოვანმა ბოლო სეზონი ილინოისის კოლეჯში გაატარა, 32 მატჩში საშუალოდ 9.9 ქულას, 5.7 მოხსნას და 1.5 პასს აგროვებდა. მოხსნების რაოდენობის მიხედვით მიხვდებოდით, რომ სტეფანოვი ტანდაბალი არ უნდა იყოს. ასეცაა - იგი 206 სმ სიმაღლის მეფარეა და მისი მთავარი პლუსი დაცვაში კარგი თამაშია.

"აზოტის" მომავალ წევრთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავსაც გავიხსენებთ. იგი 1999 წელს იუგოსლავიის კადეტთა ნაკრების წევრი იყო და ევროპის ჩემპიონატზე ქართველი თანატოლების წინააღმდეგ ითამაშა - 11 წუთში 8 ქულა ჩააგდო. მატჩი იუგებმა 91:75 მოიგეს. საქართველოს ნაკრების ღირსებას მაშინ თითქმის დღევანდელი ეროვნულის შემადგენლობა იცავდა: **ზაზა ფაჩულია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე, კოტე ტუღუში, გიორგი მარკოიშვილი...**

"ევრობასკეტის" ცნობით იოვან სტეფანოვის "აზოტში" ჩარიცხვა ჯერ არ გადაწყვეტილა. იგი საქართველოში ჩამოვა, გუნდთან ივარჯიშებს და თუ რუსთაველებს თავს მოაწონებს, ევროთასზეც ითამაშებს და საქართველოს ჩემპიონატშიც.

**ახლა მათ შესახებ, ვინც სერბ მეფარეს "აზოტში" უმასპინძლებს. ჯერ გუნდის შემადგენლობას გაგაცნობთ.**

უკანა ხაზი: **რამაზ გოგობერიშვილი, ლევან ცეკვავა, ბესიკ ლეჟავა, გიორგი გამყრელიძე, მიხეილ ჭოჭუა, ანატოლი ბოისა, გეგი ლიპარტელიანი;** ფორვარდები: **ზვიად ბაბიაშვილი, რევაზ დიდია, ჟულიეტ ტუჯანი;** ცენტრები: **აკაკი დვალიშვილი, იური დანელიანი;** მთავარი მწვრთნელი: **დავით უსტიაშვილი;** ასისტენტი: **მიხეილ ბერუაშვილი.**

გასული სეზონის შემდეგ გუნდიდან წასულების რიცხვი მოსულებისას ერთიორად აღემატება. მაისის შემდეგ "აზოტი" დატოვეს **გიორგი მარკოიშვილმა** ("ვითა"), **ვაკო ბეჟანიშვილმა** (ვითა), **დავით ბერძენიშვილმა** (ვითა), **ვახტანგ მინაშვილმა** (ავიამშენი), **კოტე ტუღუშმა** (ავიამშენი), **ბოიან მალუშევიჩმა** (სერბეთი) და **დავით უგრეხელიძე** (ბორას ნექტარი, ბოსნია).

მათ ნაცვლად "აზოტში" ჩაირიცხნენ **ზვიად ბაბიაშვილი** (ავიამშენიდან) **ბესიკ ლეჟავა** (თსუ-დან), **იური დანელიანი** და **აკაკი დვალიშვილი**. ზვიადი და ბესო სავარაუდოდ სასტარტო ხუთეულის წევრებად იქცევიან. ხოლო აკაკი დვალიშვილი ძალიან ახალგაზრდა მეფარეა და მიუხედავად იმისა, რომ წელს კადეტთა ევროპის ჩემპიონატი ითამაშა, მაინც გამოუცდელია. სხვათა შორის, სლოვენიასთან მოგებულ მატჩში აკაკიმ ორმაგი დუბლი მიითვალა.

სადღეისოდ "აზოტში" შემცვლელსასტარტოიანად დალხენილი მდგომარეობა მხოლოდ ორ პოზიციაზეა - მძიმე ფორვარდისა (ბაბიაშვილი, ტუჯანი, დიდია) და მსროლელისაზე (გოგობერიშვილი, ლეჟავა, ჭოჭუა, ბოისა).

გამთამაშებლებშიც არ უჭირთ (გამყრელიძე, ცეკვავა), მაგრამ თუკი ხელმძღვანელობა ევროთასამდე თითო გამოცდილ პირველ ნომერს, მსუბუქ ფორვარდსა და ცენტრს ჩამოიყვანს, "აზოტი" თავიდან ბოლომდე დაბალანსდება და ყველასთვის სახიფათო მეტოქე იქნება.

### თსუ

ისევე როგორც რუსთავური კლუბიდან, მოახლოებული სეზონის წინ თსუდანაც ბევრი წავიდა: **ლუკა შანიძე** (ავიამშენი), **დავით იმნაძე** (ავიამშენი), **ბუბა ბერიშვილი** (ვითა), **მიხეილ ბერიშვილი** (ვითა), **ბესიკ ლეჟავა** (აზოტი), **გიორგი მარხვაშვილი** (ვითა), **ნიკა ვეფხვაძე** და **ზურაბ სანიკიძე** (კარიერა დაასრულა). თუმცა "აზოტსა" და თსუ-ს შორის ის განსხვავებაა, რომ რუსთაველები ლეგიონერებს ელიან, ხოლო სტუდენტთა მწვრთნელის, **ნუგზარ ჭეიშვილის** თქმით, გუნდი ჩემპიონატს მშრალი ენთუზიაზმით დაიწყებს. ანუ, ჯერჯერობით არ გარკვეულა უნივერსიტეტის უფროსობა გამოყოფს კლუბის შესანახ ფულს, თუ არა.

ასეთი ვითარების მიუხედავად, თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მაინც მოახერხა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და რამდენიმე საინტერესო მოთამაშეც დაიმატა. თსუ-ში მოვიდნენ **შალვა კოხრეიძე** (სტუ-დან), **მიხეილ ჩიტაშვილი** (ირანის I ლიგის გუნდიდან), **გიორგი მამაცაშვილი** ("ნტდ დევონიდან", აზერბაიჯანი), **ლაშა ლოსაბერიძე** (ავიამშენიდან), **ირაკლი ჯგერენაია** ("მაკაბიდან") და **ირაკლი კეიდია** (ავიამშენიდან).

დუდუ დადიანის მემორიალზე თსუ ასეთი შემადგენლობით ითამაშებს.

უკანა ხაზი: **შალვა კოხრეიძე, დავით არწივიძე, მიხეილ ჩიტაშვილი, შალვა ხეცურიანი, გიორგი მამაცაშვილი;** ფორვარდები: **მიხეილ ფანჩულიძე, ლაშა ლოსაბერიძე, ზვიად ივანეიშვილი, გიორგი ელანიძე, ირაკლი კეიდია, ერეკლე ჯგერენაია, ლევან ტყეშელაშვილი;** ცენტრი: **რიჩარდ მათიაშვილი;** მთავარი მწვრთნელი: **ნუგზარ ჭეიშვილი;** ასისტენტი: **ნუგზარ მარკოიშვილი.**

როგორც ხედავთ, ხელწამოსაკრავი გუნდი არც ნუგზარ ჭეიშვილს ეყოლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მთავარი პლუსი უკანა ხაზი იქნება, ერთი გამოცდილი მსუბუქი ფორვარდი და ცენტრი თსუ-ს ნამდვილად არ აწყენდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ტანმაღალი გიორგი ელანიძე აკაკი დვალიშვილის გვერდით წელს კადეტთა ნაკრებში თამაშობდა.

მთავარი მეფარე რიჩარდ მათიაშვილი კარიერის გაგრძელებას ამერიკის კოლეჯების ლიგაში აპირებდა, მაგრამ საელჩომ ვიზა არ მისცა...

**ხვალ "თბილავიამშენსა" და "დინამოზე" მოგითხრობთ.**

ვაჟა სიმონიშვილი



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფარიკაობა

### მარტო მომცელიძე დარჩა

სანკტ პეტერბურგში, მსოფლიო ჩემპიონატზე, პირველად ხმლით მოფარიკავე ქართველები ჩაებნენ. **ნიკა ბახსოლიანი** მე-4 ჯგუფში ასპარეზობდა. სამწუხაროდ, მან ექვსივე შეხვედრა წააგო ბელარუს, კორეელ, ყაზახ, ჰონდურასელ, ბრიტანელ და სენეგალელ სპორტსმენებთან და ბოლო ადგილი დაიკავა. მეხუთე პულში **კახა მაღრაძემ** ერთი მოგება და ხუთი მარცხი გაიფორმა. ერთიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პულში მეტოქეებს არ გამოუცხადდა ქუვეითელი სპორტსმენი. პულში ქართველი ეგვიპტელ, ურუგვაელ, რუს, ყაზახ და კანადელ მოფარიკავეებთან დამარცხდა. მე-13 პულში ვერაფერი გააწყო **ირაკლი ზამბახიძემაც**, რომელსაც თითქოს მეტისთვის უნდა მიეღწია, მან ხუთივე ორთაბრძოლა (კორეელთან, ქუვეითელთან, ჰონკონგელთან, კანადელთან და იტალიელთან) დათმო.

რაც შეეხება **მიხეილ მომცელიძეს**, ამერიკიდან ჩამოყვანილ ქართველ მოფარიკავეს - მან მართლაც გაგვახარა, მეშვიდე პულში ექვსიდან ოთხი ორთაბრძოლა მოიგო. მომცელიძემ დაამარცხა ვენესუელელი, ეგვიპტელი, ინდოელი და ბულგარელი სპორტსმენები. პულში მან კორეელთან და უნგრელთან წააგო. ჯგუფური კლასიფიკაციის შემდეგ მიხეილ მომცელიძე 33-ე ადგილზე იყო, კახა მაღრაძე 75-ეზე, ირაკლი ზამბახიძე - 88-ეზე, ნიკა ბახსოლიანი კი - 89-ეზე. სულ 95 სპორტსმენი მონაწილეობდა. რა გასაკვირია, რომ მომცელიძის გარდა ყველა ქართველი გავარდა.

## ხელბურთი

### პირველი გერმანული გამარჯვება

საქართველოს ნაკრებისა და გერმანული "ტუს-ენ ლიუბეკის" ხელბურთელმა **სერგო დათუკიშვილმა** პირველი ბუნდესლიგური გამარჯვება იზეიმა. ლიუბეკელებმა საკმაოდ ცუდი სტარტი აიღეს - ექვსიდან ხუთი მატჩი წააგეს, ერთი კი ფრედ დაასრულეს.

ამ უქმეებზე გამართულ მორიგ ტურში კი, როგორც იქნა, დათუკიშვილის გუნდმა მიმდინარე სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმა. 1800 გულშემატკივრის წინაშე, "ლიუბეკმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა "ბალინგენ-ვაილშტეტენი" (23:19), რითაც გასავარდნ ზონას დროებით თავი დააღწია, მაგრამ ჯერჯერობით, თავის დამშვიდების უფლება არ აქვს. ბუნდესლიგიდან ორი გუნდი ვარდება, რომელთაც "ლიუბეკი" მხოლოდ მინიმალური სხვაობით უსწრებს.

რაც შეეხება დათუკიშვილს, მან საკმაოდ კარგად ითამაშა და თანაგუნდელ **ბრანკო კოკირთან** ერთად, 7 გატანილი გოლით ყველაზე შედეგიანი იყო ორივე გუნდში. ამას გარდა, სერგო ერთხელ ორი წუთითაც გააძევეს ზედმეტად აქტიურობისთვის.

რაც შეეხება სეზონურ სტატისტიკას, ქართველმა ხელბურთელმა ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლა ბომბარდირთა დავაში. 47 გოლით, იგი მეხუთე ადგილზეა, პირველადგილოსან **სავას კარპიდისს** ("მელზუნგენი") კი 51 ბურთი აქვს გატანილი.

### ერთი კარგი და ორი ცუდი ამბავი

ქართული კლუბების ევროთასებიდან ნაადრევად გამოვარდნის შემდეგ, ისლა დაგვრჩენია, რომ ჩვენი ლეგიონერების კლუბებს ვუქომაგოთ. სამი "ქართული" კლუბიდან, ერთმა თითქმის გაინაღდა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება, ორს კი სათუოდ აქვს საქმე.

თასების მფლობელთა თასის მეორე წრის პირველ მატჩში, **ტიტე კალანდაძის, რატი მსხვილიძისა** და **როლანდ ერაძის** "სტიარნანმა" უმასპინძლა უკრაინულ "ბუდიველნიკ- ბროვარს". სამწუხაროდ, ისლანდიელებმა საკუთარი კედლების ფაქტორი ვერ გამოიყენეს და 25:26 წააგეს. მართალია, ჩვენებურთა კლუბმა ამით მესამე წრეში გასვლის შანსი შეიმცირა, მაგრამ ერთბურთიანი დეფიციტი თუნდაც მეტოქის მოედანზე, არც ისე ძნელი აღმოსაფხვრელია.

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე დამარცხდა **რეზო ჭანტურიას** მაკედონიური "მეტალურგიც". მაკედონიელებმა კვიპროსში, ადგილობრივ "სტევოლოსთან" დაყარეს ფარ-ხმალი - 21:26. ვნახოთ, მოახერხებს თუ ვერა ჭანტურიას გუნდი საკუთარ მოედანზე ხუთბურთიანი პასივის გაბათილებას...

დასასრულ, კარგ ამბავზეც ვთქვათ. ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, მშვენივრად ჩაერთო "მეტალურგივით" პირდაპირ მეორე ეტაპზე დაშვებული ბუქარესტის "დინამო", რომელშიც **ვლადიმერ რუსია** თამაშობს. რუმინელებმა საკუთარ მოედანზე გაანადგურეს საბერძნეთის აეკ-ი - 36:22. ამით, რუსიას გუნდმა, ფაქტობრივად, გაინაღდა მესამე წრეში თამაშის უფლება.

ქართველ ხელბურთელთა კლუბები, განმეორებით მატჩს გამართავენ 6-7 ოქტომბერს.

## რაგბი




ინტერვიუ ლევან ცაბაძესთან

### თავს ზემოთ როცა ახტები...

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასზე ასპარეზობა დაასრულა. ვფიქრობთ, დროა ერთგვარი ეიფორიიდან გამოვიდეთ და თამაშების ანალიზი ქართველ სპეციალისტებს მივანდოთ. დღეს ჩვენს გუნდს ყოფილი კაპიტანი, ლევან ცაბაძე შეაფასებს.**

- მიმაჩნია, რომ ჩვენმა გუნდმა თავისი მაქსიმუმი აჩვენა საფრანგეთში. მიზანი რაც დასახული ჰქონდათ, ერთი თამაშის მოგება და დანარჩენის დასრულების შემდეგ მოედნის თავაწეულად დატოვება, შესრულებულია. აქედან გამომდინარე, ნაკლოვანებებზე ძნელია ლაპარაკი. თუმცა ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშო - ჩვენი მორაგბეები მოსაგებად მხოლოდ ნამიბიის წინააღმდეგ გავიდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ირლანდიასთან თავდადებით და ძალიან აგრესიულად მოთამაშე ქართველებმა გამარჯვება გაუშვეს ხელიდან.

**- რა დადებითი ტენდენცია დაგანახათ ჩვენი ნაკრების თამაშმა?**

- უმთავრესი, რაც დავინახეთ ისაა, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი გაზრდილია და საკმაოდ წინაა წასული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია წარმატებით გავუმკლავდეთ თუნდაც არგენტინას, რომელიც ყველამ ნახა რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ლაპარაკი არ მაქვს ჯერჯერობით (ხაზს ვუსვამ - მხოლოდ ჯერჯერობით) ზელანდიის, ავსტრალიისა და სამხრეთი აფრიკის ნაკრებებზე. თუმცა ეგ დროც დადგება.

იმ მცირე რესურსებით, რაც გაგვაჩნდა, თითქმის შეუძლებელი შევძელით. როცა თავს ზემოთ ძალა არაა და მაინც ახტები, სწორედ ესაა საქმე!

**- ბოლო შეხვედრას საფრანგეთთან ალბათ აქტივში ნამდვილად ვერ ჩავიწერთ.**

- ამას თავისი მიზეზები გააჩნია. გვაკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, გუნდს აშკარად ეტყობოდა დაღლილობა. ბევრ სრულიად ელემენტარულ შეცდომას ვუშვებდით. არადა გარწმუნებთ, ზელანდიის წინააღმდეგაც კია შესაძლებელი წარმატებით თამაში, თუ უშეცდომოდ ითამაშებ. ამ დონის გუნდები კი სწორედ იმით არიან ძლიერები, რომ შეცდომებს არ გპატიობენ.

რაც შეეხება ჩვენს მოწინააღმდეგეს - ფრანგებმა ზელანდიასთან თამაშისთვის გენერალური რეპეტიცია გაიარეს. ზელანდიას დაბალი მესამე ხაზი ჰყავს, ამიტომ ფრანგები შეეცდებიან, დერეფანში რაც შეიძლება მეტი ბურთი მოუგონ. შერკინება, ისე როგორც ჩვენთან, ძალიან ხშირად ითამაშებს მოლით. ეცდებიან, დაცვა რაც შეიძლება აგრესიული იყოს, რაც მოწინააღმდეგეს შეცდომებს დააშვებინებს. ყოველივე ამის გაკეთების საშუალება არგენტინამ ფრანგებს არ მისცა, ჩვენ კი ეს ვერ შევძელით.

ერთი სიტყვით, აუცილებელი არაა ურთულესი კომბინაციებით თამაში. ჩვენი ნაკრები უნდა ეცადოს, მომავალში, მარტივი, რაც შეიძლება მეტ ხანს ბურთის შენარჩუნების პრინციპით გაფიდეს ფონს. ასე საქართველოს ნაკრები ითამაშებს ულამაზო, მაგრამ ძალზედ ეფექტურ რაგბს.

**- მსოფლიო თასზე აშკარად გამოჩნდა, რომ სამხრეთნახევარსფეროელები ევროპელებზე უკეთ გამოიყურებიან. მეოთხედფინალში მხოლოდ სამი ჩრდილოური გუნდია.**

- დიახ, ეს საკმაოდ მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენციაა. რაც იმის იმედს გვაძლევს რომ IRB-ის დააფიქრებს და ძალიან ბევრ რამეს შეცვლის. სამხრეთელები ძალიან ხშირად თამაშობენ ერთმანეთში და სწრაფად იზრდებიან, რასაც ვერ ვიტყვით ექვსი ერის ქვეყნებზე. საოცარია, რომ არგენტინას სამ ერზე არ იღებენ იმ მიზეზით, თითქოს ჩვენს დონეზე ვერ ხართო. ექვს ერზე კი უარს იმის გამო ეუბნებიან, რომ ევროპელები არ არიან. განა ეს ნორმალურია?

**- თუ არგენტინას ასე ექცევიან, თავის ტოლსწორად ჩვენ მით უფრო არ გვაღიარებენ.**

- არა, ევროპელები უარს ვერ გვეტყვიან, არგენტინის დონის გუნდი თუ გვეყოლება. ჩვენი მთელი მცდელობა ახლა აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, IRB აპირებს იაპონიას ხმის უფლება მისცეს საბჭოში. რადგან, როგორც აღმოჩნდა, იაპონია მეხუთე ადგილზე ყოფილა მსოფლიოში რეგისტრირებული მორაგბეების რაოდენობით. აქვთ გამართული ინფრასტრუქტურა. მედია დეტალურად და საკმაოდ აქტიურად აშუქებს ახალგაზრდული გუნდების მსოფლიო ჩემპიონატებსაც კი. და რაც მთავარია, ხელისუფლებაა დაინტერესებული ქვეყანაში რაგბის განვითარებით.

ეს ყოველივე იმიტომ გიამბეთ, რომ იგივე უნდა მოხდეს საქართველოშიც. საბედნიეროდ, ჩვენი ხელისუფლება მიხვდა, რომ შანსი გვაქვს სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი გუნდი გვყავდეს. უკვე დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმაც. პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ რაგბი მარტო სპორტი არაა, ის პოლიტიკაცაა. სანამ გვიან არ არის და სანამ რაგბი ძალიან ძვირი სიამოვნება არ გამხდარა, დროზე ჩავჯდეთ კალაპოტში, განვავითაროთ ინფრასტრუქტურა. ამის შემდეგ სულ ცოტა 8-10 წელი დაგვჭირდება მსოფლიოში წამყვანი სარაგბო ქვეყანა რომ გავხდეთ და გვქონდეს ჩვენი ხმა IRB-ში.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სპორტის აკადემია

### დაპირება სხვა იყო, რეალობა სხვაა

გუშინ, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. უცნაურ გარემოში შეეგება თავის იუბილისწინა 69-ე სასწავლო წელს სპორტის აკადემია, აწ უკვე ყოფილი, სპორტულ ცენტრამდე ჩამოქვეითებული. ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სწორედ ასეთი სტატუსით მოხდა მისი ინტეგრაცია.

დაპირება, რომ ყველაფერი პირობების გასაუმჯობესებლად და პროფესიული დონის ასამაღლებლად გაკეთდა, დაპირებად დარჩა. არმიის სპორტულ კლუბში ცენტრმა მხოლოდ რამდენიმე დღით დაიდო ბინა, მერე კი გვერდით მდგომ "ქარიშხალას" კომპლექსისკენ მიუთითეს. აი, იქ უნდა განახლებულიყო სწავლა გუშინ, მაგრამ მეცადინეობები ჩაიშალა, ტრადიციული მილოცვის შემდეგ თავყრილობა საპროტესტო გამოსვლებში გადაიზარდა, რაც შემდეგ ყოფილი სპორტის აკადემიის შენობასთან გაგრძელდა.



ასეთი და ამაზე უარესი აუდიტორიებია ქარიშხალაში

"ჩვენ არ ვართ განათლების რეფორმის წინააღმდეგი. კი ბატონო, გაიყიდოს აკადემიის შენობა, მისი ტერიტორია, მაგრამ მოგვეცით სწავლისა და სპორტის არჩეულ სახეობაში უმაღლესი განათლების მიღების პირობები, აღადგინეთ აკადემიის სრული სტატუსი", - ასეთია რეფორმის შედეგებით უკმაყოფილოთა მოთხოვნა.

რა არის მიუღებელი ამ მოთხოვნაში?

## თარიღი

**ვლადიმერ დგებუაძე.** დაიბადა 02.10.1970, სოხუმი. ძიუდო (71 კგ). ევროპის ჩემპიონი (1993), ევროპის თასის მფლობელი (1989), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991), კეთილი ნების თამაშების მესამე პრიზიორი (1990). სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1989, 91), 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (X ადგილი). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**ნატო ნასარიძე.** დაიბადა 02.10.1972, თბილისი. მშვილდოსნობა. ევროპის ექსგზის ჩემპიონი (1990, 96, 2000) პირად და გუნდურ შეჯიბრებებში, მსოფლიოს ჩემპიონატების სამგზის მეორე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში (1995, 99, 2003) და ორგზის მესამე პრიზიორი პირად ასპარეზობაში (1995, 97). ხმელთაშუაზღვის თამაშების ჩემპიონი (1997) და მეორე პრიზიორი (1993). ბარსელონის (1992, IX ადგილი), ატლანტის (1996, XVII ადგილი), სიდნეისა (2000, XXI ადგილი) და ათენის (2004, XXXI ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. დამყარებული აქვს ოლიმპიური რეკორდი (1996). 1992 წლიდან გამოდის თურქეთის სახელით. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**რევაზ ჩელებაძე.** დაიბადა 02.10.1955, ქობულეთი. ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა ქობულეთის "შუქურაში" (1973), ბათუმის "დინამოში" (1974-75, 1983-85), თბილისის "დინამოსა" (1976-82, 1985-87) და ლანჩხუთის "გურიაში" (1982). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 7 მატჩი (3 გოლი), სსრკ უმაღლეს ლიგაში ) 158 (52 გოლი). 1980 წლის მსოკოვის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და ორგზის მესამე (1976 გაზაფხული და შემოდგომა) პრიზიორი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 79) და ფინალისტი (1980). იყო ფეხბურთის კლუბების - ბათუმის "დინამოს" (1990-93), ქობულეთის "შუქურასა" (1990-96) და რუსთავის "მეტალურგის" (1996-97) პრეზიდენტი.

კალათბურთი

## ნიქსმა ჯორდანი გადაიბირა

"ნიუ იორკ ნიქსის" შემადგენლობა "კლიპერსის" ახალბედა მცველმა **ჯარედ ჯორდანმა** შეავსო. ლოსანჯელესელებმა ეს კალათბურთელი წლევანდელი დრაფტის მეორე რაუნდში აიყვანეს.

შარშან, 22 წლის ჯორდანი სტუდენტურ ლიგაში თამაშობდა და საშუალოდ მატჩში 17.2 ქულასა და 8.7 შედეგიან პასს აგროვებდა. ჯარედის სანაცვლოდ, "კლიპერსმა" "ნიქსისგან" ფულადი კომპენსაცია მიიღო.

## კობი ლეიკერსში ივარჯიშებს

სასიამოვნო ინფორმაცია მიიღეს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გულშემატკივრებმა. ამ გუნდის ლიდერი, **კობი ბრაიანტი** ჰავაის კუნძულებზე ჩავიდა და დღეიდან "ლეიკერსის" ვარჯიშებს შეუერთდება.

*"ვიცი, რომ კობი "ლეიკერსში" დაიწყებს ვარჯიშს. მოვლენების სხვაგვარად განვითარების არანაირი ეჭვი არ არსებობს"*, - განაცხადა კალათბურთელის პრეს-ატაშემ **კატრინ სერბინგმა**.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, 29 წლის ვარსკვლავი დაჟინებით ითხოვდა სხვა კლუბში გაცვლას.

## სპურსმა დრაფტზე აყვანილი გაიფორმა

NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა "სან ანტონიო სპურმა" ფორვარდ **მარკუს უილიამსთან** გააფორმა კონტრაქტი. ეს კალათბურთელი დებიუტანტი გახლავთ - "სპურსმა" ის წლეულს აირჩია დრაფტის 33-ე ნომრად. ხელშეკრულების დეტალები უცნობია.

"სან ანტონიომ" კალათბურთელის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც უილიამსმა ლას ვეგასისა და სოლტ-ლეიკ-სიტის საზაფხულო ბანაკებში 10 მატჩი გამართა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

## ტაუმ სეზონი გამარჯვებით დაიწყო

კვირას, ესპანეთში ქვეყნის სუპერთასის ფინალი გაიმართა, რომელშიც "ტაუგრესმა" სტუმრად - 85:73 მოუგო "ბილბაოს".

გამარჯვებულთა რიგებში ერთბაშად ხუთმა კალათბურთელმა შეძლო 10-ქულიანი ზღვარის გადალახვა. ესენი არიან: **რაკოჩევიჩი** (23 ქულა+3 პასი), **სპლიტერი** (16 ქულა+7 მოხსნა), **პლანინიჩი** (14 ქულა+4 მოხსნა), **იასაიტისი** (13 ქულა+4 მოხსნა) და **პრიჯიონი** (12+7 პასი).

ფინალის საუკეთესო მოთამაშედ ბრაზილიელი **ტიაგო სპლიტერი** დასახელდა.

## ტორონტომ მარტინი დაიტოვა

"ტორონტო რეპტორზმა" კონტრაქტი გააგრძელა მცველ **დერიკ მარტინთან**. ამ ვეტერანმა კალათბურთელმა კანადური კლუბის რიგებში ბოლო ორი სეზონი ითამაშა და მის რიგებში კიდევ ერთი წელიწადი დარჩება.

36 წლის მარტინი 12 წელიწადია, რაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს. 497 მატჩში მისი სტატისტიკური მონაგარი 7.0 ქულა და 2.9 შედეგიანი პასია.

ჩოგბურთი

## ავსტრალიელ იუნიორთა ტრიუმფი

გასულ უიქ ენდზე იუნიორთა შორის დევისის თასისა და ფედერაციის თასის ფინალები გაიმართა.

ორივე გადამწყვეტ შეხვედრაში ავსტრალიელმა იუნიორებმა იყოჩაღეს. ვაჟებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს არგენტინის ნაკრები და დევისის თასი მოიპოვეს. ავსტრალიელმა გოგონებმა კი, ფედერაციის თასის ფინალში 2:1 მოუგეს პოლონეთს.

კერლინგი

## უელსი ევროპის ჩემპიონია

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში შერეული გუნდებისთვის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ფინალში ერთმანეთს უელსისა და დანიის ნაკრებები შეხვდნენ და მინიმალური ანგარიშით - 6:5 ბრიტანულმა გუნდმა გაიმარჯვა, რომელიც პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

მესამე ადგილისთვის მატჩში, გერმანიამ 5:3 დაამარცხა ავსტრია.

ველოსპორტი

## ჰინკეპიმ დისკავერი გერმანიაზე გაცვალა

"დისკავერი ჩენელის" ამერიკელი ველომრბოლი **ჯორჯ ჰინკეპი** გუნდს იცვლის. 34 წლის სპორტსმენი მომავალი წლიდან გერმანულ "T-მობილეში" აპირებს ასპარეზობას.

ჰინკეპი ის ველომრბოლია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი დაიდო "ტურ დე ფრანსზე" **ლენს არმსტრონგის** შვიდჯერ გამარჯვებაში. ჯორჯი 1999-2005 წლებში ლეგენდარული ამერიკელის თანაგუნდელი იყო.

ფრენბურთი

## მსოფლიო ლიგის ფინალი ბრაზილიას ერგო

შვეიცარიის ქალაქმა ლოზანამ ვაჟთა მსოფლიო ლიგის საბჭოს სხდომას უმასპინძლა, სადაც თანამედროვე ფრენბურთის ყველაზე პრესტიჟული კომერციული ტურნირის წილისყრა გაიმართა.

2008 წლის მსოფლიო ლიგაზე მონაწილე 16 გუნდი ოთხ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

**A ჯგუფი:** ბრაზილია, საფრანგეთი, სერბეთი, კანადა;
**B ჯგუფი:** რუსეთი, კუბა, კორეა, იტალია;
**C ჯგუფი:** აშშ, ბულგარეთი, არგენტინა, ფინეთი;
**D ჯგუფი:** პოლონეთი, იაპონია, ჩინეთი, ეგვიპტე.

თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა მსოფლიო ლიგაზე არგენტინის ნაკრები. საქმე ისაა, რომ თუ ამ ქვეყნის ფედერაცია ვერ მოელაპარაკება არგენტინის ტელევიზიას მსოფლიო ლიგის მატჩების ტრანსლირების ფასზე, მაშინ არგენტინის ნაცვლად C ჯგუფში ესპანეთი ან პორტუგალია ითამაშებს.

სხვათა შორის, ტელევიზიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სააგაისო მსოფლიო ლიგის ფინალის გამართვაზე უარი თქვა იტალიამ. ამიტომაც, ფინალური ეტაპი 2008 წლის 23-27 ივლისს ბრაზილიაში ჩატარდება.

ველოსპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი

# ბეტინიმ ტიტული შეინარჩუნა


პაოლო ბეტინი ფინიშზე

შტუტგარტში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, პლანეტის იტალიელ ჩემპიონ **პაოლო ბეტინის** რბოლაზე დაშვება არ სურდათ. ესაოდა, დოპინგსაწინააღმდეგო ვალდებულების პაქტზე, ეგრეთ წოდებულ, ალთქმაზე ხელის მოწერას უკადრისობსო. მაგრამ ბევრი კამათის შემდეგ, ბეტინი საგზაო რბოლაზე დაუშვეს. დაუშვეს და მანაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

267.4-კილომეტრიანი რბოლის მიწურულს გამართულ სპურტში, ბეტინიმ იოლად ჩამოიტოვა ოთხი მეტოქე და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ვერცხლსა და ბრინჯაოს დასჯერდნენ რუსი **ალექსანდრ კოლობნიოვი** და გერმანელი **შტეფან შუმახერი**.

*"რბოლამდე ერთი კვირა მუდმივი სტრესის პირობებში ვიმყოფებოდი. რა აღარ დამდეს ბრალად, ჩემპიონატზე ჩემი დაშვებაც არ სურდათ. მე კი ყველას ამ გამარჯვებით ვუპასუხე, რისთვისაც ჩემი ქომაგების მადლიერი ვარ"*, - ნარბოლევს განაცხადა თვალცრემლიანმა ბეტინიმ, ვინც მსოფლიო ჩემპიონის ორი ტიტულის გარდა, ოლიმპიური ჩემპიონის წოდებასაც ფლობს.

დოპინგსაწინააღმდეგო ვალდებულების პაქტზე ხელის არმოწერის გამო, ბეტინის ყველაზე მეტად ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** აკრიტიკებს, მაგრამ ის რბოლის შემდეგ სხვაგვარად აჭიკჭიკდა: *"ის მოვიდა, ნახა და ყველა დაამარცხა. ველომრბოლი, ვინც ასეთი ზეწოლის დროსაც კი ახერხებს გამარჯვებას, განსაკუთრებული ველომრბოლია და პატივისცემას იმსახურებს"*.

ბეტინისგან განსხვავებით, შტუტგარტის რბოლაზე არ დაუშვეს ჯიროს იტალიელი ჩემპიონი **დანილო დი ლუკა**, ვისაც ჯიროს დროს დოპინგის გამოყენებაში სდებენ ბრალს. ამის მიუხედავად, ის შტუტგარტში დარჩა და თავის თანაგუნდელებს რბოლის დროს, წყლით სავსე ბოთლებს აწვდიდა.

რბოლა საინტერესო გამოდგა. ველომრბოლებს აღმართიან გზაზე 14 წრე ჰქონდათ გასავლელი. ფინიშამდე ორი წრით ადრე, პელოტონს 45 ველომრბოლიღა შემორჩა, რომელთა შორისაც, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ესპანელი **ოსკარ ფრეირეც** იყო. ფინიშამდე 32 კილომეტრი რომ რჩებოდა, მოულოდნელად შეტევა კოლობნიოვმა და იტალიელმა **დავიდე რებელინმა** დაიწყეს. მალე მათმა უპირატესობამ ნახევარი წუთი შეადგინა. მაგრამ ესპანელთა მცდელობით, მალე დაწინაურებულებს პელოტონი დაეწია. ოღონდ, ამ მომენტში პელოტონიც დანაწევრებული იყო - მოწინავეთა რიგებში მხოლოდ 15 მრბოლი იმყოფებოდა.

ბეტინიმ სპურტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მიხვდა, რომ დაწინაურებულებს ძალა ელეოდათ. მან ადვილად გაუარა კოლობნიოვს და რბოლაც გამარჯვებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ შტუტგარტში ჩატარებულ მსოფლიო წინა ჩემპიონატზეც (1991 წელს), საგზაო რბოლაც იტალიელმა ველომრბოლმა, **ჯანი ბუნიომ** მოიგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

პროფესიონალი მამაკაცები.
საგზაო რბოლა (14 წრე - 267.4 კმ)

1. პაოლო ბეტინი (იტალია) 6:44.43 (39.642 კმ/სთ); 2. ალექსანდრ კოლობნიოვი (რუსეთი) იგივე დროში; 3. შტეფან შუმახერი (გერმანია) იგივე დროში; 4. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი) იგივე დროში; 5. კეიდელ ევანსი (ავსტრალია) იგივე დროში; 6. დავიდე რებელინი (იტალია) 0.06; 7. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი) 0.08; 8. ფილიპ ჟილბერი (ბელგია) m) 0.08; 9. ფაბიან ვეგმანი (გერმანია) 0.08; 10. მარტინ ელმიგერი (შვეიცარია) 0.08...

ქალები. საგზაო რბოლა (7 წრე - 133.7 კმ)

1. მარტა ბასტიანელი (იტალია) 3:46.34 (35.406 კმ/სთ); 2. მარიან ფოსი (ჰოლანდია) 0.06; 3. ჯორჯა ბრონძინი (იტალია) 0.06; 4. სვეტლანა ბუბნეკოვა (რუსეთი) 0.06; 5. ნოემი კანტელე (იტალია) 0.06; 6. ემა იოჰანსონი (შვედეთი) 0.06; 7. მარინა ჟონატრი (საფრანგეთი) 0.06; 8. ოენონ ვუდი (ავსტრალია) 0.06; 9. ალექს ვრუბლესკი (კანადა) 0.06; 10. ემა პული (ბრიტანეთი) 0.06...

23 წლამდელი ვაჟები.
საგზაო რბოლა (9 წრე - 171.9 კმ)

1. პეტერ ველიტსი (სლოვაკეთი) 4:21.22 (39.461 კმ/სთ); 2. უესლი შულცბერგერი (ავსტრალია) იგივე დროში; 3. ჯონათან ბელისი (ბრიტანეთი); 4. ტომ ლეეცერი (ჰოლანდია); 5. დანილო ვაისი (შვეიცარია); 6. იონას ააენ იორგენსენი (დანია); 7. დომენიკ კლემე (გერმანია); 8. ფლორენ ვაშონი (საფრანგეთი); 9. ვიტალი ბუცი (უკრაინა); 10. ანდრეი ცეიტსი (ყაზახეთი) ყველა იგივე დროში...

ეს საინტერესოა

# ქალთა გასახდელში ფოტოგრაფმა შეაღწია

ფიზკულტურის გაკვეთილის შემდეგ, გოგონათა გასახდელში შეღწევის იდეა ნებისმიერი ბიჭის ოცნება იყო. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ რომელიმე ქალთა გუნდის გასახდელში შესვლაზე "ყვითელ პრესაში" მომუშავე ბევრ ფოტოგრაფსაც უოცნებია. ესპანური ტაბლოიდის, Interviu-ს ფოტოკორესპონდენტ **პაკო ლიატას** ძალიან გაუმართლა, თუმცა შიშველი ხელბურთელების გადასაღებად მას რაიმე განსაკუთრებული გმირობის ჩადენა არ დასჭირვებია.

ესპანური სახელბურთო კლუბის, "ორსან ელდას" მოთამაშეებმა მოულოდნელი მარკეტინგული ნაბიჯი გადადგეს და თავად მოინდომეს Interviu-ს ფოტოგრაფის წინაშე პოზირება. ამით ხელბურთელებმა კლუბის გამოცარიელებული სალაროს შევსება გადაწყვიტეს. ახალი სეზონის დაწყების წინ, "ორსან ელდა" სპონსორის გარეშე დარჩა. სწორედ ახალი კომპანიების დაინტერესებისთვის და ცოტაოდენი თანხის გამომუშავებისთვის დათანხმდნენ ხელბურთელები ამ უკიდურეს ფორმას. საბოლოოდ, ამ ფოტოსესიამ მოთამაშეებს 300 ათასი ევრო მოუტანა - სწორედ ეს თანხა გადაიხადა ესპანური ყვითელი პრესის ლიდერმა.

*"ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად 300 ათასი ევრო არ გვყოფნიდა. ამ ფოტომ ყველას უნდა შეახსენოს ხელბურთის არსებობა*, - განაცხადა "ორსან ელდას" კაპიტანმა **დიანა ბოკსმა**. - *დღეს, ეს ფულის შოვნის ერთადერთი ხერხია, რათა გუნდმა ესპანეთის ლიგასა და ევროტურნირებზე ითამაშოს"*.

Interviu-ს მორიგი ნომერი ერთ დღეში გასაღდა. ჯერჯერობით უცნობია, 300 ათასის გარდა, ამ ფოტოსესიით სხვა რა ხეირი ნახა "ორსან ელდამ".



## კრივი

### სატიტულო ბრძოლები

# საშუალო წონის ახალი ვარსკვლავი

მოულოდნელი შედეგით დასრულდა საშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტური (ყველა პრესტიჟული გაერთიანების) ჩემპიონის, **ჯერმეინ ტეილორისა** და **კელი პავლიკის** (ორივე ამერიკელია) ბრძოლა, რომლის სასწორზეც WBC-ს და WBO-ის ქამრები იდო. პრეტენდენტმა, რომელიც მეორე რაუნდში ახლოს იყო მარცხთან, გაუძლო ჩემპიონის შემოტევას და მას თავად აგემა ნოკაუტი.

ატლანტიკ სიტის "ბორდუოკ ჰოლის" არენაზე მისული 10 127 მაყურების უმეტესობა მხარს პავლიკს უჭერდა, ვინც მაგარი დამრტყმელის რეპუტაციით სარგებლობს და ტეილორთან შეხვედრამდე, პროფესიულ არენაზე ჩატარებული 31-ვე ბრძოლა მოგებული (29 ნოკაუტით) ჰქონდა. პავლიკს ბევრი სპეციალისტი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს, მაგრამ ბრძოლის დასაწყისში, მას ჩემპიონის შეტევების მოგერიება ძალიან გაუჭირდა.

ტეილორმა (27-1-1) ბრძოლა შესანიშნავად დაიწყო. მან კარგად ამუშავა ცაცია ჯები და მეტოქე რამდენიმე კომბინაციითაც დაბომბა. მეორე რაუნდის შუაში კი მისმა მარჯვენამ პავლიკი ლამის ნოკაუტში ჩააგდო. პრეტენდენტი რინგზე დაეცა და რვის დათვლამდე არც წამომდგარა. ბრძოლა ჩემპიონის გაშმაგებული შეტევით გაგრძელდა. თუმცა პავლიკმა სასწაულებრივად მიაღწია გონგამდე.

აქედან მოყოლებული, ოთხი რაუნდი ტეილორმა შეტევებში გაატარა, მაგრამ რატომღაც, ნაკლებად აგრესიული იყო. ჰოდა, პავლიკმა ძალა მოიკრიბა და მეშვიდეს დასაწყისშივე, მეტოქე მარჯვენათი პირდაპირი დარტყმით შეაბარბაცა. როგორც კი იგრძნო, რომ ჩემპიონს გაუჭირდა, პავლიკი მაშინვე გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. მან ორივე ხელით რამდენჯერმე აპერკოტი აგემა ტეილორს. მართალია, ტეილორი არ დაცემულა, რაშიც მას რინგის კუთხის ბოძი დაეხმარა, მაგრამ ის ველარც თავის დაცვას ახერხებდა. ეს რომ დაინახა, საქმეში რეფერი **სტივ სმოუგერი** ჩაერია, რომელმაც ბრძოლა შეწყვიტა და გამარჯვებულად პავლიკი გამოაცხადა.

გასულ უქმეებზე კიდევ რამდენიმე სატიტულო ბრძოლა ჩატარდა. საკრამენტოში, WBC-ს ვერსიით ქვემძიმე წონის ჩემპიონმა **ჩად დოუსონმა** (25-0, 17 ნოკაუტი) მეოთხე რაუნდში ნოკაუტით მოუგო **ეპიფანიო მენდოსას**. ოთხივე რაუნდი ჩემპიონის აშკარა უპირატესობით ჩატარდა. დოუსონს მესამეშივე შეეძლო საქმის მოთავება, როცა პრეტენდენტი კუთხეში მიიმწყვდია და უმოწყალოდ ურტყა.

შეფილდში კი ქვემძიმე წონაში IBF-ის ბრიტანელმა ჩემპიონმა **კლინტონ ვუდსმა** ქულებით მოუგო მექსიკელ **ხულიო სესარ გონსალესს**. ჩემპიონს გამარჯვება სამივე მსაჯმა მიაკუთვნა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, ბოლო რაუნდებში გააქტიურება რომ არა, ვუდსი აუცილებლად დაკარგავდა ტიტულს.

გერმანიის ქალაქ ოდენბურგში კი ზემძიმე წონის (WBA-ის ვერსიით) ყოფილმა ჩემპიონმა, რუსმა **ნიკოლაი ვალუევმა**, ტიტულის დაკარგვის შემდეგ პირველი ბრძოლა გამართა და ქულებით დაამარცხა კანადელი **ჟან-ფრანსუა ბერჟერონი**.



პავლიკი გადამწყვეტ შეტევაზე

## მძლეოსნობა

### ბერლინის მარათონი

# გებრემ რეკორდი გააუმჯობესა

ლეგენდარულმა ეთიოპიელმა მორბენალმა **ჰაილე გებრსელასიემ** სიტყვა შეასრულა და ბერლინის მარათონი რეკორდული დროით მოიგო. გამარჯვებულმა კლასიკური დისტანცია (42.190 კმ) 2 საათში, 04 წუთსა და 26 წამში გაირბინა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კენიელი **პოლ ტერგატის** მიერ ოთხი წლის წინ, ბერლინშივე დამყარებული რეკორდი (2:04:55).

გებრემ ტერგატის რეკორდის გაუმჯობესება სამჯერ სცადა, მაგრამ სამივე შემთხვევაში, ხელი მოეცარა. მიზანთან ის ყველაზე ახლოს შარშან, ბერლინშივე იყო, მაგრამ რეკორდთან 61 წამი წააგო, რაც თავად უამინდობას დააბრალა. მაგრამ ამჯერად, 34 წლის გებრეს ამინდმაც შეუწყო ხელი და შედეგმაც არ დააყოვნა.

*"დღეს ყველაფერი კარგად აეწყო. ცოტა ქარი კი ქროდა, მაგრამ ამას ხელი არაფერში შეუშლია. განსაკუთრებით კი მაყურებლის მხარდაჭერამ შემაძლებინა რეკორდის გაუმჯობესება, რისთვისაც გერმანელ ხალხს მადლობას ვუძღვნი"*, - განაცხადა გებრსელასიემ, ვინც ათი კილომეტრის შემდეგ, ტერგატის რეკორდულ გრაფიკს 32 წამს უგებდა. მან ეს უპირატესობა შუა გზამდე შეინარჩუნა.

გებრეს იგივე უპირატესობა 30 კილომეტრის შემდეგაც ჰქონდა. სწორედ ამ ზღვარზე, მას ორი დარჩენილი პეისმეიკერიც (წინამძღოლი, რომელიც შორ დისტანციაზე მორბენალს მიუძღვის და ჰაერის წინააღმდეგობას უმცირებს) ჩამორჩა და აქედან მოყოლებული, ფინიშამდე ეულად გააგრძელა სირბილი.

ცნობისათვის, ბერლინის მარათონი რეკორდებისადმი მიდრეკილია, რასაც მისი მარშრუტის სპეციფიკა განაპირობებს. ამ ტრასაზე ბოლო ხანს მსოფლიოს რეკორდი სამჯერ გაუმჯობესდა. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ მარათონს დაახლოებით 40 000 მონაწილე ჰყავდა, რომელთა ასპარეზობასაც ბერლინის ქუჩებში ჩამწკრივებულმა მილიონამდე ადამიანმა უცქირა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჩოგბურთი

### რეიტინგები

**ATP-ის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7605 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5385 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4295 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3255 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 2540 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2360 |
| 7(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2235 |
| 8(8). დავიდ ფერერი (ესპ) | 1940 |
| 9(9). ტომი რობრედო (ესპ) | 1920 |
| 10(10). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 1880 |
| 11(11). ტომი ჰაასი (გერ) | 1880 |
| 12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1850 |
| 13(14). რიშარ გასკე (საფ) | 1760 |
| 14(13). გილერმო კანიასი (არგ) | 1633 |
| 15(15). კარლოს მოია (ესპ) | 1620 |
| 16(16). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1465 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1465 |
| 18(18). ენდი მარეი (ბრიტ) | 1340 |
| 19(21). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1320 |
| 20(19). ხუან მონაკო (არგ) | 1320 |

**ATP-ის საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1171 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 1012 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 802 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 485 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 382 |
| 7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 331 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 321 |
| 9(9). ტომი ჰაასი (გერ) | 316 |
| 10(10). კარლოს მოია (ესპ) | 315 |
| 11(11). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 314 |
| 12(12). ტომი რობრედო (ესპ) | 304 |
| 13(13). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 300 |
| 14(16). რიშარ გასკე (საფ) | 293 |
| 15(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 281 |
| 16(15). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 279 |
| 17(17). გილერმო კანიასი (არგ) | 265 |
| 18(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 264 |
| 19(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 258 |
| 20(20). ხუან მონაკო (არგ) | 251 |

**ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 063 620 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 344 435 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 057 150 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 417 775 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 1 224 120 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1 106 430 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 033 452 |
| 8. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 1 019 570 |
| 9. ტომი ჰაასი (გერ) | 896 300 |
| 10. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 893 045 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუს) | 889 625 |
| 12. რიშარ გასკე (საფ) | 885 290 |
| 13. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 871 515 |
| 14. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 853 985 |
| 15. ტომი რობრედო (ესპ) | 840 347 |
| 16. კარლოს მოია (ესპ) | 832 265 |
| 17. გილერმო კანიასი (არგ) | 792 165 |
| 18. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 737 185 |
| 19. ბობ ბრაიანი (აშშ) | 733 360 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 712 755 |

**WTA-ს რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 5200 |
| 2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3609 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3445 |
| 4(4). მარია შარაპოვა (რუს) | 3235 |
| 5(6). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3170 |
| 6(5). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2890 |
| 7(7). სერენა უილიამსი (აშშ) | 2391 |
| 8(9). ვინუს უილიამსი (აშშ) | 2305 |
| 9(8). ნადია პეტროვა (რუს) | 2266 |
| 10(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2177 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2081 |
| 12(12). ამელი მორესმო (საფ) | 1995 |
| 13(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1758 |
| 14(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1735 |
| 15(15). ელენა დემენტიევა (რუს) | 1707 |
| 16(16). შაარ პეერი (ისრ) | 1684 |
| 17(17). დინარა საფინა (რუს) | 1665 |
| 18(18). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1577 |
| 19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1563 |
| 20(20). აგნეს შავაი (უნგრეთი) | 1363 |

**WTA-ს საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4675 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3955 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3246 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 3122 |
| 5. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2626 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 2430 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2391 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2305 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2056 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1928 |
| 11. ნადია პეტროვა (რუს) | 1789 |
| 12. დინარა საფინა (რუს) | 1667 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიც) | 1625 |
| 14. შაარ პეერი (ისრ) | 1623 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუს) | 1517 |
| 16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1511 |
| 17. ამელი მორესმო (საფ) | 1476 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1435 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1403 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1372 |

**ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4 092 676 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 946 491 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 855 242 |
| 4. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1 821 577 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 642 462 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 637 614 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1 243 420 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1 108 761 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 064 125 |
| 10. დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 922 842 |
| 11. დინარა საფინა (რუს) | 778 052 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 768 503 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 759 275 |
| 14. მარა სანტანჯელო (იტა) | 669 662 |
| 15. კატბ სრებოტნიკი (სლოვენ) | 649 167 |
| 16. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 644 084 |
| 17. ნადია პეტროვა (რუს) | 641 732 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიც) | 629 537 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 625 295 |
| 20. კარა ბლეკი (ზიმ) | 621 892 |

## TV სპორტი

**2 ოქტომბერი. სამშაბათი**

**I არხი**

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერი-რომა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შტუტგარტი-ბარსელონა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სევილია-სლავია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:09 სპორტკლუბი.
09:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:46 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჰოლანდია.
13:17 სპორტის სამყარო.
13:44 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/4 ფინალი.
17:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-ფენერბაჰჩე (LIVE).
22:15 სპორტული ისტორია.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერი-რომა (LIVE).
00:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ინტერი-ეინდჰოვენი.
02:25 მინი-მოედანი.
02:51 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/4 ფინალი.
06:53 სპორტული ისტორია.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
11:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
13:00 მულტისპორტი.
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
14:15 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
21:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. დ. ტუა (აშშ)-ს. მონტანა (მექსიკა). აშშ.
23:00 პროფესიული კრივი.
01:00 რალი. IRC-ის სერია. იტალია.
01:30 სპიდვეი. სლოვენიის გრან-პრი.
02:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
03:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ბენეტონი (იტალია)-სიდნეი (ავსტრალია).
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია).
17:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჩინეთი-ცსკა (რუსეთი).
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. იტალია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბელგია.
21:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
00:00 სუპერკროსი. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 რესტლინგი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ტოტენჰემი-ასტონ ვილა 4:4**

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ბეილი, შიმბონდა, დოუსონი, ქაბული, ჰადლსტოუნი, ლენონი (86. მალბრანკი), ტაინიო (54. დეფო), სოკორა, ბერბატოვი (73. ბენტი), კინი.

**ასტონ ვილა:** კარსონი, ბუმა, ნაითი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, გარდნერი (73. ს. პეტროვი), რეო-კოკერი, აგბონლაორი, მური (66. ჰეირვუდი), იანგი.

**გოლები:** 1:0 ბერბატოვი (20), 1:1 ლაურსენი (22), 1:2 ლაურსენი (33), 1:3 აგბონლაორი (40), 1:4 გარდნერი (59), 2:4 შიმბონდა (69), 3:4 კინი (82-პენ), 4:4 ქაბული (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 13-3; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 19(12)-9(7); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 36 094

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-4 | 19 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 8 | 5 | 2 | 1 | 7-2 | 17 |
| 3. მანჩესტ. სიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 11-6 | 16 |
| 4. ლივერპული | 7 | 4 | 3 | 0 | 12-2 | 15 |
| 5. ევერტონი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-8 | 13 |
| 6. პორტსმუთი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-12 | 12 |
| 7. ბლექბერნი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| 8. ჩელსი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-8 | 12 |
| 9. ასტონ ვილა | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| 10. ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 11. ვესტ ჰემი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-7 | 10 |
| 12. უიგანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-8 | 8 |
| 13. ბირმინგემი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 14. მიდლსბრო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 15. სანდერლენდი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 16. რედინგი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-18 | 7 |
| 17. ფულჰემი | 8 | 1 | 4 | 3 | 12-14 | 7 |
| 18. ტოტენჰემი | 8 | 1 | 3 | 4 | 14-16 | 6 |
| 19. ბოლტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-13 | 5 |
| 20. დერბი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-21 | 5 |

**იტალია**

**სერია C1/A**

მონცა-ლენიანო 3:2

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

ოფენბახი-კაიზერი 0:0

**რეგიონალლიგა (სამ.)**

მიუნხენი II-შტუტგარტი II 0:1

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

გრენობლი-ნანტი 0:3

**პორტუგალია**

აკადემიკა-ლეიქსოესი 1:1

**დანია**

ნორდსილანდი-ჰორსენსი 0:0

**ნორვეგია**

სანდეფიორდი-სტარტი 1:3

**ფინეთი**

ტამპერე-ჰიკ 2:1
ლაჰტი-ტურკუ 2:3
ჰონკა-იარო 2:2
ინტერი-მიპა 1:2

**ჩეხეთი**

ვიქტორია-ბანიკი 0:2

**შვედეთი**

გიოტებორგი-ჰამარბიუ 3:0
კალმარი-მალმიო 2:0

**II დივიზიონი**

იონჩოპინგსი-ფალკენბერგსი 1:3

**უნგრეთი**

მტკ-ჰონვედი 1:2

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები**

იტალია-სერბეთი 64:43
რუსეთი-ბელარუსი 87:73
ესპანეთი-საფრანგეთი 63:53

**ჰოკეი**

**რუსეთი**

დინამო-ხიმიკი 1:1
მვდ-ცსკა 1:2

**ფინეთი**

ჰიფკ-კალპა 0:2

**შვედეთი**

ბრიუნასი-მოდო 0:1
ტიმრო-ფერიესტადი 5:5
მორა-ჰვ 71 3:2

**ჩოგბურთი**

**ATP. ტოკიო**

ლუ-უდომჩოკე 6:7, 7:6, 6:1
ფონინი-ზვერევი 1:6, 6:7
ნავარო პასტორი-ჰაასე 7:6, 7:6
ბოლელი-მუდი 6:7, 6:7
კაპდევილე-გაბაშვილი 7:6, 7:5
ფლიშმანი-ნიშიკორი 7:6, 3:6, 6:1

**ATP. მეცი**

კოლშრაიბერი-კალერი 6:3, 6:7, 6:3
ფიკელი-სერა 6:4, 7:6

**WTA. ტოკიო**

უ. რადვანსკა-ფერგიუსონი 6:1, 6:2
ბრემონი-დელაკუა 4:6, 0:6
ვოზნიაჩკი-კასტანიო 6:2, 6:1
მორიტა-მირზა 0:6, 4:6
ზაკოპალოვა-ნაკამურა 6:3, 6:4

**WTA. შტუტგარტი**

გოლოვინი-მიულერი 6:1, 6:1
საფინა-სრებოტნიკი 5:7, 6:2, 6:4

**WTA. ტაშკენტი**

ჩეტკოვსკა-ოლარუ 6:3, 0:6, 1:6
პალკინა-ძეჰალევიჩი 6:2, 6:2
ამანმურადოვა-სრომოვა 6:3, 7:6




სტენლის თასის მფლობელმა პირველი გამარჯვება იზეიმა

NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ანაჰაიმის მძლავრი პასუხი

**ანაჰაიმი–ლოს ანჯელესი 4:1**

2:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პერი-1 (ე. მაკდონალდი-1, პრონგერი-2), 2:0 კუნიტცი-1 (ე. მაკდონალდი-2, პერი-1), 3:0 პერი-2 (ჰასკინსი-1, დიპენტა-1), 4:0 მოენი-1 (რ. ნიდერმაიერი-1, მარჩანტი-1), 4:1 კამალერი-3 (დ. არმსტრონგი-1, ო'სალივანი-2).

დასრულდა "ანაჰაიმისა" და "ლოს ანჯელესის" ორმატჩიანი ლონდონური სერია. სწორედ ამ ორი შეხვედრით გაიხსნა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში რეგულარული ჩემპიონატი.

ამჯერადაც, "O2-არენაზე" შეკრებილმა პუბლიკამ 5 გოლი იხილა. სტენლის თასის მფლობელმა ზუსტად ისეთივე ანგარიშით აიღო რევანში, რომლითაც სეზონის გახსნის მატჩი დათმო.

ლონდონელმა გულშემატკივრებმა ორივე მატჩზე შეავსეს ტრიბუნები, ხარისხიანი ჰოკეიც იხილეს, რომლის დროსაც, გუნდებმა ჯამში 10 შაიბა შეაგდეს, მაგრამ ინგლისელებმა ყველაზე მეტად მეორე შეხვედრის მეორე პერიოდში ამტყდარი ჩხუბით იხალისეს. ერთ-ერთ ეპიზოდში ანაჰაიმელმა **ჯორჯ პაროსმა** და ლოსანჯელესელმა **სკოტ ტორნტონმა** რაღაც ვერ გაიყვეს. მათ NHL-ის ტრადიციის მიხედვით ხელთათმანები გაიძვრეს და ხელჩართულ ჩხუბში ჩაებნენ. საბოლოოდ, მსაჯებმა მათ 5-5 წუთიანი ჯარიმა გამოუწერეს. აი ეს იყო ის ეპიზოდი, რომელიც ლონდონურმა პუბლიკამ ყველაზე კარგად მიიღო და აღიქვა.

რაც შეეხება თავად მატჩს, მისი ბედი მეორე პერიოდის მეხუთე წუთისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო. ამ დროისთვის "ანაჰაიმს" ოთხი უპასუხო გოლი ჰქონდა გატანილი.

ასეთი დიდი უპირატესობის მიღწევაში "დაქსს" მეტოქე დაეხმარა. პირველ პერიოდში, "კინგზმა" ორჯერ მისცა "ანაჰაიმს" ორკაციანი უპირატესობა. პირველ შემთხვევაში "მეფეები" გადარჩნენ, მეორედ კი, **კორი პერიმ** კარგად გაითამაშა ორი ზედმეტი მოთამაშე და ანგარიში გახსნა.

ამჯერად "ანაჰაიმის" რიგებში კარგად გამოიყურებოდნენ ის ჰოკეისტები, რომლებმაც შარშან, დიდი წვლილი შეიტანეს ტრიუმფალურ სეზონში. **ენდი მაკდონალდმა, კრის კუნიტცმა, ტრევის მოენმა, რობ ნიდერმაიერმა** და პერიმ პირველი ქულები მოიპოვეს ჩემპიონატში. "დაქსის" მთავარმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა**, ძირითადი მეკარის, **ჟან-სებასტიან ჟიგერის** არყოფნაში, რუს **ილია ბრიზგალოვის** ნაცვლად კარში ვინმე **იონას ჰილერი** ჩააყენა, რომელმაც გაამართლა მწვრთნელის იმედები. ჰილერი შვეიცარიელია და პირველად ითამაშა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. შესაბამისად, **დავიდ ეიბიშერის, მარტინ გერბერისა** და **პაული იაკსის** შემდეგ, ის გახდა მეოთხე შვეიცარიელი, ვისაც NHL-ში უთამაშია.

რაც შეეხება "ლოს ანჯელესს", მის რიგებში **მაიკ კამალერის** გამოყოფა შეიძლება. ამ ფორვარდმა ორი მატჩში სამი გოლი გაიტანა და სათავეში ჩაუდგა სნაიპერთა დავას. სხვათა შორის, კამალერი ის ჰოკეისტია, რომელიც წელს, კანადის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ახლა გუნდები ამერიკაში დაბრუნდებიან. რეგულარული ჩემპიონატი 3 ოქტომბერს განახლდება. სტენლის თასის მფლობელ "ანაჰაიმს" სამატჩიანი გასვლითი სერია ელის, საკუთარ მოედნაზე კი, პირველად 10 ოქტომბერს ითამაშებს.

## ოტავას ძირითადი მეკარე დააკლდება

სტენლის თასის ფინალისტის, "ოტავა სენატორზის" ძირითადი მეკარე **რეი ემერი** რეგულარული ჩემპიონატის სტარტს გამოტოვებს. ემერი "ტორონტოსთან" მატჩში მაჯის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

*"ვგრძნობ, რომ მზად არ ვარ სათამაშოდ. მინდა ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყო საკუთარ თავში"*, - განაცხადა ოტაველმა.

ასე რომ, ემერის ნაცვლად "სენატორების" კარს **მარტინ გერბერი** დაიცავს, რომელიც, სხვათა შორის, სეზონის წინ ღიად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას სათადარიგო მეკარის სტატუსის გამო.

## კროსბის ახალი ტრავმა აქვს

"პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ** კიდევ ერთი ტრავმა მიიღო. "ბაფალოსთან" საკონტროლო მატჩის დროს, გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე **იაროსლავ შპაჩეკს** შეეჯახა და მუხლი დაიზიანა.

*"ეს მცირე დაზიანებაა, რომელზეც არ ღირს ყურადღების გამახვილება. არა მგონია, რომ მეტოქეს შეგნებულად სურდა ჩემთვის ტრავმის მოყენება, უბრალოდ, იმ მომენტში შპაჩეკი ცოტათი არღვევდა თამაშის წესს"*, - განაცხადა კროსბიმ.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, შარშანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირმა საზარდულის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ამის გამო, ოთხი დღე იძულებითი დასვენება მოუნია.

## კოლორადომ შემადგენლობა შეამცირა

რეგულარული სეზონის წინ, "კოლორადო ეველანშმა" ფარმ-კლუბში ("კლივლენდი", AHL) ორი ჰოკეისტი გაუშვა. ესენი არიან თავდამსხმელები **ტი ჯეი ჰენსიკი** და **მარკ რაიკროფტი**.

ჰენსიკმა შარშან, მიჩიგანის უნივერსიტეტის შემადგენლობაში ითამაშა, რაიკროფტმა კი, რეგულარულ ჩემპიონატში 66 მატჩი გამართა და 12 ქულა (6 გოლი+6 პასი) დააგროვა.

ამ გადაადგილებების შემდეგ, "კოლორადოს" შემადგენლობა 25 ჰოკეისტამდე შემცირდა.

NHL. სეზონის წინ. ატლანტიკის დივიზიონი

# დივიზიონთა დივიზიონი

**რეინჯერსი**

**2006-07-ის შედეგი:** 42 მოგება, 30 წაგება, 10 ფრე, VI ადგილი აღმოსავლეთში
**თამაშის სტილი:** დინჯი, ინდივიდუალისტებზე გათვლილი თამაში
**ძლიერი მხარე:** მეკარე, შეტევა
**სუსტი მხარე:** დაუბალანსებელი დაცვა, ჰენრიკ ლუნდკვისტის შემცვლელები
**MVP:** ჰენრიკ ლუნდკვისტი
**ვერ გაამართლებს:** მარსელ ჰოსა
**იმედი:** მარკ სტაალი

"რეინჯერსი" ტრანსფერების ჩემპიონია და თუ არდადეგებზე აქტიურობა შედეგსაც მოიტანს, ხომ საერთოდ კარგი. **სკოტ გომესმა** და **კრის დრურიმ** ისედაც ძალიან ძლიერი შეტევა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და სახიფათო უნდა გახადონ. "რეინჯერსს" **ჰენრიკ ლუნდკვისტის** სახით, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე ჰყავს, ხოლო **იარომირ იაგრი** კი 75-80 ქულის დაგროვებას ამჯერადაც უპრობლემოდ მოახერხებს. პრეზიდენტის თასისთვის ბრძოლა გუნდის პროგრამა-მინიმუმი იქნება და თუ "რეინჯერსი" დაცვაში თამაშს გააუმჯობესებს, მაშინ იაგრი და კომპანია "დეტროიტთან" ერთად ჩემპიონობის მთავარი ფავორიტი იქნება.

**პიტსბურგი**

**2006-07-ის შედეგი:** 47 მოგება, 24 წაგება, 11 ფრე, V ადგილი აღმოსავლეთში
**თამაშის სტილი:** პიტსბურგში ამას კი არ ეთანხმებიან, მაგრამ მთელი გუნდი მხოლოდ შეტევაზე ხრუნავს
**ძლიერი მხარე:** უძლიერესი თავდასხმა, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, უმრავლესობა
**სუსტი მხარე:** საფლეიოფო გამოუცდელობა, არასტაბილური ძირითადი მეკარე და დაუცველი დაცვა
**MVP:** სიდნი კროსბი
**ვერ გაამართლებს:** რაიან მელოუნი
**იმედი:** კრის ლეტანგი

დააგროვებს თუ არა სიდნი კროსბი 140 ქულას? შეძლებს თუ არა ახალგაზრდა ფენომენი შარშანდელი სტატისტიკის გაუმჯობესებას? გახდება თუ არა "პიტსბურგის" ახალი კაპიტანი ჰოკეის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე?

"პინგვინზში" ყველა კროსბით სულდგმულობს და მიუხედავად იმისა, რომ გუნდს მის გარეშეც ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს (რომელიც **პეტრ სიკორას** დამატებით კიდევ უფრო გაუმჯობესდა და სახიფათო გახდა), "პიტსბურგში" სეზონი კროსბით დაიწყება და კროსბითვე დასრულდება. სიდნისა და მალკინის გარდა, გუნდში ასევე ორი ძალიან ძლიერი ვეტერანი, **მარკ რეკი** და **გარი რობერტსი** ირიცხება.

**ფილადელფია**

**2006-07-ის შედეგი:** 22 მოგება, 48 წაგება, 12 ფრე, XV ადგილი აღმოსავლეთში
**თამაშის სტილი:** შარშანდელი სეზონიდან გამომდინარე, ცოტა რთულია ამაზე საუბარი
**ძლიერი მხარე:** როგორც ყოველთვის, აგრესიული დაცვა, საუკეთესო პირველ ხუთეული და უმცირესობაში თამაში
**სუსტი მხარე:** გუნდური დაცვა და ზედმეტი სიხისტე
**MVP:** კიმო ტიმონენი
**ვერ გაამართლებს:** ჯეფ კარტერი
**იმედი:** სტივ დაუნი

**კიმო ტიმონენი, დანიელ ბრირი, მარტინ ბირონი, ჯეფრი ლუპული, სკოტი აფშოლი, ჯეფ კარტერი** და უნიჭიერესი ახალგაზრდა **სტივ დაუნი** (ამ დებიუტანტს, ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში გამოჩენილი უაზრო უხეშობისთვის 20 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს) - აფშოლის გარდა, ყველა ახალწვეულია და გუნდს შარშანდელი, იმედგამაცრუებელი სეზონის მერე, აღმოსავლეთის რვა საუკეთესო გუნდში შეღწევა ნამდვილად შეუძლია. თუ გენერალური მენეჯერი **პოლ ჰოლმგრენი** სათანადო შედეგს (ანუ ფლეიოფს) მოიმკის, მაშინ წლის საუკეთესო მენეჯერადაც უნდა დასახელდეს. "ედმონტონთან" გაცვლის შედეგად, "ფილადელფიამ" ძალიან ძლიერი მცველი **ჯეისონ სმიტი** ("ოილერზის" ყოფილი კაპიტანი) დაიმატა. ესეც დამატებითი ბონუსია.

**ნიუ ჯერსი**

**2006-07-ის შედეგი:** 40 მოგება, 24 წაგება, 9 ფრე, II ადგილი აღმოსავლეთში
**თამაშის სტილი:** შეტევაში გადასვლა მხოლოდ საკუთარ კართან ხიფათის საბოლოოდ განმუხტვის შემდეგ ხდება, მეკარის ზონის მაქსიმალურად დაცვა
**ძლიერი მხარე:** მეკარე, გუნდური დაცვა, ახალი მთავარი მწვრთნელი ბრენტ სატერი
**სუსტი მხარე:** კონკურენტებთან შედარებით, არასტაბილური შეტევა, უმრავლესობა
**MVP:** მარტინ ბროდო
**ვერ გაამართლებს:** ჯეიმი ლანგენბრიუნენი
**იმედი:** ენდი გრინი

მეკარე **მარტინ ბროდო** ლეგენდარული **პატრიკ რუას** ყველა დროის მოგებათა რეკორდს ამ სეზონში თუ არა, შემდეგ რეგულარულში ულაპარაკოდ გააუმჯობესებს. ალბათ, "ნიუ ჯერსიში" ეს მთავარი სასაუბრო თემა და მოტივაცია იქნება, რადგან რამდენიმე ძლიერი მოთამაშის დაკარგვის მერე (სკოტ გომესი შეუცვლელი იყო), გუნდს შეტევაში მხოლოდ **ბრაიან ჯონტასა** და **პატრიკ ელიაშის** იმედი უნდა ჰქონდეს. წარმოიდგინეთ, როგორ უჭირს გუნდს, როდესაც მისი საუკეთესო ცენტრი **დაინიუს ზუბრუსია**. დაემშვიდობა გუნდს ძალიან ძლიერი მცველი **ბრაიან რაფალსკიც**, **ჯეიმი ლანგენბრიუნერს** კი შარშანდელი სტატისტიკის (23 შაიბა, 60 ქულა) თუნდაც გამეორება ძალიან გაუჭირდება.

**აილენდერსი**

**2006-07-ის შედეგი:** 40 მოგება, 30 წაგება, 12 ფრე, VIII ადგილი აღმოსავლეთში
**თამაშის სტილი:** მაქსიმალური ყურადღება ყველა სათამაშო ეპიზოდისას, რადგან სხვაგვარად ამ გუნდს წარმატების მცირე შანსიც არ აქვს
**ძლიერი მხარე:** მეკარე, გუნდური თამაში, მთავარი მწვრთნელი ტედ ნოლანი
**სუსტი მხარე:** გუნდი ვარსკვლავების გარეშე
**MVP:** რიკ დიპიეტრო
**ვერ გაამართლებს:** ბილ გერინი
**იმედი:** ჯეფ ტამბელინი

როგორც იქნა, "კუნძულელებმა" მოიცილეს **ალექსეი იაშინი** და მისი უზარმაზარი კონტრაქტი, რაც მომდევნო სეზონის წინ, ნიუ იორკულ კლუბს თავისუფალი აგენტების ბაზრობაზე სოლიდური ჰოკეისტების აყვანის შანსს მისცემს. **რიკ დიპიეტრომ** გუნდთან 15-წლიანი (!) კონტრაქტი რომ გააფორმა, შარშან დიდებული იყო და 26 წლის გოლკიპერი წელსაც "აილენდერზის" მთავარ ვარსკვლავად რჩება. აკრობატი მეკარე და ყველაზე არტისტული მოთამაშე "აილენდერზის" კარს ამჯერადაც კრუხივით გადაეფარება, თუმცა მცველებმაც უნდა იყოჩაღონ. გუნდს სათავეში ძალიან ძლიერი ფსიქოლოგი **ტედ ნოლანი** უდგას. "აილენდერზი" ფლეიოფისთვის რეალურად იბრძოლებს.

**ზურაბ თალაკვაძე**



სიდნი კროსბი

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა